მ ი ჯ ნ ა

№1 (6) იანვარი, 2017 წელი

გენუის კონფერენციას,
ვითხოვ: დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან
რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს
მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და
მძლავრობა-მიტაცებისაგან!

ამბროსი ხელაია

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ჟურნალ „მიჯნის“ გამოწერის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შპს „პლანეტა-ფორტეს“ შემდეგ მისამართებზე: თბილისი, სულხან-საბას ქ. №2, გ. აბაშიძის ქ. №14, ტელ: 2-98-89-90.

ინდივიდუალური ხელმოწერის მსურველთათვის რეგისტრირება ასევე ხდება მისამართზე: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, I ბინა; ტელ: 2-38-03-11.

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (6), იანვარი, 2017

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-
თიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

**რედაქტორ-
გამომცემელი**
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X

შინაარსი

კლასიკა

ამბროსი ხელაია
კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციისადმი....3

განათლება

მურმან ზაქარაია
ქართული საგანმანათლებლო კულტურის ისტორიული ფესვების შესახებ....5

ირინე ტალიაშვილის საიუბილეოდ

მართალ და ქედუხრელ ქალბატონს!....16

ჯემალ შონია
სამშობლოს უებრო ჭირისუფალი....17

ლაშა გვასალია
სიტყვითა და გზით....23

მარინე ფაჩუაშვილი
ჩვენი ირინე....25

ირინე ტალიაშვილი
ლექსები....26
მედროშე....28

კანონიერების აღდგენის ისტორიისათვის

რედაქტორის გვერდი
შევაგროვოთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის ამსახველი მასალები!....34

რობერტ პეტრიაშვილი
მოღაღადე ჩანაწერები....35

პროზა

ლაშა გვასალია
ალილო და ჰოი, ალილო.... 42

პოეზია

გია ჯიჭონაია
ლექსები....48

მიმოზა შონია
ლექსები....56

შემოქმედი ძმები
ვეზდენ ოკუჯავა
ლექსები....59

რევაზ ოკუჯავა
ლექსები....62

თარგმანი

ჩესლავ მილოში
ლექსები....65
თარგმნა *თორნიკე ქავშბაიამ*

დრო და ადამიანები

ჯემალ შონია
სიკეთის გამარჯვება....70

კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციისადმი

კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს, მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შეჰქმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში. მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროვებას. ამიტომ 1917 წელს ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის.

რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილი საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურებისა და გახრწნის კარამდე, ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას,

მას უბილწავენ მამა-პაპეულ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმინდათაწმინდას – სარწმუნოებრივ გრძნობას და, სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება: მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია, იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა.

ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებასა და კულტურულად განვითარებას.

ამიტომ ვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა–წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა. შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი **ამბროსი,**
პატრიარქი სრულიად საქართველოისა
7/II-22, ტფილისი

მურმან ზაქარაია

ქართული საგანმანათლებლო კულტურის ისტორიული ფესვების შესახებ

ქართული საგანმანათლებლო კულტურის ტრადიციისა და ხასიათის გაგებისათვის აუცილებელია წარმოდგენა შევიქმნათ მისი ისტორიული განვითარების პროცესზე, მის უწყვეტ კავშირზე გარემომცველ მოწინავე ცივილიზაციებთან.

ცნება ***კულტურაში*** ჩვენ ვგულისხმობთ მის კლასიკურ განვითარებას, როცა ის გაიგება, როგორც ცოდნის, რწმენის, ზნეობის, ხელოვნების, უნარის, ჩვევების ერთობლიობა (ეტელორი); ***განათლება*** კი არა მარტო ოდენ „დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემაა“ (ემ. დიურკემი), არამედ, ამასთან, როგორც ამ ***კულტურის არსებობის წყარო და საშუალება.***

განათლების მეშვეობით გადაეცემა ესა თუ ის კულტურა თაობიდან თაობას და ქმნის ერთიან ეროვნულ ენერგიას, რომლის მეშვეობით ეს კონკრეტული კულტურა მონაწილეობს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში. ასეთი მოთხოვნების კონტექსტში უნდა მოვიაზროთ ქართული საგანმანათლებლო კულტურის ისტორიული განვითარების გზა-სავალი.

თუ ვაღიარებთ ემ.დიურკემის მოსაზრებას, არადა, ეს უეჭველად მისაღებია, რომ განსხვავებულ საზოგადოებაში კულტურული მიზნები და ღირებულებები ერთმანეთისგან განსხვავებულია, ამიტომ განათლების შინაარსიც განსხვავებულია; მაშინ, უდავოა, რომ განათლება ჯერ ეთნოკულტურული ფენომენია და მერე – ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის შემოქმედების სუბიექტი, როგორც ინოვაციურ ცვლილებათა მიმღები და გამცემი.

კულტურისა და განათლების განუყოფელი თანაარსებობა თვით ცნება „კულტურის“ ეტიმოლოგიაშია გააზრებული, ვინაიდან, იმთავიდანვე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის აღმნიშვნელად მიღებული ეს ტერმინი, პირველ რიგში, პიროვნების აღზრდა-განათლების, მისი ყოველმხრივი განვითარების მაჩვენებლად იქნა გაცნობიერებული.

ზმნიდან colere – „ვამუშავებ“ მომდინარე ეს სიტყვა უკვე ციცერონთან გვხვდება, როგორც სულიერი ცხოვრების აღმნიშვნელი, ხოლო უფრო გვიან, როცა პლუტარქეს ტრაქტატი „აღზრდის შესახებ“ ითარგმნა ლათინურად, ეს ცნება სწავლა-აღზრდას მიესადაგა, რადგან იგი (პლუტარქე) თვლიდა, რომ, როგორც მიწათმოქმედებისთვის აუცილებელია მიწა, გამოცდილი მეურნე და ჯანსაღი თესლი, ასევე გონებრივი განვითარებისა და სულიერი აღზრდისთვის საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, სწავლა და პრაქტიკული მოღვაწეობა. იგი მიწათმოქმედების შრომას ადარებდა პედაგოგის მოღვაწეობას, რომელიც დიდი გულისხმევით „ამუშავებს“ აღსაზრდელის გონებას, როგორც კარგი მეურნე მიწის ნაკვეთს (გ.ლორთქიფანიძე, ნ.ჩიქოვანი, ქართული კულტურის ისტორია, გვ.5. თბ.1997 წ.).

მაშასადამე, როცა ჩვენ ვმსჯელობთ ქართული საგანმანათლებლო კულტურის ისტორიაზე (თუნდაც აწმყოსა და მომავალზე), ამოვდივართ იმ ზოგადკულტურული თვალსაწიერიდან, რომელზედაც დაეფუძნა ეროვნული სწავლა-განათლება თავის სულიერ და მატერიალურ ასპექტში. შესაბამისად, მსჯელობა უნდა წარვმართოთ ეთნოკულტურული თვალთახედვიდან ზოგადკულტურულისკენ, რამდენადაც, როგორც ნ. სმელზერი განმარტავს, განსხვავებულ საზოგადოებაში კულტურული ღირებულებებიც განსხვავებულია, სათანადოდ განსხვავდება განათლების შინაარსობრივი პრიმატიც. ამის გათვალისწინება აუცილებელია არა მარტო განათლებისა და

კულტურის ისტორიული განვითარების კონტექსტში, არამედ მისი აწმყოსეული რეფორმის მიმდინარეობის პროცესშიც.

სმელზერს ამის მაგალითად მოჰყავს ევროპული ცივილიზაციის განვითარების გარდამტეხი მომენტები ძველი ათენური საზოგადოებიდან მოყოლებული ვიდრე ახალ დრომდე. ის წერს: ძველი ათენის საზოგადოებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხელოვნების შესწავლას; ძველ რომში განათლების მთავარი მიზანი იყო სამხედრო და სახელმწიფო მოხელეთა აღზრდა; შუა საუკუნეების ევროპაში მთავარი ყურადღება ქრისტიანულ სწავლებას ეთმობოდა; რენესანსის ეპოქაში კიდევ წინა პლანზე იყო წამოწეული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მზარდი ინტერესი. ამასთან, განათლება ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სულიერი წესრიგის შენარჩუნებას (ე. ი. თავისი არსით კონსერვატიულია. – მ. ზ.). ამასთან, განათლება წარმოადგენს სოციალურ ცვლილებათა წყაროს (კ. ქეცბაია, განათლების სოციოლოგია, გვ.12, თბ. 2014 წ.). თავისი ისტორიული განვითარებით ქართული საგანმანათლებლო კულტურა (ზოგადად ქართული კულტურა) სრულად აკმაყოფილებს განათლებისა და კულტურის ამ ზოგად თავისებურებებს.

* * *

ქართული საგანმანათლებლო კულტურა, როგორც მოცემული სტატიის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ (ჟურნალი „მიჯნა“, №2 (5), 2016 წ. ოქტომბერი), იმთავიდანვე წარმოადგენდა საკაცობრიო ცივილიზაციის წამყვანი კულტურის მედიტერანულ-წინააზიურის თანამონაწილე თვითკმარ კულტურას – თავის სულიერ თუ მატერიალურ ასპექტში. ისტორიული თვალსაზრისით კი, ეს ძველთაძველი ცივილიზაცია წარმოადგენს თანამედროვე დასავლური, ძირითადად, ქრისტიანული ცივილიზაციის აკვანს.

ქართველური მოდგმა არა მარტო მონაწილეობდა ამ ცივილიზაციის შექმნაში, არამედ ე. წ. რუსთაველის ეპოქაში (XI-XII სს.) ის თვითონ იქცა ქრისტიანული კულტურისა და სარწმუნოების დაუღლელ მცველად მთელ წინა აზიაში.

მაშასადამე, ქართველური ეთნოსი ჯერ კიდევ ერთიან ერად ფორმირებამდე იძენს თავის სულიერ და კულტურულ მისიას ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე. ის მენტალურად ინარჩუნებს ამ მისიას ფეოდალური აშლილობის და დაქუცმაცებულობის ხანაშიც ვიდრე ქართული სახელმწიფო მმართველობის გაუქმებამდე და რუსული კოლონიალური მმართველობის შემოღებამდე.

ამ ეროვნულ-კულტურული მისიის შესახებ შეახსენებდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი კულტურული კაცობრიობის 29 მოწინავე ქვეყნის წარმომადგენელთა გენუის კონფერენციაზე. პატრიარქი მათ წერდა (ვიღაცებს კიდევ პირველად აგებინებდა), რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო იყო ერთადერთი მატარებელი წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა („კათალიკოსი ამბროსი (ხელაია)“, შემდგენელი ედ. გიორგაძე, გვ. 40, თბ.1994 წ.).

ქართველთა ამ მისიაზე, იმავე კათალიკოს ამბროსისადმი მიძღვნილ სამადლობელ წერილში, თანამედროვე დასავლური კულტურის უმთავრესი შემოქმედი ერის წარმომადგენელი არტურ ლაისტი წერდა: „ჩემი ღრმა რწმენა, რომ ქართველი ერი, ისტორიულად ასე ტანჯული, დაიმკვიდრებს კაცობრიობაში იმ ადგილს, რომლის ღირსიც არის ***მისი ათასწლოვანი კულტურა, რომ ეს ერი განამტკიცებს ქრისტიანულ კულტურას,*** რომლის აპოლოგეტიც იყო ამდენ საუკუნეთა განმავლობაში და რომლისთვისაც ამდენი წმინდა სისხლი დაუღვრია“ (იქვე გვ.35, ხაზი: – მ.ზ.). ამდენად, ქართული საგანმანათლებლო სისტემა განუყოფელი ნაწილი იყო ზოგადქრისტიანული განათლებისა და კულტურისა.

ქართველური მოდგმის ერთიან ერად და სახელმწიფოდ ფორმირების ამ ქრისტიანულ მისიას ეძღვნება იოანე-ზოსიმეს ლექსი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ეს არის ზოგადქართული ცივილიზაციის ერთიან ეროვ-

ნულ კულტურად ფორმირებისადმი მიძღვნილი ჰიმნი. ლექსში ენა გააზრებულია, როგორც ქართველი ერის, ქართული ეთნოსის, მისი კულტურული მისიის სიმბოლო. პოეტი გვაუწყებს მოციქულთა ხანიდან ქრისტიანულად მეტამორფოზებულ კოლხ-იბერიული ცივილიზაციის მართლმადიდებლურ სწავლა-განათლებად და კულტურად მოქცევაზე, თვისობრივად ახალი ეპოქის დაწყებაზე. ენა ამ ჰიმნში, მის ეროვნულ არსთან ერთად, გააზრებულია, როგორც მისი კულტურა და, რა თქმა უნდა, მისი მატარებელი მოდგმის ცოდნა-განათლების უშრეტი წყარო (ენა მომლოდინე მეორედ მოსვლისა).

ეს ახალი კულტურა (ქრისტიანული) ქმნის და ადუღაბებს ქართველურ მოდგმას ერად და სახელმწიფოებრივად. მისი (კულტურის) შემოქმედი წყარო და განმსაზღვრელი თვითკმარი სწავლა-განათლებაა, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს უძველეს ცივილიზაციებში და არსებობს, როგორც სისტემა.

ადრექრისტიანული – მოციქულთა ხანიდან მოყოლებული, სწავლა-განათლება ფორმირდება, როგორც ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ცოდნა.

ქვეყნის მაღალი კულტურის არსებობას განსაზღვრავდა სწავლა-აღზრდის საქმე. მისი მდგრადი განვითარების პროცესისთვის უდიდესი, თუ არა გადამწყვეტი, მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრივ ქრისტიანული სარწმუნოებისა და კულტურის დაცვისთვის საყოველთაო ბრძოლას არაბობასთან, ე.წ. „მუსულმანური რენესანსის“ მთელ ხანგრძლივ პერიოდში. ამ უთანასწორო ბრძოლაში ის კი არ დასუსტდა და სული კი არ განუტევა, როგორც ეს დაემართათ ბევრ უძველეს ხალხებსა და კულტურებს, არამედ, საბოლოო ჯამში, იქიდან ფიზიკურად მომძლავრებული (თუნდაც მურვან ყრუს კრახი ანაკოფიასთან) და სულიერ-სარწმუნოებრივად გამობრძმედილი გამოვიდა.

* * *

ზემოთ ითქვა და ვიმეორებთ, „გადარჩენის“ წყაროს წარმოადგენდა საკაცობრიო ცივილიზაციის ადრეული ეტაპიდანვე მომდინარე და ადრექრისტიანული პერიოდიდან ახალ რწმენად და იდეოლოგიად ფორმირებადი თვითმყოფადი კულტურა და სწავლა-განათლება. მან გაუძლო წარმართული და სპარსული ცეცხლთყვანისმცემლობის შემოტევას, ხოლო როცა არენაზე გამოვიდა ახალგაზრდა, ექსპანსიური მაჰმადიანობა და არა მარტო გადააკეთა მსოფლიო პოლიტიკური რუკა, არამედ შეაზანზარა მთელი ძველაღმოსავლური და ელინისტური კულტურა და თავისი წარუშლელი კვალი დაატყო ევროპულ-წინააზიურ ცივილიზაციას, ქართველურმა (კოლხ-იბერიულმა) კულტურამ ღირსეულად გაუძლო ამ ექსპანსიას, მისგან მიიღო მხოლოდ ის პოზიტიური, რაც მის თვითმყოფადი განვითარებისთვის იყო მისაღები.

ქართული კულტურის ასეთი მდგომარეობის საფუძველს წარმოადგენდა უძველესი ხანიდან არსებული საგანმანათლებლო კულტურა მეტამორფოზებული ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე. ამიტომ ვერაფრით ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ „ქრისტიანული ხანის ყველაზე დიდი კულტურულ-პოლიტიკური მოვლენა V საუკუნეში ქართული ანბანური დამწერლობის შექმნაა“ (ნ. ვაჩნაძე, ნ. შოშიაშვილი, საქ. ისტ. ტ. I, გვ. 306), რადგან, სხვა რომ არაფერი, ქრისტიანობის ხანაში (V ს.) შექმნილი სადამწერლობო-წიგნიერი კულტურა ვერაფრით გაუძლებდა ამ არაბული რენესანსის მძლავრ შემოტევას და ძირფესვიანად შეცვლიდა მას. მხოლოდ ყოველგვარი ცოდნის საფუძველთა საფუძველს, იდეურად გამართულ, წიგნიერ სწავლა-განათლებას შეეძლო გაეძლო ამ შემოტევისთვის. ამიტომ დიდი ცივილიზაციების წინაშე ყოველგვარი ენის მოჩლექის და რევერანსების გარეშე უნდა ითქვას, რომ ჩვენს კულტურას, მის საფუძველთა საფუძველს – სწავლა-განათლებას ფესვები გადგმული აქვს საკაცობრიო ცივილიზაციის შორეულ წარსულში. ის, ქრისტიანულად მოქცეული, მუდამ უძლებდა და გაუძლებს სხვადასხვა ფსევდოკულტურისა და სწავლების ცრუ შემოტევებს. ამდენად, უპრიანი იქნებოდა თვალი გადაგვევ-

ლო იმ ცნობებისთვის, რომლებიც გვიქმნიან ცხად წარმოდგენას კოლხ-იბერიული მოდგმის კულტურისა და განმანათლების ევოლუციაზე, მისი განვითარების პროცესებზე.

* * *

ი. ს. ბერიტაშვილის თქმისა არ იყოს, უნდა ***დავიწყოთ კოლხეთით***, კოლხური კულტურით, რომლის შესახებაც, იმავე ბერიტაშვილის პერიფრაზით თუ ვისარგებლებთ, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი ფაქტი და მოსაზრება, რომლებიც არსებობდა ჩვენ მწიგნობარ წინაპრებში, საერთოდ, განათლებულ ადამიანებში.

როცა კოლხ-იბერიულ საგანმანათლებლო კულტურას ვეხებით, პირველ რიგში, გონებაში წარმოგვესახება ისტორიის მამა ჰეროდოტე და მისი ეგვიპტოფილური კონცეფცია აიაში მოსახლე კოლხების ეგვიპტელებისგან წარმოშობის შესახებ. ამ მოსაზრებით, აზიაში ლაშქრობის დროს ფარაონმა სეოსტრიტემ (რამზეს II) ფაზისთან დატოვა ლაშქრის ნაწილი, რომლისგანაც წარმოიშვნენ კოლხები. „კოლხებსა და ეგვიპტელებს ერთმანეთთან ამსგავსებენ სელის დამუშავება და, რაც მთავარია, ცხოვრების ნირი და ენაო“ (ჰეროდოტე, II, 2, 103-104.). *ამ ინფორმაციას იმოწმებს* აპ. როდოსელი (ძვ.წ. III ს.), როცა წერს:

„ეს ხომ შორეულ წარსულში მოხდა, **საუკუნეთა წიაღთა მიღმა**! ხოლო აია დღესაც ურღვევი, დგას და ცხოვრობენ იმ დიდ ქალაქში იმ მამაც გმირთა შთამომავალნი, დიდმა მოლაშქრემ აქ რომ დატოვა“ *(აპ. როდოსელი, არგონავტიკა, წიგნი IV, 270).*

მოცემულ შემთხვევაში, ჰეროდოტეს ცნობის დამოწმებით, პოეტი, რომელიც ზედმიწევნით მცოდნეა ეგვიპტური ცივილიზაციისა (წარმოშობით ალექსანდრიელი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგის მოწაფე, თვითონაც მეცნიერი), ადასტურებს იმას, რომ ***მაშინდელ კულტურულ სამყაროში არსებული წარმოდგენებით, კოლხეთი, მისი კულტურა წარმოადგენდა ძველთაძველ, პირველცივილიზაციის შემადგენელს, რომელსაც, უდავოდ, განეკუთვნებოდა ეგვიპტური და შუმერული კულტურა.*** ესაა უმთავრესი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება ჰეროდოტესა და მისგან მომდინარე თუ მის გარეშე არსებულ ამ ანტიკურ ცნობებში.

ამ თვალსაზრისით, დამოუკიდებელ ცნობად უნდა მივიღოთ როდოსელის სქოლიასტის მიერ სკიმნე ქიოსელის დამოწმება, რომ სესონქოსისმა ფაზისთან ჩამოასახლა კოლხთა წინაპარი ეგვიპტელები (იქვე, წგ. IV, შენიშვნა 7, გვ. 212). მაშასადამე, კოლხთა დაკავშირება ეგვიპტელებთან ქიოსელისთვისაც მისაღებია. ასეა ეს კიდევ მრავალ სხვა წყაროში, რაც იმის დასტურია, რომ კოლხური კულტურა გენეტიკურადაც უკავშირდება წარღვნამდელ პირველცივილიზაციას. ესაა მნიშვნელოვანი ამ მეცნიერული თუ ლიტერატურული ნაწარმოებებიდან მომდინარე, თუნდაც სუბიექტური, თვალსაზრისებისა. ამიტომაც, ვერ ანგრევს მას ანტიკოლხური ისტერიები, რომლებიც ჟამით ჟამად მომძლავრდებიან ხოლმე ყოყლოჩინა, ახლად „აქოჩრილ“ კულტურებში (ძირითადად იმპერიებში).

კოლხური საგანმანათლებლო და სადამწერლობო კულტურაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცნობები კირბების შესახებ. იგი პირველი ცნობაა ძველ ქართულ დამწერლობაზე. არგოსის სიტყვები, რომ კოლხებს „შემონახული აქვთ მამათაგან ნაწერი კირბები“, ანტიკური ხანის ქართულ ტომებში არსებული მაღალი კულტურის მაუწყებელია.

როდოსელის ხანაში კოლხებს ჰქონიათ ***ძველისძველი წერილობითი ძეგლები***, სამანძილო კირბების სახით, რომელთაც კარტოგრაფიული მნიშვნელობა გააჩნდა.

როდოსელის სქოლიასტის მიხედვით, კირბები მაღალი ბოძებია, სხვადასხვა წარწერის შემცველი. სვიდას ლექსიკონი კი გვამცნობს, რომ „კირბები სამწახნაგა დაფებია, ქვებით აღმართულ სვეტებზე მიკრული. ამ დაფებზე სასულიერო და საერო კანონები იწერებოდა“. როგორც ჩანს, კირბები უპირატესად საკრალური ხასიათის წარწერები იყო.

აპოლოდორე ათენელი თხზულებაში „ღმერთთა შესახებ“ ამბობს, რომ ***„კირბები შეიცავდნენ ნაწერ კანონებს“*** (XX,24) ამასთან იგი წერს: ***ყველა საზოგადო საბუთს და კანონებს კირბისი ერქვა.*** კირბისი წმინდა წარწერათა შემცველი ბოძია (XX,25). აპოლოდორეს ერთ-ერთ ფრაგმენტში ნათქვამია, „აქსონიები და კირბები ბუსტროფედონით იყო ნაწერი“.

აპოლოდორეს კირბების სახელი კორიბანტებიდან გამოჰყავს, რადგანაც კირბების აღმოჩენა კორიბანტებს მიეწერებათ. ***სტრაბონის გადმოცემით, კორიბანტები კოლხთაგანნი არიან*** და მჭიდროდ უკავშირდებიან ლემნოსელ კაბირებს (X,3,19, შემდ). ფოტიოსი თავის ლექსიკონში იმოწმებს ამ თეოფრისტეს და განმარტავს, რომ მას „კირბები გამოჰყავს კრეტელი კორიბანტებისაგან, ვინაიდან (კირბები) კორიბანტულ წმინდა წარწერათა ასლებია“.

რაკი კირბების აღმოჩენის ხელოვნება კოლხებს მიეწერებათ, ხოლო კორიბანტები (კირბები) კოლხთა ღვთაებად, ქურუმებად ითვლებიან, დამოწმებულ ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ არ მიგვაჩნია სწორად კომენტატორის განმარტება, რომ ისინი – კირბები წარმოადგენენ გადმოცემებს არა იმდენად კოლხებზე, რამდენადაც ეგვიპტელებზე (ВДИ 1947 წ. N3, გვ.285, შენ. 6). მელიქიშვილის აზრით, ეს უძველესი ჩანაწერები უნდა მივაკუთვნოთ ძველ კოლხეთის სამეფოს, რომელიც ძველაღმოსავლეთის სახელმწიფოთა თანამედროვე იყო (არგონავტიკა, შენიშვნა 8, IV-წიგნისთვის, გვ.212, შენ.ავტ. აკ.ურუშაძე). მაშასადამე, ძველი კოლხეთის კულტურა,შესაბამისად სწავლა-განათლება ზოგადად, ხოლო კონკრეტულად ***კოლხური დამწერლობის კავშირი ამ ცივილიზაციებთან ფაქტად უნდა ვაღიაროთ.*** ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ ქართველ მკვლევრებს, რომლებიც ზემოთ მოყვანილში გამონაგონს ხედავენ და არა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის გააზრების საფუძველს, შესაბამისად, კოლხ-იბერული მაღალი კულტურის მაჩვენებელ წყაროთაგანს. მაგალითისთვის გამოგვადგებოდა გ. ყორანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც კოლხურ თვითშეგნებასა და კულტურაზე არა მარტო არგონავტიკის იდეებსა და წარმოდგენებს აყენებს ეჭვქვეშ, არამედ ხაზს უსვამს თვით მის მიერ განხილულ მაღალი დონის მჭევრმეტყველების ნიმუშებში – აიეტისა და ფარტაძის სიტყვებში გამოთქმულ ჭეშმარიტებებს კოლხთა სახელმწიფოებრიობაზე, მის კულტურაზე, რაც მთავარია, ღირსებაზე. ის წერს: აიეტის სიტყვაში ნაგულისხმევი კოლხთა, ლაზთა ეთნოფსიქოლოგიური **ავტოსტერეოტიპი** მნიშვნელოვანწილად უნდა ყოფილიყო დაფუძნებული ბერძნულ მითზე არგონავტების შესახებ. ძველი დიაოხისა და კოლხას სინამდვილე, **ჰიპერბოლიზებულად** აისახა რა **ბერძნულ** მითში, თავის მხრივ, საფუძვლად აღიარებული ახლოაღმოსავლურ და მედიტერიანულ წყაროთა მონაცემები ცხადდება ***ჰიპერბოლიზებულად***, ხალხური ენით რომ ვთქვათ, ზღაპრად, შესაბამისად, ლაზთა პატრიოტული გრძნობა, მათი თვითშეგნება, ეთნიკური წარმოდგენები საკუთარ თავზე – ამ ზღაპარზე აგებულ ილუზიად“.

საკუთარი მოდგმის უძველესი კულტურის, მისი სულიერების, ეროვნული თვითშეგნების ასე დაკნინებისა და გაქირდვის მაგალითების მოძიება ალბათ ძნელია.

საბედნიეროდ, ქართული კლასიკური მეცნიერება, ასეთი „მეცნიერული სიმართლის“ საპირისპიროდ, საკმაოდ დამაჯერებლად ადასტურებს კოლხ-იბერული (ქართველური) მოდგმის უძველეს წარმომავლობას და მის კავშირს უძველეს – პირველცივილიზაციებთან, რაზედაც გვქონდა მსჯელობა, მაგრამ რამდენადაც ჩვენ მსჯელობა გვაქვს კონკრეტულ ისტორიულ-კულტურულ მოვლენაზე, ამიტომ დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ფაქტობრივ მასალას ჩვენი დიდებული მემატიანეების ნაშრომებიდან.

* * *

სიმონ ყაუხჩიშვილი თავის წიგნში „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს

შესახებ“ (თბ.1964) წერს: ძველმა ბერძნებმა საქართველოს შესახებ იციან გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე გადმოცემულია ამ წიგნებში, სადაც მოყვანილია მხოლოდ ნიმუშები, ცალკეული ეპიზოდები ქართველთა ცხოვრებიდან (გვ.8). მაშასადამე, ბერძენთა ნაწერებში (ასევე სხვათა) გვაქვს კოლხ-იბერული მოდგმის შორეულ წარსულზე ნიმუშები, ცალკეული ეპიზოდები და არა გაზვიადებული, უფრო მეტიც, ჰიპერბოლიზებული წარმოდგენები, რასაც ნაკლებად უნდა მოელოდეს ელინთაგან „ბარბაროსი“.

რაც შეეხება ბატონი გურამის მიერ ჰიპერბოლიზებულად გამოცხადებულ არგონავტიკას, ამაზე ის ამბობს: „არგონავტების მითი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს შესახებ“ (გვ. 12), კერძოდ კი: ეს ცნობები შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: იმდროინდელი ბერძნები იცნობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყანას. მას განაგებდა მეფე აიეტი. მისი სამეფო მდებარეობდა მდინარე ფაზისის, ე. ი. რიონის, აუზში და აკრავდა შავ ზღვას. ავტორი არკვევს ამ ქვეყნის სახელწოდებას და მიდის დასკვნამდე, რომ მას ერქვა აია, ხოლო მისი მეფე იყო აიეტი (გვ. 13). შესაბამისად, ძველი კოლხ-იბერიული (დიაუხი და კოლხა) სამეფოს თვითსახელწოდებად უნდა მივიღოთ **აია**.

ამასთან, წერს ავტორი: დასავლეთი საქართველო შემდეგ ხანებში იცვლიდა სახელწოდებას იმისდა მიხედვით, თუ რომელ ტომს ჰქონდა მოპოვებული უპირატესობა. როდესაც უპირატესობა ჰქონდათ კოლხებს, ქვეყანას ერქვა **კოლხეთი** ანუ **კოლხიდა** (ამ სახელწოდებით იცნობს ქვეყანას VI-V სს. ესქილე). როდესაც, დაახლოებით პირველი საუკუნიდან უპირატესობა მოიპოვეს ლაზებმა, მთელ სახელმწიფოს ეწოდა **ლაზეთი** (ლაზონა?! – მ.ზ.), ბერძნულად – **ლაზიკე**. მერვე საუკუნიდან გაძლიერდნენ აბაზგების (ბერძნულად, თვითსახელი აფხაზა – მ.ზ.) ქართული ტომები და მთელ ქვეყანას ეწოდებოდა **აბაზგია**, ე. ი. აფხაზეთი (გვ. 14). მეცნიერის შეხედულებით, ასეთია დასავლეთქართველურ სამეფოთა და სახელმწიფოთა ევოლუციის მიმდინარეობა უძველეს ბერძნულ-ანტიკურ წყაროთა მიხედვით. ერთი ფაქტია: ამ წყაროებში არაფერია გაზვიადებული თუ შეჭრილ-შეკრეჭილი ელინთა უპირატესობის გამოკვეთილად წარმოსაჩენად.

ავტორი წერს: ვინაიდან, მეცნიერულად მიღებული ჰიპოთეზით: „როგორც ჩანს, ქართველთა მონათესავე ტომები ცხოვრობდნენ უძველეს ხანებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზეც... თვით ბერძნები იმ მიწა-წყალზე, რომელიც ისტორიულ ხანებში მათი სამშობლოა... მოსულ ხალხს წარმოადგენენ... აქ მათ დახვდათ სულ სხვა ტომები (ძვ. წ. მესამე ათასწლეულში). ...თვით ბერძენი მწერლები, მათ შორის ჰეროდოტეც, იმ ხალხს... ეძახიან **პელაზგებს**... პელაზგებზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, იმიტომ რომ გვინდოდა გვეძებნა საუკუნეთა სიღრმეში ქართველ ტომთა კვალი“. შემდეგ ავტორი აკეთებს დასკვნას, – რომ საბერძნეთში, ბერძენთა იქ მისვლამდე ცხოვრობდნენ უცხო ტომები (უცხო ტომები თუ აბორიგენები, მკვიდრი ტომები? – მ. ზ.), რომლებიც ბერძნებმა დაიმორჩილეს. ...ბერძნების მიერ დამორჩილებული პელაზგები (ე. ი. ზემოთ ნახსენები სხვა ტომებიც, – მ. ზ.) კულტურულად მაღლა იდგნენ და... კულტურის (ეს) მონაპოვარნი ბერძნებმა აითვისეს, დაამუშავეს და შექმნეს მაღალხარისხოვანი ელინური, ბერძნული კულტურა“ (დასახ. ნაშრ. გვ. 29 და 32). მაშასადამე, მეცნიერულად მიღებული ჰიპოთეზებით, ქართველური კულტურის ფესვები არა მარტო ეგვიპტურ და შუმერულ ცივილიზაციასთან გვაკავშირებს, არამედ მას ფესვები გადგმული ჰქონია ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსურ კულტურებშიც. ამიტომ, როცა ვმსჯელობთ კოლხ-იბერული მოდგმის კულტურის წინაისტორიულ და ისტორიულ ფესვებზე, ჩვენ მას ვეძებთ წინააზიურ და ეგეოსურ კულტურებში; ხმელთაშუა ზღვისა და შავი და კასპიის ზღვათა (კავკასიის) გეოკულტურულ არეალში.

ამგვარად, ცხადია, რომ იმ დროს, რომელ-

საც მიეკუთვნება არგონავტების ლაშქრობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, კოლხ-იბერული მოდგმის ხალხთა კულტურას გამოვლილი ჰქონდა ხანგრძლივი პერიოდი განვითარებისა.

ამ კვალს ხედავს ჩვენი დიდებული მეცნიერი ბერძენი ტრაგიკოსის ესქილეს (525-456 წწ.) ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“: „პრომეთეს სახით (ესქილემ. – მ. ზ.) გამოიყვანა კაცობრიობის კულტურის მესვეური. პრომეთემ ადამიანი ველური მდგომარეობიდან გაათავისუფლა და კულტურულ ცხოვრებას აზიარა, ასწავლა მას ცეცხლის საშუალებით ყოველგვარი ხელობა“, ამასთან თავისი პირადი მოღვაწეობით უჩვენა მაგალითი შეუდრეკელი მოქმედებისა, თავისუფალი აზრისა და ქედუხრელი პრინციპულობისა. მკვლევართაა აზრით, პრომეთესა და ზევსის დაპირისპირებით საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის ბრძოლასთან ერთმანეთში.

მაშასადამე, პრომეთე იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა აქ და მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ეს იყო არა ინდოევროპული მოდგმის ხალხი, ეს იყო ხალხი, რომელიც სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდა. ჰეროდოტე მათ ენას „ბარბაროსულს“ უწოდებს, ე. ი. არაელინურს. დღევანდელი მიღწევებიდან გამომდინარე, აღიარებულია, რომ ეს წინაბერძნული ენა (ე. წ. წინაბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ კავკასიურს. ამდენად, მასში ასახულია ახალმოსული ბერძნების ბრძოლა წინაბერძნულ მოსახლეობასთან (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ, 32-34). შესაბამისად, პრომეთესა და **ამირან-არამხუტუს** იგივურობა იმის მაჩვენებლად უნდა მივიღოთ, რომ ისინი არიან კაცობრიობის კულტურის (პირველკულტურის) შემოქმედი ხალხის ღმერთები, პრომეთე – პელაზგურისა, ამირან-არამხუტუ – კოლხ-იბერიულისა.

მაშასადამე, ქართველური მოდგმის ცოდნა-განათლებას ამ მეტაისტორიულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული, რომელშიც, ესქილეს მიხედვით (მითოლოგიურადაც), პრომეთემ მისცა ადამიანებს ცეცხლი და გაუნათა გზა **გონიერი** შრომისა და მოღვაწეობისთვის (ესქილე, დრამები, გვ. 15, თბ., 1978 წ.).

ამდენად, კოლხთა და ლაზთა ეთნიკურ წარმოდგენებს თავიანთი თავის შესახებ ბერძნული მითი კი არ დაედო საფუძვლად, როგორც ამას ფიქრობს გ. ყორანაშვილი, არამედ ბერძნულ-ელინური თვითშეგნებისა და მაღალი კულტურის ფორმირება მომხდარა წინარე კულტურების ათვისებითა და გადამუშავებით, რომელშიც, პირდაპირ თუ ირიბად, ყველა ძველ ანტიკურ წყაროში მითითებაა კოლხ-იბერიულ გვარტომებზე.

ამ წინარე კულტურებიდან პელაზგების კვალდაკვალ მოიხსენიება კოლხურიც. რისმაგ გორდეზიანის განმარტებით, „აიეტის დროს კოლხიდა ბერძნებს ძლიერ გაერთიანებად წარმოედგინათ, რომელსაც ჰყავდა დიდი ფლოტი, ჰქონდა დამწერლობა და, საერთოდ, საკმაოდ განვითარებული ცივილიზაცია.

გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, მთელ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ანტიკურ ეპოქაში თავის თავს სწორედ ამ დიადი გაერთიანების მემკვიდრედ თვლიდა. მემკვიდრეობითობის ეს ჯაჭვი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ იგი არ გაწყვეტილა მრავალი საუკუნის განმავლობაში, მიუხედავად ქართველური სამყაროს ინტენსიური დიფერენციაციისა (რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993 წ.).

ეს ეთნოკულტურული მემკვიდრეობითობა უწყვეტად იკვეთება არა მარტო დასავლურ-ქართველურ არეალში, არამედ მთელ კოლხ-იბერიულ სივრცეში, თუნდაც ფარნავაზ-ქუჯის კოლხ-იბერულ ერთობაში თუ ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანაში, ვიდრე, ლაზეთის სამეფოსა და მისი სამართალმემკვიდრე აფხაზეთის სამეფოს ბაზაზე და მის ირგვლივ, არ ჩამოყალიბდა ერთიანი, გაერთიანებული, კავკასიური მასშტაბის სამეფო – აფხაზეთი, რომელიც გახდა სულისჩამდგმელი ქართული ფეოდალური მონარქიისა და **კულტურული რენესანსისა**.

* * *

ამ ისტორიული პროცესების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა კოლხ-იბერული მოდგმის ეთნოკულტურული ერთიანობა, მომდინარე მათი გენეტიკური ფესვებიდან. რ. გორდეზიანი წერს: ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, კოლხეთის სამეფო ტახტის გავლენა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ბუნებრივია, იბერია მით უფრო მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული აიეტისა და მის მემკვიდრეთა საბრძანებელთან. ავტორს იქვე მოჰყავს ახ. წ. აღ. I ს-ის რომაელი ეპიკოსის ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკადან" მტკიცება, რომ იბერები ინტენსიურად ფიგურირებენ **აიეტ მეფესა** და **მის ძმას პერსევსს** შორის მიმდინარე ომებში (დასახ. ნაშრ., გვ. 29). ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას: „...შეიძლება ითქვას, რომ, ანტიკური წყაროების მიხედვით, ძველი საქართველოს მოსახლეობის სამივე ქართველური კომპონენტი თავის ისტორიულ მეხსიერებაში ინახავდა იდენტურობის იდეას აიეტ მეფის კოლხეთთან და თავის ისტორიაში ეს ლეგენდარული პერიოდი ყველაზე უფრო საამაყოდ მიაჩნდა. ყოველი შემთხვევისთვის, ანტიკური ეპოქის არც ერთ ავტორს და, სხვათა შორის, ბიზანტიელებსაც კი, არ შემოუნახავს ცნობა იმის თაობაზე, რომ ქართველურ ტომებს თავიანთ ძველ ისტორიაში აიეტის კოლხეთზე უფრო დიდი პატივით მოეხსენებიოთ რომელიმე ეპოქა" (იქვე). მაშასადამე, მემკვიდრეობითობის ეს პროცესი პოლიტიკურზე უფრო ეთნოკულტურული კავშირებით იყო განპირობებული. მხოლოდ მაღალ კულტურულ დონეზე ასულ ცოდნასა და განათლების სისტემას შეეძლო მიეღო ისეთი შეფასება, რომელსაც ათასწლეულების მანძილზე აძლევდა მოწინავე ელინურ-რომაული ცივილიზაცია კოლხ-იბერულ კულტურას. გორდეზიანის თქმით, კოლხური ცივილიზაციის მემკვიდრეობითობის ასეთი ნიშან-თვისებათაგანი არის სამედიცინო და საგანმანათლებლო კულტურა.

ძველ კოლხეთამდე ადის წამალთა დამზადების მაღალი ხელოვება. კოლოფონელი (ძვ. წ. II ს.) სპეციალურ ნაშრომში **„ალექსიფარმაკაში"** აღნიშნავს მედეას წამალზე და მას „ერთდღიანს" უწოდებს. მისი სქოლიასტი კი განმარტავს: „მედიასი" ანუ „ერთდღიანი" – წამალია... (მას) კოლხურ (წამალს) ეძახიან". ევსევი კესარიელი (260-340 წწ.) თავის **საეკლესიო „ისტორიაში"**, როცა იგი მსჯელობს იმ გამომგონებელთა შესახებ მსოფლიოში, რომელთა აღმოჩენებიც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ, იუწყება: „მედეამ, აიეტის ასულმა, კოლხელმა პირველმა **გამოიგონა** თმების შეღებვა (X ს.). აიეტის და კირკესთან მიმართებაში სვიდას ლექსიკონი უშვებს, რომ თვით სახელი **კირკე** შეიძლება ეტიმოლოგიურად „წამლების შემამზადებელს" უკავშირდებოდეს" (რ. გორდეზიანი, ქართველთა თვითშეგნება, გვ. 30, 31, ხაზი: – მ. ზ.). ამგვარად, კოლხური სამედიცინო ცოდნა-განათლების უძველეს ფესვებზე და მის მემკვიდრეობითობაზე მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ეჭვი არ შეუტანიათ ძველი საბერძნეთის, რომის თუ ბიზანტიის იმპერიის ისტორიკოსებს თუ ლიტერატურისა და კულტურის წარმომადგენლებს, მხოლოდ რუსის უკუღმართ ტვინში დაბადებულა აზრი (როგორც ზემოთ ვნახეთ), რომ ყოველივე ეს, კირბებთან ერთად, უფრო ეგვიპტელებს მიეკუთვნება, ვიდრე კოლხებსო; მაგრამ ისინი, „ძველი ისტორიის მათხოვარი" იმპერიული მეცნიერები, ამ მონაგონითაც ვერ გავლენ ფონს, ვინაიდან თვით „ისტორიის მამა" ჰეროდოტე გვარწმუნებს, რომ ეგვიპტელები და კოლხები ერთი ცივილიზაციის, ერთი კულტურის შვილები არიანო. საწყენი ის არის, რომ ეს „ძველი ისტორიის მათხოვრები" ზოგჯერ პატიოსან და კეთილისმსურველ მეცნიერებსაც აუბნევენ ხოლმე გზა-კვალს და ისინი „მეცნიერული სამართლიანობის" ძიებაში ხშირად გადაეშვებიან „ისტორიულ ერესში", ათასწლეულობით დამკვიდრებულ ტრადიციებსა და მისგან მომდინარე ცოდნას ერთი ხელის მოსმით ქარს გაატანენ, რითაც უზომო სამსახურს უწევენ ამ „ისტორიის მათხოვრებს".

კოლხ-იბერიული ცივილიზაციის მემკვიდ-

რეობითობის სხვადასხვა წყაროს შესახებ რ. გორდეზიანი აღნიშნავს, რომ მათი „...ეთნიკურ-კულტურული სუვერენიტეტის გრძნობა მარტო გენეალოგიურ ფაქტორში როდი პოვებდა გამოხატულებას. იგი... რეალიზდებოდა ასევე გმირთა ეპოქამდე ამავალ, კოლხეთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ, რამდენსამე უნარსა თუ ხელოვნებაში“ (რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 30) და ავტორი ჩერდება ანტიკური, რომაული თუ ბიზანტიური ეპოქების ავტორთა მიერ მრავალგზის მოხსენიებულ და დადასტურებულ ფაქტებზე, ისეთებზე, როგორიცაა ჰეროდოტედან მოყოლებული არაერთგზის აღნიშნული კოლხური სელის პოპულარობა მსოფლიო ბაზარზე; ოქროს მოპოვების და დამუშავების ხელოვნება; ზოგადად, მეტალურგიის მაღალი დონე. მაგრამ მაინც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის წარმოდგენები და ტრადიციები, რომლებიც არსებობდა ათასწლეულების მანძილზე „კოლხური **დამწერლობისა** თუ კარტოგრაფიული ნიშნების – **კირბების** შესახებ“. ავტორი ასკვნის: ერთი სავსებით აშკარაა: ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული მაინც, ანტიკურსა და შემდგომ ბიზანტიურ სამყაროში, ბუნებრივია, ადგილობრივი, კოლხური ტრადიციის გათვალისწინებით, არსებობდა ძლიერი რწმენა, რომ დასავლეთ საქართველოში დამწერლობის ტრადიცია აიამდე ადიოდა (იქვე, გვ. 30). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველური მოდგმის სწავლა-განათლებას და კულტურას საკაცობრიო ცივილიზაციის შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული, ინარჩუნებს მემკვიდრეობითობას და აყალიბებს ერთიან ეროვნულ თვითშეგნებას. იმავე რ. გორდეზიანის პერიფრაზით, გენეტიკური ერთიანობის, ეთნიკური და კულტურული იდენტურობის საფუძველს ქმნიდა ხალხის ისტორიული მეხსიერება და მყარი მემკვიდრეობითობა მხატვრული თუ მატერიალური კულტურისა (იქვე, გვ. 32).

ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეპოქიდან ეპოქამდე, ქართველური მოდგმის თვითმყოფადი კულტურა და განათლება შედის ქრისტიანული ცივილიზაციის ხანაში და იკავებს თავის სრულფასოვან ადგილს. ამ ახალ კულტურაში მან სრულად გაიარა მისთვის დამახასიათებელი ყველა ეტაპი, გარდამავალი პერიოდის ჩათვლით.

* * *

ჩვენი აზრით, ძველი ქართული კულტურისა და აღზრდა-განათლების პროცესის დაკავშირება დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების პროცესთან სავსებით გამართლებულია. კოლხ-იბერული მოდგმის კულტურული ევოლუციის ყველა ეტაპზე, სხვადასხვა ფორმით თავს იჩენს ენისა და დამწერლობის საკითხი, რაც იმის დასტურია, რომ ქართველური ცივილიზაცია თავისი არსით უძველეს სადამწერლობო-მწიგნობრული კულტურის ფონზე ვითარდებოდა. თავის მხრივ, ეს მიმანიშნებელია ჩვენში სწავლა-აღზრდისა და განათლების უძველესი კულტურისა. ეს მუდმივი და განახლებადი, ხანგრძლივი პროცესი იყო. მასზე ზრუნავდნენ თაობები.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ საბოლოოდ გაიმარჯვა დიდ წარმართულ ცივილიზაციაზე, ამ ახალი კულტურის შემოქმედნი მუდამ ცდილობდნენ ამ ძველთაძველ ფესვებზე მითითებას, როგორც ეს გვაქვს იოანე-ზოსიმესთან, როცა ის წერს: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“, აქ ენა, როგორც ზ. გამსახურდია განსაზღვრავს, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც **ხალხი, ეროვნება, მოდგმა**. ამასთან, პოეტი ქართულ ეროვნებას არ იგულისხმებდა ქართული ენის გარეშე, კულტურის გარეშე (ზ. გამსახურდია, ესეები, გვ. 3 და 6). კულტურა კიდევ სწავლა-აღზრდის და შემოქმედებითი აზროვნებისა და ცოდნიერების ნაყოფია. ამდენად, ენაში „დამარხული საიდუმლოებანი“, მის მეტაფიზიკურ და ქრისტოსოფიურ საზრისთან ერთად, მითითებაა მის უძველეს ფესვებზე, საკაცობრიო ცივილიზაციასთან წილნაყარობაზე. იოანე-ზოსიმეს ეს ხაზი არც მისით იწყება და არც მისით მთავრდება. მას წინ უძღვის გიორგი

მერჩულის ფორმულირება და გრძელდება X-XII სს-ის აგიოგრაფიულ მწერლობაში, თუნდაც გიორგი მთაწმინდელის მაგალითი ქართველთა მოდგმის მოქცევის ანდრია პირველწოდებულიდან მომდინარეობაზე და ა. შ.

გიორგი მერჩულის ფორმულირების – „ქართულად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ – გაგების შესახებ. რ. გორდეზიანის მოსაზრება, რომ „ზემოთ მოტანილი აზრი საქართველოს ცნების განსაზღვრისთვის ქართული ენის გავრცელებულობის ძირითად კრიტერიუმად მიჩნევის შესახებ **თვისობრივად ახალ მოვლენაზე კი არ მიუთითებს, არამედ უკვე იმ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ფიქსაციაზე, რომლის ძირები წარსულში იკარგება“** (ხაზი – მ. ზ.) (რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 17). ეს მნიშვნელოვანი მოსაზრებაა ჩვენი კულტურისა და სწავლა-განათლების მემკვიდრეობითობის გასააზრებლად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეცნიერის მოსაზრება ქართული ენის უნივერსალურობის, სიძველისა და სტაბილურობის დამადასტურებლად იოანე-ზოსიმეს ჰიმნის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ მოხმობა. ავტორის თქმით, ის ამ ცნებებში გულისხმობს სადამწერლობო-საგანმანათლებლო ენის არმოწყვეტას ჩვეულებრივი სასაუბრო ენის ტრადიციებისგან. „იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს ნაწარმოები, ერთი აშკარაა – იგი არეკლავდა იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ქართულის, როგორც კულტურული თვითგამოხატვის ენის, მიმართ ჰქონდათ მთელ საქართველოში“ (იქვე). მაშასადამე, **ეჭვგარეშე უნდა იქნეს აღიარებული კოლხ-იბერული მოდგმის კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციების მემკვიდრეობითობა და სტაბილურობის პერმანენტული განვითარება, მისი უნივერსალურობა როგორც შიდაეთნიკურ, ასევე ზოგადკულტურულ და საგანმანათლებლო** (ვგულისხმობთ სწავლა-აღზრდის მთელ ციკლს) **მთელ სივრცეში**.

იოანე-ზოსიმეს ჰიმნთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის, რომ პოეტი ცდილობს მეტაფორული ხერხებით განსაზღვროს „ენაჲ ქართულის“, ე. ი. მისი მატარებელი მოდგმის კულტურული განვითარების მემკვიდრეობითობის ქრონოსი, დასაწყისიდან ვიდრე მოხდებოდეს ამ კულტურის ქრისტიანულად მეტამორფოზება. ამაზე ითქვა: „და ოთხისა დღისა მკვდარი“-ო, სადაც „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“-დაა გააზრებული.

მაშასადამე, პოეტის გააზრებით, ქართველური მოდგმის კულტურულ-საგანმანათლებლო ერთიანობას საფუძველი უდევს უძველეს გენეტიკურ და ენობრივ შრეებში და სათავეს იღებს ქრისტიანობის დამკვიდრებამდე 4000 წლით ადრე. ავტორისეული წარმოდგენების ასეთი გაგება ენაჲ ქართულზე და მისი მატარებელი მოდგმის კულტურულ ევოლუციაზე სრულად შეესაბამება თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს ზოგადქართველური განათლებული ცივილიზაციის ჩასახვისა და განვითარების შესახებ. რათა არ გავცდეთ ჩვენს კონკრეტულ მიზნებს, მხოლოდ ერთი მონაცემის დამოწმებით შემოვიფარგლებით.

აკადემიკოსი რ. გორდეზიანი წერს: ძვ. წ. 4000 წლის წინ იწყება წინააზიიდან გენეტიკურად ერთიანი მოდგმის ხალხის განახლება მთელი კავკასიის მასშტაბით, რომლის სამხრეთი საზღვარი ჩრდ. ირანამდე აღწევს, აღმოსავლეთი კი – კასპიის ზღვამდე, დასავლეთით შავი ზღვით და კავკასიის ჩრდილოეთი კალთებით. ამ სივრცეში მიმდინარეობს ამ მოდგმის დიფერენციაცია (დასახ. ნაშრ., გვ. 17).

მაშასადამე, ხმელთაშუა ზღვა – შავი ზღვისა და კავკასიური წინაისტორიული დიდი ცივილიზაციიდან ქართველური – კოლხ-იბერიული მოდგმის თვითკმარი კულტურის ფორმირება იწყება ღვთის განკაცებამდე – ქრისტე მაცხოვრის მოვლინებამდე 4000 წლით ადრე. შესაბამისად, პოეტისეული მეტაფორა „ოთხი დღის მკვდარი“, ამ დიდი პირველცივილიზაციიდან კოლხ-იბერული ახალი კულტურული ურთიერთობის ფორმირების თავურ საწყისად

და მისი აღმავალი გზით განვითარებად უნდა მივიღოთ, ვიდრე 4000 წლის შემდეგ არ „მიიცვალება“, როგორც ძველი აღთქმის კულტურის მატარებელი ლაზარე და იესოს მოსვლით და დაძახებით არ აღსდგება ახალ რწმენაში.

ამდენად, ეს 4000-წლიანი კულტურა – „ენაჲ ქართული“, უძველესი ცივილიზაციის ხალხთა ცოდვით დამძიმებული – ოთხი დღისა მკვდარი, აღსდგება ახალ მცნებაში, მოიქცევა ახალ კულტურაში, წმინდა ნინოსა და ჰელენე დედოფლის თანაღვაწებით (დობით).

ამდენად, ძვ. წ. 4000 წელი კოლხ-იბერული მოდგმის ახალ კულტურულ-გენეტიკურ ერთობად ფორმირების ათვლის წერტილად უნდა მივიღოთ. იოანე-ზოსიმეს სიმბოლური თქმით, ესაა ლაზარე ენის და მისი მატარებელი ხალხის ეთნოკულტურულად ფორმირების დასაწყისი. ეს ეთნოკულტურა, რ. გორდეზიანის აზრით, განიცდის შიდა დიფერენციაციას, ე. ი. ენობრივი და კულტურული თვალსაზრისითაც ისე, რომ არ კარგავს თავის ძირითად ცივილიზატორულ ხაზს და ფორმირდება კოლხურ და იბერიულ ორ დიდ, გენეტიკურად მტკიცედ დაკავშირებულ ძმურ ერთობად. ისინი უწყვეტ სულიერ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთურთთან და მონაწილეობენ ისეთ დიდ საერთო კულტურულ პროცესებში, როგორიცაა ტრადიციების, ზნე-ჩვეულებათა და რელიგიურ შეხედულებათა ფორმირება, რაც მთავარია, სადამწერლობო ენის შექმნაში, რომელიც სათავეს იღებს „კოლხური კირბებიდან“ და, უდავოდ, სრულყოფილ სახეს იღებს ფარნავაზ-ქუჯის გაერთიანებული სამეფოს ეპოქაში.

მართალ და ქედუხრელ ქალბატონს!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ყველა ჩვენგანისათვის საამაყო მამულიშვილო! გილოცავთ დაბადების ღამაზ თარიღს და, პირველ რიგში, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდ სიხარულს თქვენი საყვარელი ადამიანების, მთელი თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს ბედნიერებით.

თქვენ მიერ გამოვლილი გზა, თქვენი ბრწყინვალე შემოქმედება, თქვენი შეუდარებელი ბრძოლა საოცარი მაგალითია ქართველი ხალხის სანუკვარი მიზნების ერთგულებისა და თავდადებისა; თქვენი მებრძოლი კალამი ამორძალული შემართებით იბრძვის ერის უკეთესი მომავლისათვის, სამართლიანობისა და კანონიერებისათვის, ჩვენი საზოგადოების განკურნებისა და გაჯანსაღებისათვის; თქვენ ბოლომდე დარჩით შეურიგებელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ქვეყნის ინტერესები საკუთარ მიწიერ კეთილდღეობაზე გაცვალეს, რომლებმაც თავისუფლებამოპოვებულ თქვენს სამშობლოს და მის ჭეშმარიტ შვილებს ესროლეს, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს ერის წმიდათაწმიდა იდეალები.

ამგვარი ერთგულებისთვის თქვენ არ აგცდათ ხუნტის საპყრობილე, რეპრესიები, დევნა, შანტაჟი, დაშინება, ცილისწამებანი, მაგრამ თქვენ შეუვალი იყავით ყოველი განსაცდელის წინაშე, წარბიც არ შეგიხრიათ და ქრისტიანული რწმენითა და მოთმინებით სძლიეთ ბოროტს.

თქვენ თქვენი მართალი და ნიჭიერი კალმით ღირსეული ადგილი დაიკავეთ თანამედროვე ქართულ მწერლობაში, თანაც – როგორც მრავალმხრივმა შემოქმედმა: პოეტმა, პროზაიკოსმა, პუბლიცისტმა, საბავშვო მწერალმა.

თქვენ იდექით ჩვენი ეროვნული ჟურნალისტიკის მეწინავე მოღვაწეთა რიგებში, უშიშრად ამხელდით ქვეყნის გამაუბედურებლებს ეროვნულ ჟურნალებსა და გაზეთებში.

თქვენ იდექით ახალაღორძინებული ეროვნული მოძრაობის სათავესთან, გვერდით ედექით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, იყავით საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი და ხელი გაქვთ მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

თქვენ დღესაც რჩებით ამ მოძრაობის ღირსეულ წარმომადგენლად და ყველა ჩვენგანისთვის სათაყვანებელ ტაშკენტის 25-ში თქვენ ყოველთვის მოგელიან, როგორც სასურველ და საიმედო მეგობარსა და უმცროსი თაობების კეთილ დამრიგებელს.

თქვენ ხართ ყველა ჩვენგანისთვის უღალატო მეგობარი, სიტყვის პატრონი, ყველას სიხარულისა და სატკივრის გულთან მიმტანი.

თქვენ ხართ ბედნიერი დედა, სახელოვანი ვაჟების ზაზა და მამუკა ბაკაშვილების ღირსეულად აღმზრდელი.

თქვენ ხართ ბედნიერი ბებია, თუმცა ბებიობა რა სათქმელია, როდესაც უკვე დიდი ბებიაც გახდით და გვჯერა, ამ მხრივაც ბედნიერება უფრო გაგიმრავლდებათ.

დაე, წელთა სიმრავლეს თქვენთვის ყველა ნატვრის ახდენა მოეტანოს, რომლებიც თქვენს სამშობლოსთან, თქვენს ხალხთან არის დაკავშირებული.

თქვენ კი მრავალ, მრავალ წელს არ მოგკლებოდეთ სულიერი სიმხნევე, ფიზიკური სიჯანსაღე, გულის სითბო და თვალთა სინათლე, არ მოგკლებოდეთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანების სიყვარული!.. თქვენ არა მხოლოდ მათი, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღებისა და დაფასების ღირსი ხართ!

ჩვენ კი, დაე, დიდხანს გვყავდეს ჩვენი სათნო და საიმედო, ქიზიყურად ქედუდრეკი და მართალი ირინე ტალიაშვილი! ჩვენ ვამაყობთ თქვენით და გვჯერა, რომ თქვენით იამაყებს მომავალი საქართველო!

გურამ აბსანძე, ნემო ბურჭულაძე, გურამ პეტრიაშვილი, რობერტ პეტრიაშვილი, შალვა წიკლაური, ჯემალ შონია, მურმან ზაქარაია, ლუარა გამყრელიძე, ლაშა გვასალია, ნოდარ ჯალაღონია, დილარ ივარდავა, გიორგი სიჭინავა, ზაურ მოლაშხია, ბელა შალვაშვილი, ედემ კვირტია, მანგული ხუბუა, თეანა ზაქარაია, დავით ზაქარაია, კახა ქეცბაია, ვალერი გაბელია, გურამ მოლაშხია, დათო შამუგია, ზურაბ გუჩუა, ელგუჯა მესხია, თამაზ ფიფია, ალინა ჩაგანავა

ჯემალ შონია

სამშობლოს უებრო ჭირისუფალი

მეგონა, რომ ყოველი სათქმელი რუსავით წამორაკრაკდებოდა, სხივიან სიტყვებს ატაცებული ჩქერივით ვასხურებდი მოწყურებულ სულს და იოლად ჩამორიგდებოდა სიყვარულით გამთბარი სტრიქონები, რადგან ისინი ჩემი უახლოესი მეგობრისათვის უნდა მეძღვნა, ადამიანისთვის, რომელსაც თითქმის ყოველდღე ვხედავ და დასავით შეჩვეული ვარ... მაგრამ აგრე არ ყოფილა, მივხვდი, რომ სათქმელს იოლად ვერ მოვუხმობდი; როგორც კი ამ წერილის საწერად შევემზადე, საოცრად დიდი პასუხისმგებლობის ტვირთი დამაწვა მხრებზე, ვიგრძენი, რომ ეს ადამიანი მხოლოდ ჩემი მეგობარი არ არის, რომ იგი განსაკუთრებული წუთისოფლისა და შემოქმედების მატარებელი ქალბატონია, საქვეყნოდ ცნობილი და სახელგანთქმული, თავისი ცხოვრებით ბედნიერიცა და ტრაგიკულიც, მომავლისათვის დაუვიწყარი და ამ უსულგულო აწმყოში ბევრისთვის დავიწყებულიც, თანაც იმდენად დავიწყებული, რომ, პირდაპირ ვიტყვი, ზოგ ვინმეს თურმე ცოცხლებშიც არ ეგულება...

ეს ქალბატონი ირინე ტალიაშვილი გახლავთ.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ეს სახელი განუყრელადაა დაკავშირებული საქართველოს უახლეს ისტორიასთან; კერძოდ, საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადებულ მამულიშვილებთან ერთად ირინე ტალიაშვილიც ქმნიდა და წერდა ამ ისტორიის ამაღლებულ, დიად ფურცლებს; იგი თავიდანვე იდგა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეწინავე რიგში, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას უახლოეს თანამებრძოლთა კოჰორტაში, და უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისთავის ბრძოლაში; როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

ეროვნულ ხელისუფლებაში მოსვლამდე ირინე ტალიაშვილი უკვე იყო ცნობილი, როგორც საკუთარი ხედვისა და ხელწერის მქონე შემოქმედი, თანაც მრავალმხრივი: პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საბავშვო მწერალი. რაც მთავარია, ყველა ამ სფეროში ქალბატონი ირინეს მიღწევები ძალიან წარმატებული და საგულისხმოა.

უბატონო და ამაყი ქიზიყის სოფელ ძველ ანაგაში დაბადებულ და დაქალებულ ირინე ტალიაშვილს ლიტერატურულ ნიჭთან ერთად დაჰყვა თავისუფლებისა და სამართლიანობის დაუთრგუნავი განცდა, რომლისთვისაც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთხელაც არ შეუქცევია ზურგი, მაშინაც კი, როცა სამშობლოს სიყვარულისთვის ციხის საკანში იყო გამომწყვდეული და ათასნაირი უსამართლობა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შანტაჟი, არაკაცთა ურცხვი და უზნეო ცილისწამებანი იყო დაძრული მის წინააღმდეგ.

ირინე ტალიაშვილი ამ დიად ბრძოლათა შუაგულში იდგა ყოველთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ჩვენ თვალწინ განვითარებული ისტორიული პერიპეტიები მწერალმა თავისი მართალი კალმით აღბეჭდა და თაობებს დაუტოვა. ამგვარად, ირინე ტალიაშვილი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მხოლოდ მონაწილე და მოწმე კი არა, ის ჟამთააღმწერელიც არის, რომელმაც სწორედ ქართველი ერის თვალთახედვიდან გადმოგვცა ჩვენი რთული და დახლართული უახლესი ისტორიის შუქ-ჩრდილები.

2016 წლის დეკემბერი ირინე ტალიაშვილის საიუბილეო თარიღია. მისი ცხოვრების გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მან თვითონ აირჩია ბრძოლისა და ტანჯვის ეკლიანი აღმართები, ასე ავიდა იგი საკუთარ გოლგოთაზე და მამულისთვის თავშეწირულთა გვერდით დაიმკვიდ-

რა ადგილი. დღეს თითქოს ვერავინ ამჩნევს მას ქუჩაში თუ მეტროში, გვერდით ისე ჩაუვლიან, როგორც ერთ ჩეულებრივ მოქალაქეს, არადა, რამდენი ქარცეცხლი გამოუვლია, რამდენ ქარტეხილს გადარჩენია, რამდენი ღვაწლი და ამაგი გაუწევია სწორედ იმ ადამიანების საკეთილდღეოდ და სახსნელად, რომლებიც ვერც კი ამჩნევენ მასაც და, საუბედუროდ, მის ამაგსაც. არც ირინე ტალიაშვილი ცდილობს ხალხში გამოჩენას, როგორც იტყვიან, თავის შეხსენებას; მას თავისი ვიწრო სამეგობრო წრე ჰყავს, თავისი სულიერი მეგობრები, რომლებსაც იგი უყვართ, პატივს სცემენ და აფასებენ.

ჩვენმა გულგრილმა და გულმავიწყმა საზოგადოებამ, ჩემი აზრით, ვერ გაიგო და ვერ გაითავისა, რომ დღევანდელი ყველა პრობლემა, ყველა გასაჭირი, ყველა ნაკლი თუ დანაკლისი სათავეს სწორედ იმ ოცდახუთი წლის წინანდელი სისხლიანი დეკემბერ-იანვრიდან ღებულობს, როდესაც გარეშე მტერმა და გამყიდველმა ქართველებმა კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება განდევნეს და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი და მატერიალური ნგრევა დაიწყეს; შეიარაღებული პუტჩი სამეგრელოს აოხრებით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით გაგრძელდა, ხოლო ირინე ტალიაშვილსა და მის მსგავს პატრიოტებს ციხეებში ამწყვდევდნენ, დევნიდნენ და დღემდე არც ვინმეს მრგვალ თარიღებს, აღარც მათ შემოქმედებას იხსენებენ. მაპატიოს ირინემ, რომ მისდამი მიძღვნილ წერილში მიხდება ამაზე ლაპარაკი, რადგან იგი არავის არაფერს სთხოვს, მაგრამ საზოგადოება, ხელისუფლება იქნება ეს თუ რომელიმე შემოქმედებითი გაერთიანება, სწორედ ასეთი ჩუმი და უპრეტენზიო ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანების მიმართ უნდა იყოს გულისხმიერი და არა იმ გაქნილი, კვაჭი მოღვაწეების მიმართ, რომლებიც იუბილეების, პრემიებისა და საღამოების „ჩასაწყობად“ რკინის ქალამნებს ცვეთენ და მუხლებიც ჩოქვით საკმაოდ გადატყაული აქვთ.

აქვე სიმართლეც უნდა ითქვას, რომ ჩვენმა გულქვა დროებამ მაინც ვერ აუარა გვერდი ირინე ტალიაშვილის შემოქმედებას, კერძოდ, მისი საბავშვო მოთხრობები დღემდე არ მოშორებია სასკოლო სახელმძღვანელოებს და ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ირინეს ნაწერები –– საბავშვო მოთხრობები იქნება ეს, ლექსები, მოთხრობები, რომანები თუ პუბლიცისტური წერილები – აუცილებლად დაიმკვიდრებენ კუთვნილ ღირსეულ ადგილს თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

აი, წინ მიდევს ირინე ტალიაშვილის 1991 წელს გამოცემული წიგნი „პატივი ეცით სიკვდილს“, რომელშიც მისი პროზაული ნაწარმოებებია შესული. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ იგი ცხრა აპრილს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული ქართველების ხსოვნას ეძღვნება. მასში თავმოყრილი ყველა ნაწარმოები დოკუმენტური, საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი ამბების მიხედვით არის დაწერილი.

ამ წიგნზე საუბარი ბოლოდან უნდა დავიწყო, ანუ იმ ნაწარმოებიდან, რომელიც წიგნში ყველაზე ბოლოს არის დაბეჭდილი. ესაა რომანი „თავისუფლება სიჩუმიდან მოდის“, რომელშიც ყოფილი პატიმარი ქალის თავგადასავალია აღწერილი. ამ ქალბატონის პროტოტიპი ცხრა აპრილის დღეებში მოშიმშილეთა გვერდით იდგა და კინაღამ მომწამვლელი გაზის მსხვერპლი გახდა. ცხრა აპრილამდე, ანუ სულიერ კათარზისამდე, რომანის მთავარმა გმირმა ცხოვრების უმძიმესი გზა გამოიარა, რაც მას საბჭოურმა სინამდვილემ არგუნა, ისეთმა სინამდვილემ, როდესაც ციხის გარეთ ყოფნა უფრო სულთამხუთავი და დამთრგუნველი იყო, ვიდრე ციხეში გამომწყვდევა. ეს რომანი თვალწინ გვილაგებს ყველა იმ წინაპირობას, რომლებმაც არა მარტო ეს ქალბატონი, არამედ მთელი ერი მიიყვანა ცხრა აპრილამდე და „ხალხთა ძმურ ოჯახში“ ყოფნას დამოუკიდებლობა და თავისუფლება არჩია.

მაგდას მეხსიერება მდინარე ობის გაყინული ნაპირებიდან იწყება, სადაც იგი სამშობლოდან გადასახლებულ, გაციმბირებულ დედას გაჰყვა; ოთხი წლის პატარა „ზამთარში, დედასთან და სხვა ქალებთან ერთად, თითებს ითითხნიდა სელაპის ქონში, მერე მსხვილ ნართის ძაფებს ამ ცხიმში ავლებდა და თან გული ერეოდა... ეჩვენებოდა, რომ მთელ სოფელს დამპალი

თევზის და სელაპის ლეშის სუნი ასდიოდა“. იქ მაგდას გუშაგის ტყვიით მოკლული დედის საფლავი დარჩა, სამშობლოში დაბრუნებულს კი საბჭოთა „დემოკრატიით“ შეფუთული სისასტიკე ელოდა – სიყალბე, დაუნდობლობა, უსულგულობა, დაბეზღება, ღალატი, გაწირვა, რამაც ცხოვრების გზა აურია... ეს არა მარტო ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი საზოგადოების, მთელი ერის ტრაგედია იყო, თრგუნავდა და სპობდა ეროვნულ ენერგიას, ღირსებას; ამიტომაც ათქმევინებს ავტორი რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს, დედა მარიამს: „თუ საზოგადოება მახინჯი და მანკიერია, ვის მოვთხოვოთ მისი წევრის განკურნება?.. დღეს-დღეობით, კვლავ უილაჯო მცირიშვილების და უნიათო, სულიერად დასაჭურისებული ხევისთავების გზით მივემართებით, მომავალს კი ჯაყოები ეპოტინებიან... თუ დროზე არ ვიზრუნეთ, ჩვენი მამული ხელიდან გამოგვეცლება... ჩვენი მიწები გაპარტახდება და გაიყიდება“.

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები მეტ-ნაკლებად ასახულია ჩვენს მწერლობაში. ეს ეხება 1989 წლის 9 აპრილსაც, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია საბჭოური დანაშაულებრივი რეჟიმის უძლეველობის მითი, ახალი სუნთქვა შთაბერა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპის დასაბამად იქცა. თუ ვინმე დაინტერესდება იმით, თუ როგორ აისახა 9 აპრილის ამბები ქართულ ლიტერატურაში, გვერდს ვერ აუვლის ირინე ტალიაშვილის მოთხრობების ციკლს, მიძღვნილს ამ მოვლენებისადმი. ეს არის მხატვრული აღქმა ბრძოლისა და თავდადების იმ ეპოპეისა, რომლის მოწმეც აპრილის ის დღეები გახდა; ეს მხატვრული აღქმა ისე დამაჯერებელია, იმდენად ბუნებრივი და უშუალო, რომ მკითხველი მაშინდელი სინამდვილის მოწმე და მონაწილე ხდება.

მოთხრობების ამ ციკლში მწერალი სრულიად განსხვავებულ, სხვადასხვა წარსულისა და მისწრაფების ადამიანებს გვაცნობს, მაგრამ მათ აერთიანებთ უმთავრესი რამ: სამშობლოს ბედი, მისი ხვალინდელი დღე, რომელსაც ისინი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაში ხედავენ; ამ უმთავრესმა მთელი ერი ერთ მუჭად შეკრა და მტრის წინაშე ერთიანად დარაზმა.

მოთხრობაში „ოკუპანტები ანუ პატივი ეცით სიკვდილს“ გადმოცემულია განცდები დედისა, რომელიც 9 აპრილის მძიმე განთიადის შემდეგ შვილს ეძებს და ბოლოს გარდაცვლილს პოულობს – მისი ლუკა, ოკუპანტების მიერ ნაცემი და დაჭრილი, საავადმყოფოში კვდება. სანამ დედა ამ საზარელ ამბავს გაიგებდეს, სულ რამდენიმე დღეში მან თითქოს მთელი ცხოვრება გამოიარა, კოშმარულ კადრებად ერთმანეთს მიდევნებულმა მძიმე რეალობამ ადამიანების ნამდვილი სახე დაანახვა და თვითონაც უსამართლობასთან შეურიგებელ ადამიანად იქცა. პირველ რიგში იგი მაინც დედაა, – შვილის ბედით აფორიაქებული, ავი წინათგრძნობით გატანჯული და გამწარებული. რა თქმა უნდა, მას უნდა, რომ შვილი მტრის მსახვრალ ხელს გადაურჩეს და საღ-სალამათი დაუბრუნდეს, მაგრამ ამ დროს ყურში ლუკას სიტყვები ჩაესმის: „როდესაც ერი თავისუფლებისათვის იბრძვის, მისი თითოეული წევრი დედას და მამას კი არა, მამულს ეკუთვნის, ღმერთს ეკუთვნის...“ ქალი თანდათან ხვდება, რომ ლუკა მართალი იყო: „...ლუკა მე აღარ მეკუთვნოდა, ლუკა მიზანს ემსახურებოდა... მე უნდა შევგუებოდი ამას, მე უნდა დამეთმო იგი ერისთვის, საქართველოსთვის. ასე მოისურვა ლუკას ბედის მწერალმა“.

ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟის პროტოტიპად გარკვეულწილად შეიძლება თვით ავტორი მივიჩნიოთ, ოღონდ იმ ბედნიერი განსხვავებით, რომ ირინე ტალიაშვილის ვაჟები, შემდგომში ცნობილი ჟურნალისტები ზაზა და მამუკა ბაკაშვილები, ტყვიასა და უბედურებას გადაურჩნენ, თუმცა დედას ისინი კალთის ქვეშ არ შეუფარებია და გვერდით ედგნენ მას 9 აპრილის დღეებშიც და 90-იანი წლების დასაწყისშიც, პუტჩისტების მიერ დანგრეულ თბილისში იყო ეს თუ ცეცხლმოდებულ სამეგრელოში.

9 აპრილის განთიადის ტრაგიკული, ამაღელვებელი და ამაღლებული სურათია აღწერილი მოთხრობა „მედროშეში“. ქალიშვილს წმინდა გიორგის დროშა უჭირავს, მისი მეგობ-

რის დედა კი ცდილობს გოგოსთან ახლოს იყოს, გადაეფაროს და დაიცვას: „- მოვდივარ, ნინო! – ისევ უნდოდა დაეძახა ნატას, მაგრამ ხმა აღარ ეყო. ყელი უცებ მკვრივი, წებოსავით თხიერი სითხით ამოევსო... ძალა მოიკრიბა, რომ არ დაცემულიყო, მერე ნელ-ნელა მოიღვენთა და ვარდის ბუჩქზე დაეშვა. იმ წამს წმინდა გიორგის დროშამაც იელვა და გვერდზე გადაიხარა. სიკვდილის სახიანმა ნიღბოსანმა მედროშე გოგონას მთელი ძალით დასცხო ხელკეტი მხარზე. გოგონა უხმოდ ჩაიკეცა. ჯალათმა დროშა გამოჰგლიჯა და ჩექმიანი ფეხით გადათელა...“

როგორც აღვნიშნეთ, აპრილის მოვლენებმა მთელი ერი გააერთიანა, თუმცა მათ შორის არ იგულისხმებიან ურწმუნო, კუჭისა და თანამდებობების მონა ადამიანები, გონებადაბინდული ინტელიგენტები. მიუხედავად ამისა, თვით კომუნისტებს შორის აღმოჩნდნენ ღირსეული მამულიშვილები. მწერალი ასეთად წარმოგვიდგენს ლევან ჯანდიერს (მოთხრობა „პოეტის სიკვდილი“), რომელსაც ჯიბეში ნიტროგლიცერინთან ერთად პარტბილეთი უდევს. წამალი მის ნაინფარქტალ გულს შველის, ის წითელი წიგნაკი კი სულს უტანჯავს, უნდა და ვერ გადაუწყვეტია მისი გადაგდება, საჯაროდ დაწვა, თუმცა ეროვნულ საქმეს საბოლოოდ სიცოცხლესაც სწირავს.

გარედან შემოსული მტერი არასოდეს არ გვაკლდა და ამ დროს თვითონ ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს ვუღებდით და ვუღებთ ბოლოს. ეს სამწუხარო რეალობაა და თუ დღეს არც ისე სახარბიელო ცხოვრება გვაქვს, ამის სათავე სწორედ ერთმანეთის გაუტანლობიდან, დაუნდობლობიდან, კაენის ცოდვიდან მოდის. ამ თემას უფრო კონკრეტულად ირინე ტალიაშვილის მეორე წიგნზე საუბრისას დავუბრუნდებით, ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ეროვნული ენერგია, ქართველი კაცის შემართება სხვა ქართველის სულმოკლეობასა და უგუნურებას მრავალჯერ შესწირვია. ეს ყოველივე განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა იმ დროს, როდესაც ერის ცხოვრებაში დგება განსაკუთრებული თანადგომისა და ერთობის აუცილებლობის ჟამი.

მოთხრობა „ომეგის“ მთავარი გმირი მოხუცი პროფესორი და სტუდენტების საყვარელი პედაგოგია. შორეულ ოცდაჩვიდმეტში ორთაჭალის ციხეში გამოამწყვდიეს, შემდეგ ციმბირის გზას გაუყენეს. გადასახლებიდან მკერდზე პოლიტპატიმრის დამღით დაბრუნდა; ახლა კი, ოთხმოციანი წლების ბოლოს, ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულიყო და არცერთ მიტინგს არ აკლდებოდა, „ყველგან უნდოდა, ახალგაზრდებს გამოჰქომაგებოდა, მათი რიგები დაეცვა, მათი სიყვარული გაემართლებინა“. მოხუცი მეცნიერი სულმოუთქმელად ელოდებოდა თავისუფლების დღის გათენებას, მაგრამ ხანდახან სასოწარკვეთილება ეძალებოდა; „განსაკუთრებით მაშინ იგრძნო თავი უძლურად, უცნობი მკვლელის ხელით განგმირული საყვარელი სტუდენტი რომ იხილა. მანამდე თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ უცებ ჩამოიგლიჯა ფარდა სინამდვილემ და თავისი შემზარავი სახე დაანახვა. ახლა მიხვდა, რაც უფორიაქებდა სულს. საქართველო სისხლის ჭაობად ქცეულიყო. აქამდე დაფარულმა სისასტიკემ და უზნეობამ უცებ იჩინა თავი. ზედიზედ იხოცებოდნენ ახალგაზრდები უჩინარი კაენების ხელით და მართლმსაჯულება უღონო ხდებოდა“... მიტინგებზე გამოსვლისას მოხუცის მთავარი სათქმელი სწორედ ეს თემა იყო; ამ დროს იგი აღშფოთებისგან გმინავდა, მთელი სხეულით ცახცახებდა, უმწეობის ცრემლები ახრჩობდა და უნუგეშოდ ეკითხებოდა სულგანაბულ ხალხს: „ესა ვართ ქართველები?.. ეს არის ჩვენი მიმტევებლობა, მოყვასისადმი სიყვარული და სათნოება?.. ვინ უპატრონოს დამოუკიდებელ საქართველოს?“...

...და აი, ეს მოხუცი, რომელმაც გაუძლო ციხეს, გადასახლებას, ურანის მაღაროებს, რომელმაც პოლიტპატიმრის დამღა ოთხმოცწლამდე ატარა სახელოვნად, აქ, საკუთარ ქვეყანაში, თავის სადარბაზოში თვითონვე ხდება ვიღაც მძარცველისა და მკვლელის, შეუბრალებელი ქართველი ახალგაზრდის მსხვერპლი.

მწერალი დარბეული თბილისის შემყურე და კომენდანტის საათის მოთვალთვალე გადამთიელ ჯარისკაცთა შორის ერთ რიგით ჭაბუკს გამოარჩევს (მოთხრობა „ჯარისკაცი“), რომლის აზროვნებაში თბილისის მოვლენებმა

ძირეული გარდატეხა მოახდინა და საბჭოური სინამდვილის მიმართ ზიზღით განაწყო: „ამ დილით, გვამებითა და დაჭრილებით სავსე მოედნის გასაწმენდად რომ მოიყვანეს, ჯარისკაცი მაშინ მიხვდა, როგორ დაკარგა სიტყვა „სამშობლომ“ მნიშვნელობა და უფორმო, ერთსახოვანი ასოების გროვად იქცა. რა უფლება ჰქონდა, სხვისი მიწისთვის თავისი ეწოდებინა, მაშინ როდესაც მართლა „თავისი“ სხვას ეკუთვნოდა... ხომ შეიძლება, ახლა „სამშობლოს დაცვის საბაბით ისევე ხოცავდნენ და ჟლეტდნენ მის ხალხს, დედას, დაიკოს, სატრფოს...“

ირინე ტალიაშვილის ამ წიგნში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ვრცელი მოთხრობა „შეთეთრებული სამარხები“, რომელიც აფხაზეთში 15-16 ივლისის და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ეხება. მწერლის მხატვრული ფანტაზია ოდნავადაც არ აკნინებს სინამდვილეში მომხდარ ამბებს; თითქოს მის თვალწინ ხდებოდა ყოველივე, ისე დამაჯერებელია მის მიერ აღწერილი სურათები. მოთხრობა ღალიძგის ხედზე 15 ივლისს, გვიან ღამით, მიმდინარე მოვლენის აღწერით იწყება. მე თვითონ გახლავართ იმ მოვლენის მოწმე და ალბათ ცხვირწინ ჩამიარა იმ ტყვიამ, რომელიც ჩემგან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით მდგარ ოქუმელ ახალგაზრდას ნური შამათავას (მწერალი მას ნუკრი შამათავად გვაცნობს) საძილე არტერია გაუწყვიტა. დამაჯერებელია შემდგომი სიუჟეტიც, გმირთა ხასიათები, სეპარატიზმის სენით შეპყრობილ აფსუათა სახეები, იმ დროს გამეფებული განუკითხაობა, სიყალბე, ვერაგობა, ჯანსაღი ტრადიციების უპატივცემულობა, უმადურობა, ორპირობა...

დიახ, სიმართლე და დამაჯერებლობაა ირინე ტალიაშვილის წიგნების მთავარი ღირსება, ამ ღირსებით არის შემკული მთელი მისი ცხოვრება.

...მაგრამ არის ირინე ტალიაშვილის ერთი წიგნი, რომელშიც თითქოსდა დაუჯერებელი ამბებია მოთხრობილი, მაგრამ, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ეს ამბები მართლაც მოხდა და მათი შემოქმედი ის მოღალატე, სულგაყიდული ქართველები არიან, რომლებმაც 90-იანი წლების დასაწყისში სისხლის კალო დაატრიალეს და ჩვენს ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ სამშობლოს ზურგში მახვილი ჩასცეს. ეს წიგნია ირინე ტალიაშვილის „ქრისტეშობისთვის სისხლიანი ქორონიკონი“, ეს უკვე პუბლიცისტიკაა – მართალი, მამხილებელი, პირუთვნელი, რომელიც მომავალ თაობებს უტყუარი ფაქტებით მოუყვება ჩვენი სამშობლოს ისტორიის იმ შავბნელი პერიოდის შესახებ.

ამ წიგნის მნიშვნელობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ამ წერილში თვითონ ავტორის ამ სტრიქონებით შემოვიფარგლებით:

„შეუძლებელია, ქართველმა მწერალმა იხილოს, განიცადოს, გადაიტანოს მოძმის მიერ მოძმეზე აღმართული ავტომატის ლულიდან გამოფრქვეული ცეცხლის სიმწვავე და არ შეძრას მისი არსება სულიან-ხორციანად, საკუთარ თავთან არ განმარტოვდეს, მწუხარებას და სინანულს არ მიეცეს...

არასოდეს დამავიწყდება რუსთაველის პროსპექტზე, შენობების ქვეშ, აქა-იქ შეყუჟულ ქართველთა სახეები და მრისხანებით ანთებული თვალები. ამ უბედური დღის სურათები ცეცხლოვანი კადრებივით ჩაჯდა მეხსიერებაში... ჩვენ, ამ სისხლიანი ისტორიის მონაწილეებს უფლება არა გვაქვს, შთამომავლობას არ გავუზიაროთ ნანახი და განცდილი. თუმცა ისიც ვიცით, რომ ისტორიის გაკვეთილებს ძალზე ნაკლებად ითვისებს ახალი თაობა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას და მწერალმა როგორი ყალიბითაც უნდა გამოძერწოს, როგორი ფორმითაც უნდა წარადგინოს ეს სათქმელი მკითხველის წინაშე, უპირველესი მისი ღირსება სიმართლე იქნება. ამ სიმართლით უნდა მოვიგოთ ისტორიის თვალიც და გულიც.“

მკითხველთან, თავის სამშობლოსთან ასეთივე მართალი და გულწრფელია ირინე ტალიაშვილი, როგორც პოეტი. მისი ლექსები ძირითადად მამულის სატკივარს დასტრიალებენ თავს და მის უკეთეს მომავალზე ლოცულობენ. მეამაყება, რომ მისი ლექსების ორი კრებული ჩემი რედაქტორობით გამოვიდა: „მშვიდობით, წლებო“ და „დღეი ანგელოზისა“. ამ უკანასკნელის წინასიტყვაობაში აღვნიშნავდი და აქაც ხაზს გავუსვამ, რომ ირინე ტალიაშვილი სათუთად უვლის და ესათუთება მშობლიურ ენას,

ქართულ სიტყვას. ირინეს, როგორც „ნინოს მზის ნასახლარში ჯვარზე მლოცველს“, მისთვის ჩვეული სითბოთი და სიტყვამარილიანობით მიაქვს მკითხველამდე სათქმელი. მთავარი სათქმელი კი, როგორც აღვნიშნე, სამშობლოა თავისი გმირული წარსულითა და ტკივილიანი აწმყოთი. მისი ლექსების ლაიტმოტივად ამიტომაც შეიძლება ჩაითვალოს პოეტი ქალის სტრიქონები: „სხვა სიტყვა თითქოს გახუნდა, გაცვდა, სიტყვა „სამშობლო“ არის მარადი“. ირინე ტალიაშვილთან არცერთი პოეტური სიტყვა არ შეიძლება, რომ „გახუნდეს და გაცვდეს“, მაგრამ ამ შედარებით მკითხველს აგრძნობინებს სამშობლოს უმაღლესობას, მამულის უპირველესობას, სამშობლოს, როგორც ღმერთთან გაიგივებულ ჭეშმარიტებას: „ვინ თქვა, დაბერდი, სამშობლოვ ჩემო, ღმერთი ოდესმე განა ბერდება?“

ერთ-ერთ ლექსში ირინე ტალიაშვილი ამბობს: „მაგრამ სიცოცხლე ჩალადაც არ ღირს, თუკი ამქვეყნად არ გაქვს მიზანი“, სხვა ლექსში კი ეს მიზანი ასე კონკრეტდება: „ცხოვრება ჩემთვის ბრძოლის ხედია და ზედ კიდია მამულის ბედი, ჩემი მიზანი, აზრი იგია, აღშენებული და შემოქმედი.“

მამულზე დაწერილი ლექსები მშობლიური ალაზანივით მაცოცხლებელ იმედად და მწყალობელ ნუგეშად არწყულებს მკითხველის გულსა და გონებას, გვახსენებს გამარჯვებასაც და დამარცხებასაც, თავდადებასაც და ღალატსაც, ამაღლებასაც და დაცემასაც. მის ლექსებში ვიხილავთ მშობელი კახეთის სილამაზეს თუ ლეგენდასავით ცაში წასულ მამულის გმირებს, არაგველების სისხლით მორწყულ კრწანისს თუ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართველების ხელითვე დარბეულ ზუგდიდსა და სამეგრელოს. „მე კი ვზივარ და სასომიხდილი ჩემი სამშობლოს ტკივილებს ვითვლი“, – ამბობს პოეტი, მაგრამ „ტკივილების თვლა“ ტკივილებზე მალამოს დადებასაც ნიშნავს. ჩვენთვის ეს მალამო პოეტის რწმენაა, რომ „ხორცით ძლეული“ ხალხი კვლავ იპოვის ჭეშმარიტების გზას, რომ წავა დრო, როცა „ვიცოდით ფასი ოქროს დუმილით და მორჩილება ოცდაათ ვერცხლით“.

„ალბათ ესაა სულის იმედი და მომავალიც მიტომ უხარის, რომ კვლავ ვიხილო მამული ჩემი თავისუფალზე თავისუფალი“ – აი, ეს არის პოეტი ქალის უმთავრესი სათქმელი და ჩვენი, მისი მკითხველების, უმთავრესი სათქმელიც, რის გამოც გვიყვარს ირინე ტალიაშვილი და მისი სიტყვამართალი შემოქმედება.

ყოველივე ზემოთ თქმულს იმით შევაჯამებთ, რომ ირინე ტალიაშვილს წუთითაც არ უცხოვრია მამულზე ფიქრის, საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლისა და უკეთესი მერმისისათვის ზრუნვის გარეშე. სამშობლოს მოღალატენი და გამყიდველნი, ხელისუფლებაში სისხლიანი პუტჩის გზით მოსულნი, მწერალ ქალს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, პატრიოტ დედასა და მოქალაქეს, დევნიდნენ, ციხეში ამწყვდევდნენ, მისი შემოქმედება კი იბრძოდა და დღესაც იბრძვის სამშობლოს მომავლისათვის, ღირსებისა და სამართლიანობისათვის.

ირინე ტალიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის, რადგან მისი წუთისოფელი, მისი ღვაწლი დამშვენებულია სამშობლოსათვის თავდადებით, გაუტეხელობით, მოუსყიდველობით, სიმართლის ერთგულებით. ამ თვისებების მატარებელი ადამიანი, თანაც შემოქმედი, ბევრი ტანჯვისა და უსამართლობის მიუხედავად, ბედნიერია და ჩვენც კანონიერად უნდა ვიამაყოთ, რომ გვერდით ნუგეშად და მაგალითის მომცემად გვყავს სამშობლოს უებრო ჭირისუფალი, ალალ-მართალი შემოქმედი და უსაზღვრო სიკეთის მთესველი ქალბატონი – ირინე ტალიაშვილი.

დეკემბერი, 2016 წელი

სიტყვითა და გზით

... როგორ გარბიან წლები, როგორ იგიჟებენ თავს და ესწრაფვიან დაასრულონ ის, რაც უფლისგან ძლივს და ძლივს გვღირსებია ცოდვითა და შურით დამძიმებულ საადამიანოს!.. ვიცი, რა და როგორია ბავშვობა, სიყმაწვილე, შუახნობა... აი, მერე და მერე არ ვიცი, თუ მოვესწარ და გავიგე – ამაზეც უთუოდ დავწერ ჩემეულ რამეებს... სიცოცხლეზე კი ისევ ის წარმოდგენა მექნება, რომელიცა და როგორიც მქონდა, – მოკლეა ძალიან, ერთი თვალის მოხუჭვაში ჩატეული საყველაფრო. ეს კაეშნური რამეები ჩვენი სახელოვანი, ცამაღალი პოეტის, პროზაიკოსისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის – ირინე ტალიაშვილის 70 წლის იუბილემ ამომათქმევინა. „ძველდებიან“ ჩემი სიჭაბუკის თვალმახარა ქალბატონები, მეც მივნაბიჯებ სიძველისკენ და გული მეთანაღრება აგრე ჰარიჰარად, ბაბუაჩემი რომ იტყოდა, უპრაგონოდ დახარჯულ წლებზე, ხურდა ფულივით მიმობნეულ უდარდელ დღეებზე, ყველაფერი რომ უხდებოდათ თუ ყველაფერს რომ იხდენდნენ. ქალბატონი ირინე ტალიაშვილი – პირველ ყოვლისა პურის ყანა, ჩამზეკაბანებული, თავთავებდამძიმებული და შემოდგომისად ჩაღრუბლული... იმდენი რამე მოუსწრია და გაუკეთებია ჩვენს ძვირფას იუბილარს, თვალი რომ გადავავლოთ მის ჯაფით ქანცგაწყვეტილ წარსულს, ქედის მოხრა მომინდა – მისი ლექსებისთვის, მოთხრობებისთვის, „კარდუსთვის“, იმ ერთგულებით გაფოლადებული გზისთვის, მისეული ანაბეჭდებით რომ იწონებენ თავს.

ირინე ტალიაშვილი ჩვენი ღმერთგანდევნილი რეალობის მედავითნე გახლდათ, დროის ქარსა და ქარაშოტს მამაკაცური ძალღონიანობით შეჭიდებული, ვერანაირმა ბედუკუღმართობის ტრაგიზმმა რომ ვერ დაუმოკლა ეროვნული იდეის სამწვერვალოსკენ მიმართული ნაბიჯები. ის ყველასგან გამოირჩეოდა მისეული რეფლექსურობითა და კანთიელობით, გულითა და დედაკაცის მისანდო კალთით დაატარებდა აუცილებელსა და გასაშინაგნებელს... მართალი იყო მუდამ და მიტომაც... როგორც ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ წაიღებ, ისე ერთი ხელის მოსმით ჩვენი ბრწყინვალე შემოქმედისა და ეროვნული მოღვაწის პორტრეტს ვერ შექმნი, თუმცა მონახაზისა თუ ჩანახატის გაკეთება ხომაა შესაძლებელი, ამას მაინც არ სჭირდება ჯადოსნური სასუმელი და არც სხვა რამ.

ჩვენი საუკუნის იდეური და სულიერი ტრაგიზმები გასული საუკუნის დასაწყისსა და მიწურულს მომხდარი მძიმე ნეგატიური პროცესების გამოძახილის ლოგიკური გაგრძელებაა. ქართველმა ერმა ტყვიით განგმირა ორი ბუმბერაზი ქართველი – ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია. ილიას მკვლელებს – ჟორდანიას ხელმძღვანელობით ერის გადამრჩენი ვუწოდეთ და დიდების საკმეველი ვუკმიეთ, ზვიად გასახურდიას მკვლელებს – შევარდნაძის მეთაურობით დღემდე დიდ პოლიტიკოსებად და მოღვაწეებად ვრაცხთ და სულგაკმენდილნი შევყურებთ. ირინე ტალიაშვილს ბევრისგან განსხვავებით თვალი არასდროს მოუხუჭავს და ტაში არ შემოუკრავს სიბილწისთვის, მახინჯი რეალობისთვის, ამიტომაც იყო მუდამ დევნილი და საკითხვისნიშნო, ყლარტაყლურტა ჩინოვნიკების მხრიდან დაგულოვნებული. საქართველოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგომა, ზვიადისა და მერაბის იდეების ერთგულება მისი არსობის უმთავრესი მიზან-საკეთებელი გახლდათ და პიროფლიანობით ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, ისეთი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, – უთუოდ ირწმუნებდი დოსტოევსკისეულ „ტანჯულ გენიის უნაპირობას“...

ირინე ტალიაშვილი ჩემი უფროსი მეგობარი, თანამებრძოლი, კოლეგა და მასწავლებელია. მისმა წრფელმა ღვაწებამ დამანახა სულიერი კულტურის სფეროში ადამიანის ღირსების მნიშვნელობა, სიკეთისა და სიყვარულის, მეგობრობისა და უღალატობის ფასი.

წლები გავატარეთ ერთ რედაქციაში, ვიმუშავეთ, ვიღვაწეთ, ვიშიმშილეთ, ვიტკივილეთ, ვიღიმილეთ, გავიხარეთ ერთად მრავალგზის და იოტისოდენა ზადი და სატკივილო არ გვახსოვს ერთმანეთისგან. მე ვუწყოდი მისი ფასი, ვიცოდი, რამხელა შემოქმედთან და მოღვაწესთან მქონდა საქმე და ვბედნიერობდი. ჩვენ ბევრი რამ ვიხილეთ და გადავლახეთ ერთად, გვერდიგვერდ დგომით. რაც შევარდნაძის რეჟიმისგან უფლების უგუნური გამოყენებით, ძალადობის ინტელექტუალურ, მორალურ და პიროვნებისეულ სივრცეში გადასვლით მიგვიღია, ახლა რომ ვუფიქრდები, – მოწამეობრივი ტანჯვა სწორედაც ამას ჰქვია.

ქ-ნი ირინე ყოველთვის მართალი იყო და ყველგან მისაბაძი, ის არ ჰგავდა არავის, ცალკე ქმნილი სახე გახლდათ, ზნეობრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობებით დახუნძლული. ამიტომაც მისი შემოქმედებაც, გონებისა და სინდისის ცნებებზე დამყარებული, სულიერ საზრდოდ ეფინებოდა ყველა კეთილი ნების ადამიანს, ვისთვისაც ქართული სიტყვა უმთავრეს ბალავარს წარმოადგენდა ჩვენი სახელმწიფოსი. ეს გახლდათ, სწორედაც, მთავარი მიზეზი იმისა, რომ მისი შემოქმედება გახალხურდა და, რომ იტყვიან, ერში ძირი გაიდგა. ერთგულებითა და თავდაუზოგავი შრომით ირინე ტალიაშვილმა შექმნა თავისი სამყარო, თავისი „მე“, განსაზღვრა საკუთარი კულტურული თვითიგივეობა – შორეული ცხოვრების საზრისით გამოკვერილი, რომელიც როგორც გონებიდან, ისე მისი უშურველი და უკეთილესი გულიდან მომდინარეობდა. არაერთხელ აღმინიშნავს და ახლაც ხმამაღლა ვიტყვი: ჩემთვის, როგორც შემოქმედისა და ჩემი ხალხისა და ქვეყნის პატრიოტი ადამიანისთვის, სულიერი კულტურის სფეროში და მის გარეთაც მთავარია ღირსების მნიშვნელობა. ქალბატონი ირინე ტალიაშვილი უღირსეული ადამიანია! – სიმბოლო ერთგულებისა, სიყვარულისა, თავდადებისა და ყველა იმ სიკეთისა, რომლის სამშვინველსაც უბრალო ადამიანი უფლისეულ ჭეშმარიტებამდე მიჰყავს.

ვულოცავ ქალბატონ ირინეს იუბილეს, ვულოცავ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ვულოცავ მის ლამაზ ოჯახს, ვაჟებს, რძლებს, შვილიშვილებს, ნაგრამს მისას და ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ირინე ტალიაშვილი წარმოადგენს სიტყვასა და გზას.... მრავალჟამიერ, ჩემო ულამაზესო და უსაყვარლესო უფროსო კოლეგავ და მარადსახსოვარო თანამებრძოლო!

უღრმესი პატივისცემით,

ლაშა გვასალია

ჩვენი ირინე

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოში ირინე ტალიაშვილის ნაწარმოებს წავაწყდი. სუნთქვა შემეკრა, რა იციან დღევანდელმა ბავშვებმა მის შესახებ? ძალიან ცოტა რამ, დასანანია! მე კი ბევრი რამ მქონდა მოსაყოლი ჩემი მოსწავლეებისთვის.

თვალწინ საქართველოს უახლესი ისტორიის ტკბილ-მწარე დღეებმა გამიელვა: თავისუფლებისთვის ბრძოლა, ქართველთა ერთსულოვნება და სანუკვარი ოცნების ახდენა, დამოუკიდებლობის მოპოვება. შემდეგ კი მოღალატეთა ხელით თავსდატეხილი უბედურება, გაყიდული სამშობლო და ზურგში ჩაცემული მახვილი, დამხობილი კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება, ქალბატონი ირინეს და მისი თანამებრძოლების თავგანწირული ბრძოლა ქვეყნის გადასარჩენად.

ქალბატონო ირინე, თქვენც ხომ თქვენი ქვეყნის ბედი გაიზიარეთ, მისი ლხინით და ვარამით იცხოვრეთ.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯეროვნად დაფასებული არასდროს ყოფილან ის ადამიანები, რომლებიც ამას ნამდვილად იმსახურებენ. თუ ჩვენს მომავალ თაობას არაფერი ეცოდინება ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანების შესახებ, ისინი ვერაფერ ღირებულს ვერ შეითვისებენ. აქედან იწყება ჩვენი გადაგვარებაც.

ბედნიერი ვიყავი, მოსწავლეების თვალებში ინტერესი და განცდები რომ ამოვიკითხე, როცა მოვუყევი, რა ვაჟკაცურად გადაიტანეთ ეს განსაცდელი, რომელიც მანქურთებმა დაგატეხათ თავს თქვენც და ჩვენს ქვეყანასაც.

ამ გამძლეობისთვის გვიყვარხართ და გვეამაყებით მთელ ჩვენს ოჯახს. თქვენი ღვაწლი მართლაც რომ სამაგალითოა, იცოცხლეთ დიდხანს,

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს!

მარინე ფაჩუაშვილი
სოფელი კირცხი, ჩხოროწყუს რაიონი

ირინე ტალიაშვილი

ერის პოეტი

1
როგორც ამბობდა გალაკტიონი
და არა „ვინმე მიეთ-მოეთი“,
საქართველოში მუდამ ფასობდა
დაფნის გვირგვინი ერის პოეტის.

მითს უწოდებდნენ მგოსანთა მხარეს,
ქართლის სავანეს ქართულ ლირიკის,
აქ ტაბუ ედო მუზების სახელს
და არა ავტორს მრუდე ქილიკის.

მითს უწოდებდნენ მგოსანთა მხარეს,
ცისა და მიწის შუაკაც ენას,
შოთას შაირი შუქს ჰფენდა მთვარეს
და ორფეოსის ადრიდნენ ლხენას!

აკაკის ჩონგურს რთავდნენ ვარდებით
და ტატოს ფრთებით ასხლეტილ მერანს
მიამგვანებდნენ ჰელიას ჰუნეს,
პარნასის ცაზე პარისის მდევარს!

თუმც არ ულხინდა ზოგჯერ ქურუმსაც,
ცეცხლს აჩაღებდა რიტმით ქურაზე,
წმინდა გიორგის ლოცვით და მადლით
გველეშაპს კვეთდა ლექსით შუაზე!

და არა ისე, მდედრულ-ქაჩლურად,
კვნესა-კრუსუნით იხმობდნენ მუზას,
ლეკის მთის ძირას ირწევდნენ აკვანს,
გურგენის ზღვასთან უშვებდნენ ღუზას!

უფრთხილდებოდა და ერი ძვირფას
მარგალიტს კრეფდა ფშაველის ხმაში
და კვალდაკვალად ცხენთა შეჯიბრზე
მიქროდა ვაჟას გრძნეული რაში!

ნინოწმინდაში ბრძოლის ყანწებით
ლექსს უკურთხებდნენ ბუბუნა გოგლას,
საიათნოვას საზით გრიშაშვილს
ტაბლით მოჰქონდა „შირაზის გოგრა“.

ო, რამდენია თვალი ობოლი,
ვით დავივიწყოთ ეული ანა,
ვინც თუთის ფოთლით მოაზურმუხტა
შუბლდადაფნული წითელი ხანა!

2
ჰოდა, ამბობდა ასე ქართველი:
ლექსი ჯვარია ქრისტეს მხედრების,
ლექსი ლოცვაა, ლექსი ხმიანი,
გადარჩენის და ერის ვედრების!

ლექსი პოეტის მუზარადია,
ლექსი – მახვილი, სიტყვამართალი,
ლექსი მშვილდია მშვიდობიანი,
შინდის შტოსაგან გამონათალი!

ლექსები ქმნიდნენ ქართულ გვარდიას,
ლექსით იდგამდნენ მეფენი გვირგვინს,
წოდებრიობის ზღუდეს ანგრევდა
ლექსი ღარიბის თუ ლექსი მდიდრის!

მზე მაღლდებოდა ლექსების სკიპტრით,
პოეტთა ტახტი – ახალ „დავითნის“,
ღმერთს შეჰგოდებდა გურამიშვილი,
ღმერთს უჩოქებდა მეფე დავითი.

და სინანულის ცრემლით განბანილ,
„ამა ენასა არს“ მიმომნათვლელს,
კაცი-მხედარი თუ ხუცეს-ბერი
ღმრთის წიგნში ლექსით აწერდა სახელს!

3
დიახ! ამბობდა გალაკტიონი
და არა „ვინმე მიეთ-მოეთი“,
განირჩეოდა სისხლის წვეთებით,
ვისაც კი ერქვა ერის პოეტი!

თავისუფლება – ერის გოლგოთა

თავისუფლება – ერის გოლგოთა,
გულო, ნუ აჩენ ნახმლევ იარებს,
სულო, გაშალე სილაღით ფრთები,
მთელი მსოფლიო მიმოიარე.

არა გჭირდება სხვისთვის შეხვეწნა,
თან დაგაქვს შენი საზრდო – მარაგი,
ათასწლეულით იმდენი შეჰქმენ,
მუდამ გვეყოფა კუბოს კარამდი.

შენ პირველს გერგო უფალის კვართი
და მაცხოვარის წმინდა სამსჭვალი,
შენია ცხოველ სვეტის ემბლემა
და ყელყარყარა ტაძრის ცარგვალი.

შენ დედაღვთისამ დაგიდო წილი,
სიმონ, ანდრიამ გიკურთხეს ჯვარი,
კაპადოკიას დაენთე სანთლად
და დაამარცხე კერპების ჯარი.

სისხლგაბანილი მხრებით აპობდი
ტალღებს მღვრიეს და მორევს ცოფიანს,
შენგან გამოხსნილ ხატს ივერიის
ახლაც მოწმობენ, დღესაც კოცნიან.

შენ გამოსტაცე ცის მჭედელს ცეცხლი
და კავკასიას ლამპრად დაუნთე,
რუსთველის ჩანგით შემოინახე
ჩვენი ენა და ჩვენი საუნჯე.

როცა დაგიდგა ჟამი საუფლო,
გამოაჩინე გმირობის სახე,
შენ დაამსხვრიე მონობის ხუნდი
და ჯვარცმისთვისაც პირველი ახველ.

თავისუფლება – ერის გოლგოთა,
სულიერების მისია დიდი,
ეს არის შენი საზრდო – მარაგი,
ათასწლეულით რასაცა ქმნიდი.

ენავ ქართულო!

ენავ ქართულო, შუბლდადაფნულო,
თავს უკვდავება გადგას გვირგვინად,
საუკუნეთა ლაბირინთებში
ქართველი კაცის სულით მიქრიხარ.

შენ ჯვარი ნინოს თმებით შეკარი
და ვაზის ლერწით გაალამაზე,
შენ აღადგინე ოთხი დღის მკვდარი,
შენ გააცოცხლე სიტყვა – „ლაზარე“.

რამდენი ლოცვა შენთვის უძღვნია
მტკვარს, რიონსა თუ თერგს და ალაზანს,
ერთ ნათლის სვეტად ჩამოძერწილი
ძეგლად დაუდექ მეფე ფარნავაზს.

შენ შეაჯერე მსოფლიო გზები,
ემზევებოდი მამულს ნაომარს,
ოქროს ჩუქურთმად შეკრული ძნებით
ძეგლად დაუდექ „ვეფხისტყაოსანს“.

ძეგლად დაუდექ რამდენ მწიგნობარს,
შენით ტკბებიან ივერთ მგოსნები,
იის ნაზ კონად შეწყვილებული,
„დედა-ენაში“ ლაღობ, ფრთოსნდები.

ილიას, ვაჟას, გალაკტიონის
ჩანგი, ქნარები აკაკისანი
შენს სადიდებლად ლხინობ-მღეროდნენ,
ქართული მთისა და ბარისანი.

ენავ ქართულო, ღვთისმშობლის ბაგით
ქართული გულის შენ ხარ მლოცველი,
სუნთქვა ხარ ჩვენი, სურნელი შროშნის
და ქართულ მიწის მპოვნელ-მკოცნელი.

ენავ ქართულო, შუბლდადაფნულო,
თავს უკვდავება გადგას გვირგვინად
და მესიტყვეთა წმინდა წიგნებში
ქართველი კაცის სულით მიქრიხარ.

ღალატი

არავინ შემრჩა ერთგული კაცი,
ვის მეტად ვენდე, დამიგო მახე,
ვიცხოვრე გრძნობით, ვიცხოვრე განცდით,
მაინც ღალატი და ეჭვი ვნახე.

დავალ ტყე-ღრეში მეფე ეული,
მგელმა დაფლითა ჩემი მერანი,
გზას ასცდა ხალხი ხორცით ძლეული,
შეწყდა მართალთა გულის ძგერანი.

მდევნეს და მმუსრეს შურისძიებით,
ყვავილის ფენა მობეზრდა მოყვასს,
მე კვლავ მივცურავ აღმა დინებით,
თავქვე მონათა ტივები მოჩანს.

წმინდა გიორგის ხატით, ეული,
ისევ მივენდე ნოემბრის ქარებს,
დუმს სიყვარული სიბრძნისეული,
ენა მოჰკვეთეს გრიგალში ზარებს.

ჰოი, უფალო, როგორ გამყიდეს,
თმაზე მადნება დეკემბრის ჭირხლი,
ჯიბიდან ვიღებ ნაწრთობ რევოლვერს
და უყოყმანოდ ტყვიის ჯერს ვიხლი!

❖ ❖ ❖

მედროშე

მედროშე რომ მოვიდა, შუაღამე გადასული იყო. კიბის კუთხეში მიყუჟულ, მობუზულ ნატას კისერი გვერდზე გადაეგდო, ხელები სახელოებში დაემალა და უკანასკნელ დღეებზე ფიქრობდა. ორი ტანკი მის ზურგს უკან, გაბმული ბაწრის იქით იდგა და სამუზეუმო ექსპონატივით გაქვავებულიყო. ნატამ ვერ მოიგონა, როდის დააყენეს ისინი ტელევიზიის ეზოში. წინა დღეს აუზის გვერდით, ტელევიზიის უკანა შემოსასვლელს დარაჯობდნენ, მერე კი უცებ აღმოჩნდნენ ცენტრალურ შესასვლელთან. ნაცნობი, მორიგე მილიციელებიც მაშინვე უჩინმაჩინებივით გაქრნენ და მათი ადგილები ჩაჩქანიანმა, ვიწრო თვალებიანმა ჯარისკაცებმა დაიკავეს. ახლა მთელ შენობაში სამხედროები მბრძანებლობდნენ. თავისუფლად, პირქუში სახეებით დახეტიალობდნენ დერეფნებში, სტუდიებში, სააპარატოებში და გაყინული, დამკითხავი თვალებით აშტერდებოდნენ ტელევიზიის თანამშრომლებს, თითქოს რაღაცას ეძებდნენ, პოულობდნენ და ვერც პოულობდნენ. ირგვლივ დაძაბული სიჩუმე და სიყრუე იდგა. თავდაპირველად მათი დანახვა აშინებდა, მაგრამ მერე, ტუალეტის კარებთანაც გუშაგი რომ დააყენეს, ნატას თავზარი დაეცა. მათი გაქვავებული, უმეტყველო სახეები შემზარავი, ავისმომასწავებელი საიდუმლოებით დუმდნენ. ეს ავისმომასწავებელი საიდუმლო ამოიკითხა ნატამ ტუალეტის კარებთან მორიგე სამხედრო ჯარისკაცის სახეზეც. ჯარისკაცი სრულიად ახალგაზრდა იყო, ოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ უტყვი სისასტიკითა და მუქარის ნიშანი აჩნდა მაგრად მოკუმულ ტუჩებზე. იმისთვის, რომ მის მიმართ უსიამოვნო განწყობილება დაეთრგუნა, მორიდებითაც გაიღიმა, შესვლის ნებართვაც კი ითხოვა, მაგრამ გუშაგმა ფეხები გაჩაჩხა და კარს წინ აეყუდა. ისეთი მრავლისმეტყველი, ისეთი შემაძრწუნებელი ჟესტებით იყო აღსავსე მისი მოძრაობა, რომ შეცბუნებულმა ნატამ ტყვესავით, დანანების ნიშნად, ხელები ზევით ასწია და კეფაზე დაილაგა. მერე ფეხაკრეფით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაე-

მართა გასასვლელისკენ. კიბეზე რომ ჩადიოდა, გულმა არ მოუთმინა და მაინც მოხედა, გუშაგი ჩვეულ პოზაში კვლავ გალაჯული იდგა და სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

ტუალეტს რომ მოშორდა, აღშფოთებულ ნატას ტირილი აუტყდა. უცებ იგრძნო, როგორი უმწეო და უძლური იყო უიარაღო ადამიანი ამ გაქვავებული, შეჯავშნული ძალის წინაშე. მარტო ერთი კაცი კი არა, მთელი მისი სამშობლო, მთელი საქართველო. ახლა სამართალიც ამ შუბლგაყინული, გაკერპებული, მხოლოდ უსიტყვო მორჩილებისა და ბრძანებისადმი შემგუებელი თემიდას მხარეზე იხრებოდა. არაფრად ენაღვლებოდა არც ქართული მიწის, არც ქართველი კაცის ბედ-იღბალი... არც განსჯა, არც განკითხვა, არც შეწყალება! საქართველოს თავისუფლებას მხოლოდ ლოზუნგები და „გაუმარჯოს!“ ძახილი ვეღარ გამოკვებავდა. არმია, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ხალხის მოსარჩლედ ითვლებოდა, დღეს ხალხის თვალწინ ავტომატს ათამაშებდა და დანის სროლაში ვარჯიშობდა.

ფანჯრის მინაზე შუბლმიყრდნობილი ნატა ხედავდა ფეხბურთის მოედანზე ჩამწკრივებულ, საწვრთნელ ვარჯიშობისათვის გამზადებულ ჯარისკაცებს და მათ ხელში ჩაბღუჯულ ავტომატებს. მოედნის აქეთა მხარეს, მისი საყვარელი ვერცხლისფერი ნაძვების ძირას, მოძრავი სამზარეულოს ღუმელში მორიგე მზარეული დამტვრეული ლიმონათის ყუთის ფიცრებს ტენიდა. მხრჩოლავი კვამლი ბოლქვებად მიიზლაზნებოდა ნაძვის ტოტებში, უყურებდა ნატა და გული უკვდებოდა. გაკვირვებასა და აღშფოთებისგან ცრემლიც კი გაუშრა. მაინც ვერ გაეგო, რისთვის იყო საჭირო ჯარის გამოძახება, – ვის იცავდნენ, ვისგან, რისგან? – საკუთარ თავს ეკითხებოდა ქალი, – ნუთუ ამ გრძნობასაყოლილ, სამშობლოს სიყვარულით გულგამთბარი, აყიჟინებული ახალგაზრდა გულებისგან, ახლა ქუჩაში რომ სხედან და თავს იგვემავენ?! კი, მაგრამ ვისი, ვისი? მათ ხომ ჯიბეში დაჟანგული ჯაყვაც არ უგდიათ ვაშლის გასათლელად.

ნატას კინაღამ გაეცინა, გაახსენდა, რომ წინა დღეს ვიღაცას კინოს სახლში, სათათბირო დარბაზის კარების გახსნა უნდოდა და იმდენ მამაკაცთაგან არავის აღმოაჩნდა დანა, რომ კარის ღრიჭოში შეეცურებინა და ხის ბრტყელი ურდული აეწია.

– ამისთანებისგან თუ იცავენ თავს, მაშინ დასაცავიც არაფერი აქვთ, ამისთანების დასარბევად თუ არის ეს არმია გამოგზავნილი, ძალის გამოყენება არც დასჭირდებათ, ვინ არის წინააღმდეგობის გამწევი, ვისა აქვს გამოცდილება, ქართველ კაცს საბრძოლო კბილები დაუჟანგდა... სხვის იმედზე დაგვსვეს, სხვის იმედზე, – მწარედ შემოჰკვნესა გულმა, –წასართმევი წაგვართვეს, მოგვადუნეს, დაგვაჩლუნგეს, დაგვამდაბლეს და დაგვადამბლავეს... დიახ, დიახ, ჩვენ დასაჭურისებულები ვართ, უღონონი და უძლურნი, ესენი კიდევ...

– სმირნო! – დაიყვირა გარეთ ძალუმი ხმით თეთრთავიანმა ოფიცერმა. ამ ყვირილმა ქალი გამოარკვია. თვალები მოიწმინდა, ფანჯარას მოშორდა და გარეთ გასვლა დააპირა. მეორე სართულის კიბეზე რომ ჩადიოდა, ისევ შეეყარა ორ ჯარისკაცს. ერთს – ხელში პატარა, ტარიანი ნიჩაბი ეჭირა და მეორეს უმიზნებდა. მეორე ჯარისკაცი სულელურად იცინოდა და მკერდს უშვერდა. ნატას იმდენად აკრთობდა მათი დანახვა, რომ კიბეზე ჩასვლა გადაიფიქრა, შემოტრიალდა და მესამე სართულზე ასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ნიჩბიანმა ამოხედა და მკაცრად დაუყვირა: – ტუდა ნელზია!

– ჯანდაბას თქვენი თავი! – ხმამაღლა თქვა ნატამ და გაასპიტებით მოხედა ჯარისკაცს. ახლა მიხვდა, რომ ეს ვაჟბატონები თავმჯდომარის საბრძანებელს იცავდნენ. „არსად დაგეკარგოთ, კაცუნა! ნეტავ ვის რაში სჭირდება მისი მავნებელი თავი! სკამის მონა!“ – ზიზღით, სიძულვილით მილაპარაკობდა გულში ქალი და ორ ჯარისკაცს შორის კიბეზე ჩარბოდა.

გარეთ რომ გამოვიდა, სუფთა ჰაერზე, ეს ტანკებიც მაშინ შეამჩნია. რატომღაც გულის რევა იგრძნო, დაიმანჭა, უნდოდა ტანკისთვის მიეფურთხებინა, მაგრამ უცებ კაფანდარა, პა-

ტარა ბიჭი დაინახა, ხელში აყვავებული ნუშის ტოტი რომ ეჭირა და ტანკისკენ მოიძურწებოდა. ჯავშანზე შემდგარმა ჩაჩქანიანმა დაიყვირა, ძირს ჩამოხტა, მკლავები გაშალა და გზა გადაუღობა ბავშვს. ბიჭი ჯერ შეშინდა, მერე შეხტა, ნუშის ტოტი ტანკისკენ ისროლა და გაიქცა. ნატა გაქვავდა, იფიქრა, ჯარისკაცი ბიჭს გამოედევნებაო, მაგრამ, საბედნიეროდ, ტანკისტს გაგულისებამ გადაუარა, გაიცინა, ნუშის ტოტი ხელში აიღო, ყვავილებს უყნოსა და მოშიმშილეებისკენ ისროლა. ნატამ შვებით ამოისუნთქა. რაღაცა მადლიერებაც კი იგრძნო იმ ჭორფლიანი, თავკომბალა ტანკისტისადმი. სწორედ მაშინ იყო რომ გაიფიქრა, ქართველებს სიძულვილის უნარი არა გვაქვსო.

„სულ იმის მეშინია, არავინ მოგვეფეროს, არავინ გვითხრას ტკბილი სიტყვა, – გამოუტყდა თავისთავს გუნებაში, – თორემ მაშინვე თაფლად და შაქრად დავიღვრებით, გაჯავრებაც დაგვავიწყდება, სიძულვილიც, მტრობაც... ღმერთო, რა გვეშველება? – ოხრავდა უნებურად ქალი და თან მოშიმშილეებისკენ მიიწევდა. – არადა, საცოდავმა ჯარისკაცმა იცის კი რა არის სამშობლო? ასწავლეს მხოლოდ შიროკა სტრანა ნაშა როდნაია და მორჩა! ამ როდნაიას დასაცავად არის ახლა ჩვენთან მოსული... აი, ეს ახალგაზრდები კი ანგრევენ „როდნაიას“ და პირიდან ლუკმას ართმევენ დამპყრობელს... არა, ამან ხომ არ იცის რომ დამპყრობელია, არ იცის... არ იცის... – ზედიზედ ჩამორეკა გულმა, – ეს ახლა განმათავისუფლებლის როლშია, მაგრამ ზევით ხომ იციან, ი-ცია-ნ! – ისევ გაიმეორა ექოსავით გულმა. ნატამ ამოიოხრა და მკერდზე მიიჭირა ხელი. – თუ ამბოხებაა, ამბოხება იყოს!“ – გაიფიქრა ჯიბრით, გაფიცულთა ალყა გაარღვია, მერე თავისუფალი ადგილი მოძებნა და სულ ზედა საფეხურზე ჩამოჯდა. მას შემდეგ აქ ზის, აი, ამ გაყინულ ქვის კიბეზე და ელოდება, როდის ამოიწურება მისი მოთმინების ფიალა, აღარც სახლი, აღარც სამსახური, აღარც შვილი...

შვილის მოგონებაზე ნატას გული შეეკუმშა. მისი ვაჟიც შიმშილობდა, ოღონდ ის მთავრობის სახლთან, თავის მეგობრებთან ერთად იჯდა.

–„ღმერთო, როგორ სხვანაირი იყო, პირველად რომ გამომიტყდა, ექსტრემისტი ვხდებიო, – მოაგონდა ნატას, – მოიცა, როდის იყო ესა? – ქალი შეეცადა მეხსიერებაში თითოეული წვრილმანი აღედგინა. მას შემდეგ დიდი დრო კი არ იყო გასული, სულ ოთხი-ხუთი თვე იქნებოდა. ნოემბრიდან დაიწყო ყველაფერი. სამხედრო კომისარიატში რომ გამოიძახეს, იქიდან...

იმ დღეებში ნატამ დიდი დავიდარება გადაიტანა. ჯარში წასვლაზე უარი რომ განაცხადა, კინაღამ ციხეში ჩასვეს ბიჭი, მამუკამ დღესაც არ იცის, ათასი მანეთი რომ ჩაუთვალა ვიღაც კაცს „საქმის დამშვიდებისთვის“. – „მაგრამ ფული რა სათქმელია, – მწარედ ჩაიცინა გულში ქალმა, – მთავარია, ახლა როგორმე დავუძვრეთ ამ მტარვალებს, როგორმე გადავრჩეთ ტყვიასა და რბევას. ნეტავ მამუკასთან ერთად დავმჯდარიყავი, – უცებ გაუელვა თავში, – უფრო ადვილად გავუძლებდი განსაცდელს, მაგრამ ახლა უკვე გვიანია, ახლა ამ ბავშვებს ვერ მივატოვებ, იფიქრებენ გვიღალატაო, არა, არა! – კინაღამ ხმამაღლა დაიყვირა, თავზე ხელები შემოიჭირა და რამდენჯერმე გააქნია.

მოულოდნელად ვიღაცამ მხარზე ხელი ჩაავლო და შეანჯღრია. ნატამ ახედა და მამუკას თანაკურსელი გოგონა იცნო. – ქალბატონო ნატა, მიცანით? ნინო ვარ, მამუკას მეგობარი, – იღიმებოდა გოგონა.

ნატას რატომღაც შერცხვა, თვალები მოიფშვნიტა და ოდნავ წამოიწია. – გიცანი, როგორ არა, იქით რა ხდება? მამუკა როგორ არის?

– ყველანი კარგად ვართ, მშვიდობაა, აი, მამუკამ სათბილობელი გამომატანა, ილია მეორის ნაკურთხია, ასე კი არ არის! – გაიცინა გოგონამ, – დღეს შემთხვევით გავიგეთ, რომ შიმშილობთ. მამაუკა გადაირია. მაინც ვერ მიატოვა ჯგუფი, ხომ იცით, მთავრობის სასახლე ცხელი წერტილია. ყოველ წუთს ველოდებით, რომ დაგვესხმიან.

– კი, მაგრამ... – ენა დაება ნატას, მედროშე გოგონას ისეთი აღტაცებული, ისეთი გაცის-

კროვნებული სახე ჰქონდა, რომ დაიბნა.

– არ გეშინია? არ...

– შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, – მიულექსა გოგონამ, – როდესაც იცი რისთვის იბრძვი, შიში არაფერია, მთავარი მიზანია, ქალბატონო ნატა, მიზანი!.. აი, შეხედეთ ამ დროშას, ჩვენ ბოლშევიკებივით სისხლში კი არ ამოვსვრით, ჩვენ რწმენითა და სათნოებით გვინდა მოვიპოვოთ თავისუფლება...

– ჰო, მაგრამ მტრისთვის სათნოებას რა ფასი აქვს, ჩემო კარგო, სათნოება ჭეშმარიტად ქრისტიანი და მორწმუნე კაცის თვისებაა, ჩვენ კი... შეხე, როგორ ძალას ვუპირისპირდებით...

– ეგ ძალა ძალადობაა, ქალბატონი ნატა, ამიტომ გახარება არ უწერია. სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველიიი, – წაიმღერა გოგონამ და დროშა ასწია, – რა ბედნიერი ვარ, იცით, ქალბატონო ნატა, ასეთი რამ არასოდეს არ განმიცდია, ასეთი რამ... – ნინოს ენა წაუბორძიკდა– ეს... ეს... მარტო დროშა კი არ არის, ეს რწმენაა!.. ჩვენ გადავწყვიტეთ, აქციის დამთვრებამდე ჩამოვიაროთ ყველა მოშიმშილეთა ადგილი და ერთმანეთს გავუცვალოთ დროშები, დღეს მე წმინდა გიორგის დროშის ტარება მხვდა წილად.

ნატას გამოუთქმელი სევდით აევსო გული, წამოდგა და დროშის ტარს ისეთი სასოებით წაატანა ხელი, თითქოს უნდოდა მასაც რგებოდა მედროშის ბედნიერებიდან თუნდაც ერთი ნამცეცი.

– ტანკები და ჯარისკაცები მარტო შესაშინებლად არ ჩამოგვირიგეს, ნინო, – მხრები აუცახცახდა ქალს, – არ გვეხუმრებიან, როდემდე გაგრძელდება ეს საშინელი ბოროტება, როდემდე?

ნინომ გაიღიმა და მხრებზე მოეხვია ნატას, – ეეჰ, ვხედავ, ნერვები გღალატობთ, ქალბატონო ნატა! აბა, რა გეგონათ, ესეც ბრძოლაა, მშვიდობიანი, მაგრამ მაინც ბრძოლა... ნუთუ როცა აქ საშიმშილოდ ჯდებოდით, არ გქონდათ შეგნებული? ნუ გეშინიათ, ყველაფერი მალე დამთავრდება, თოთხმეტ აპრილს აქცია მორჩება და ოკუპანტებიც წაეთრევიან. – გოგონამ ნაღვლიანად შეხედა ქალს, – მე ხომ ვიცი, ამ კიბეზე მამუკას გულისთვის ზიხართ, მამუკას გულისთვის გადაწყვიტეთ შიმშილობა... ისიც ამიტომ გაფასებთ, მეც ამიტომ მიყვარხართ. ახლა ისეთი დროა, რომ მშობლები შვილებთან ერთად უნდა იყვნენ, იმიტომ კი არა, რომ პატარები ვართ, ქალბატონო ნატა, არა, იმიტომ რომ ერთად ვიყოთ, ერთად! – გოგონამ დროშა ზევით ასწია და მხიარულად გაიცინა.

ნატას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოშიმშილეებს მაღალი, ჯინსის კურტაკიანი ბიჭი გამოეყო და თითქოს ნინოს საპასუხოდ ხმამაღლა, ექსტაზით შესძახა:

– გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

— გაუმარჯოს! – ერთხმად აიტაცეს ახალგაზრდებმა.

ყვირილი მალე მიწყდა. ჯინსიანმა ბიჭმა ძველებური, დანჯღრეული რუპორი მოიმარჯვა.

– მეგობრებო! – რიხიანად, ოდნავ ენისმოჩლექით წარმოთქვა ბიჭმა, – მტერი ყველანაირად ცდილობს ჩვენს დათრგუნვას და გატეხას, ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, მარიონეტი მთავრობის წარმომადგენლები ხალხში ჯაშუშურად დაძვრებიან და უვიც ადამიანთა გონებას წამლავენ, ვითომ ისევ განმეორდება ცხრა მარტი, ვითომ ისევ დაგვიშენენ ტყვიებს, ვითომ სისხლი დაიღვრება... და შეიძლება მართლაც დაიღვაროს, მეგობრებო, მაგრამ იგი არ იქნება ჩვენი მხრიდან, ვინც ეს ტანკები მოგვისია, ის იქნება სისხლის დამღვრელი. – ჭაბუკმა თანდათან აუწია ხმას, – მეგობრებო, ამ შიშისა და პანიკის მაგივრად, პარტიის ერთგულ ერისკაცებს და ერის მამებს ურჩევნიათ უარი თქვან მარიონეტი მთავრობის სამსახურზე, მოვიდნენ და ჩვენთან დადგნენ, რადგან იმედი გვაქვს, რომ მტერი მათ ვერ გაუბედავს ვერც ტყვიების სროლას, ვერც ტანკებით გადათელვას... ახლა გვესვრიან მხოლოდ ჩვენ, ვითომ ექსტრემისტებს და ვითომ წესრიგის დამრღვევ ახალგაზრდებს. დიახ, ჩვენ ვიქნებით ექსტრემისტები და ანტები მანამდე, ვიდრე საქართველო არ გათავისუფლდება საბჭოთა ოკუპანტებისგან...

ჩვენ მოვითხოვთ დამოუკიდებლობას! არავის არა აქვს უფლება საქართველოს წაართვას ენა, სარწმუნოება, მამული!.. მეგობრებო, ნუ მიეცემით პანიკას, ისტერიკას, ჩვენ არც ტელევიზიის აღებას ვაპირებთ, არც მთავრობის სახლში შეჭრას, ის, ვინც გარდაქმნა მოინდომა, საერთაშორისო ასპარეზზე არ მოინდომებს ავტორიტეტის შელახვას და მშვიდობისმოყვარე კაცის სახელის გაფუჭებას. ჩვენ ვერ გვესვრიან, ჩვენ გვაშინებენ, ჩვენ კი არ ვუშინდებით... თოთხმეტ აპრილს აქცია შეწყდება და შემდეგ დავიშლებით. თუ რას ვაპირებთ, შეგატყობინებთ... ახლა კი გთხოვთ, ამ დღეებში, განსაკუთრებით ამ ღამეს, მარტო ნუ დაგვტოვებთ, ისინი, ანუ ოკუპანტები, ელოდებიან ხალხის შეცოტავებას, რომ დაგვარბიონ და ხელკეტები დაგვიშინონ. ჩვენ ბევრი რბევა და კეტის დარტყმა გადაგვიტანია, მეგობრებო, ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ გვეშინია, მაგრამ სოლიდარობისთვის მაინც ჩვენი ერთად ყოფნაა საჭირო... ჩვენ ხომ დიდი, ძალიან დიდი ხანია ერთად აღარ ვყოფილვართ, მეგობრებო, ცხრა მარტის შემდეგ ქართველ ხალხს ერთმანეთი დაგვავიწყდა...

უკანასკნელ სიტყვებზე ბიჭს ხმა ჩაუწყდა და აუკანკალდა. სმენადქცეულ ნატასაც უეცრად გული აუჩუყდა, ახალგაზრდა ორატორმა ააღელვა და შეაშფოთა თანაც. მისი მჭევრმეტყველური ლაპარაკი მარტო მიტინგზე მოსული ხალხის დასამშვიდებლად როდი იყო გამიზნული. მის ლაპარაკში უფრო ღრმა ეროვნული ტკივილი იმალებოდა. ეს უფრო ვედრებას ჰგავდა, შეწყალებას, მიტევებას... ახლა თითოეულიი კაცი, ვინც მოშიმშილეთა გვერდით იდგა და სამშობლოს თავისუფლების მოთხოვნას იზიარებდა, რიგითი ქართველი როდი იყო, ის უკვე შეკრული, ბრძოლის მონაწილე და მოლაშქრე ხდებოდა, სამშობლოს დამცველი ერქვა და არავითარი უფლება არ ჰქონდა გაქცეულიყო ბრძოლის ველიდან, გაჭირვებაში მიეტოვებინა საკუთარი შვილები.

– ღმერთო ჩემო! – შეშფოთდა ქალი, – რა უაზრო ლოზუნგია „ჩვენ მოვითხოვთ თავისუფლებას“, კი, მაგრამ ვის ვთხოვთ, ვინც წაგვართვა? ან რატომ ვთხოვთ? თავისი სურვილით მოგვცემს? არა, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ... მო-ვი-პო-ვოთ! დიახ!

აღგზნებით წამოიძახა ტრიბუნისკენ სახემიმართულმა ნატამ და შემობრუნდა, რომ ნინოსთვის აზრები გაეზიარებინა, მაგრამ გოგონა გვერდით აღარ ედგა, წმინდა გიორგის დროშა მოშიმშილეთა შუაგულში ფრიალებდა ახლა.

– ნინო! – უნდოდა დაეძახა ნატას, მაგრამ უეცრად ხმა ჩაუწყდა. მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა და საიდანღაც ჯერ ყრუ დარტყმის ხმა, მერე ველური ყიჟინა შემოიჭრა. ერთბაშად აენთნენ პროჟექტორებიც. დამაბრმავებელმა სხივთა კონამ პირდაპირ მოშიმშილეთა თავზე გადაიარა. ნატამ თვალებზე აიფარა ხელის ზურგი, მერე სწრაფად ჩამოიღო და უნებურად საათზე დაიხედა, ოთხი სრულდებოდა. ირგვლივ კი კვლავ დაძაბული სიჩუმე იდგა. ისევ ისმოდა ველური ყიჟინა და დაფდაფების ხმა, მაგრამ ეს ხმები ამ გულისმომკვლევ სიჩუმეს ვეღარაფერს აკლებდა. მერე თანდათან, სწრაფად აღიმართნენ ჯარისკაცების დაჯავშნული ფიგურები ოთხივ კუთხიდან.

– ვაიმე, შვილო! – წამოიყვირა ნატამ და სასოწარკვეთილებით გადახედა მოშიმშილე ახალგაზრდებს. არავინ აპირებდა გაქცევას. მშვიდად, დაძაბული სახეებით ელოდნენ რაღაცას. კიბის ქვემოდან ხელკეტიანი, თვალებამოთეთრებული, ნიღბისსახიანი დამსჯელი რაზმი იდგა. წმინდა გიორგის დროშა სულ ახლოს, თითქმის მათ თავზე ფრიალებდა.

ნატამ ერთი საფეხურით ქვევით დაიწია. – ნინო, აქეთ, ამოდი, ზევით! – დაიძახა ხმამაღლა, მაგრამ ვერ მიაწვდინა. ჰაერი ისევ გააპო ველურმა ყიჟინამ. დამსჯელი რაზმი უცნაური, მხეცური ღმუილით დაიძრა ადგილიდან. ჯარისკაცებს კისერი ოდნავ მოედრიკათ, ნალდაკრულ ჩექმებს გამალებით ურტყამდენენ ქვაფენილს და ფარებზე ხელკეტებს ატყაპუნებდნენ. სწორედ ეს ტყაპუნი გამოსცემდა დაფდაფის ხმას. ისეთი შემზარავი, ყურისწამ-

ღები და ჯოჯოხეთური ხმაური ატყდა, რომ წამით ყველანი გაჩერდნენ და თეატრალიზებულ სანახაობასავით დაუწყეს ყურება. ასეთი რამ მიტინგზე მოსულ არც ერთ ადამიანს ჯერ არ ენახა.

– გაიქეცით, ისვრიან! – უცებ დაიყვირა ვიღაცამ და ჯარისკაცებისკენ ცარიელი ბორჯომის ბოთლი ისროლა. ბოთლმა მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, დამსჯელი რაზმი არევ-დარევით შეიჭრა მოშიმშილეთა შორის და ხელკეტებით ცემა დაიწყეს. ისეთი გამეტებით ურტყამდნენ, რომ რამდენიმე გოგონა ჩაიკეცა. კიბის საფეხურებზე ალისფერი სისხლის ნაკადი ჩამოიღვარა. სისხლის დანახვამ ჯარისკაცები თითქოს გააცოფა. ახლა მარტო ხელკეტებს კი არა, ნიჩბებსაც იქნევდნენ. ამაზრზენი კივილი მოეფინა იქაურობას. პროჟექტორების დამაბრმავებელმა შუქმა უფრო იმძლავრა და ამ შუქში გახვეული წმინდა გიორგის დროშა ხან სად აფრიალდებოდა ხოლმე, ხან სად... ეტყობა, მედროშე თავის დასაღწევ ადგილს ეძებდა. თითქმის დაბრმავებული ნატა ცდილობდა როგორმე დროშამდე მიეღწია, არაფრის და აღარავის აღარ ეშინოდა. აღარც ამ გაცოფებული ხელკეტებისა, აღარც ალესილი მესანგრის ნიჩბისა. ყველაფერი ერთმანეთში აირია, აილენთა და სიძულვილის მეტი აღარაფერი აღარ დარჩა. „არა, ამტარვალებს არ შეიძლება ადამისშვილები რქმეოდათ, ესენი უფრო სისხლის სუნით გამოზრდილ მეძებრებს ჰგავდნენ, გააფთრებულ, დამშეულ ძაღლებს, სიამოვნებით რომ იგეშებიან ჯალათის ხელში“.

– ვაიმე, შვილო, ჩემს მამუკასაც თუ ასე ჩეხავენ, ვაითუ ასე აწამებენ! – ხმამაღლა, კივილით მოსთქვამდა ქალი და საფეხურებს ეძებდა. უნდოდა როგორმე წმინდა გიორგის დროშამდე მიეღწია, როგორმე დაეცვა, გადაფარებოდა.

– ნინო, გამაგრდი, გენაცვალე, ნინო! – შესძახა მთელი ხმით და კიბეებს შორის, ვარდის ბუჩქების გაზონში ისკუპა. მოულოდნელად მოჩახჩახე შუქი გაქრა და მკრთალ სინათლეზე გააფთრებული მედროშე გოგონა დაინახა, რომელიც ჯარისკაცს ჩაჩქანიან თავზე დროშის ტარს ამტვრევდა.

– მოვდივარ,ნინო! – ისევ უნდოდა დაეძახა ნატას, მაგრამ ხმა აღარ ეყო. ყელი უცებ მკვრივი, წებოსავით თხიერი სითხით ამოევსო. წებო გამკვრივდა, გამაგრდა და სუნთქვის საშუალება არ მისცა. თითები იტაცა ყელზე, ჩამოიფხოჭნა, მაინც არ ეყო ჰაერი... ძალა მოიკრიფა, რომ არ დაცემულიყო, მერე ნელ-ნელა მოიღვენთა და ვარდის ბუჩქზე დაეშვა. იმ წამს წმინდა გიორგის დროშამაც იელვა და გვერდზე გადაიხარა. სიკვდილის სახიანმა ნიჩბოსანმა მედროშე გოგონას მთელი ძალით დასცხო ხელკეტი მხარზე. გოგონა უხმოდ ჩაიკეცა. ჯალათმა დროშა გამოგლიჯა და ჩექმიანი ფეხით გადათელა.ყველაფერი უცებ, თვალის დახამხამებაში მოხდა.

როცა რბევა დამთავრდა, თბილისის თავზე ცა გადაგლეჯილს ჰგავდა. შავი ღრუბლებით შემოსუდრული ზეცა ნაპრალივით შუაზე გარღვეულიყო და შუაგულში სამი ცალი პაწია, პაწაწკინა ვარსკვლავი ცრემლივით ციმციმებდა.

<u>რედაქტორის გვერდი</u>

შევაგროვოთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის ამსახველი მასალები!

ჩვენი ჟურნალის 2016 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ბატონ მურმან ზაქარაიას წერილი „ეს დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმური ისტორიაა“, რომელშიც წამოჭრილია მეტად აქტუალური, თამამად შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება 1991-1992 წლების სისხლიანი პუტჩის შემდეგ კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის ამსახველი ისტორიული და საარქივო-სამუზეუმო მასალების შეგროვებას. ამ საკითხის წამოჭრა ნაკარნახევია იმით, რომ დღეს გვაქვს ძირითადად ოფიციალური სტრუქტურების საქმიანობის ამსახველი, ცალმხრივი, ცილისმწამებლური და პროიმპერიული პროპაგანდით გაჯერებული უახლესი ისტორია; დევნილი ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერი სახალხო მოძრაობის ამსახველი მასალები კი არ არის მოძიებული, დამუშავებული და ფიქსირებული; ეს მასალები მიმოფანტულია და დროთა განმავლობაში უმოწყალოდ ნადგურდება. მათ გარეშე კი შეუძლებელია გვქონდეს ჩვენი სამშობლოს ჭეშმარიტი უახლესი ისტორია.

როგორც ავტორი აღნიშნავს, განსაკუთრებით საინტერესოა პუტჩის შემდგომი ის 12-წლიანი პერიოდი, როდესაც ქვეყნის ისტორია ორ პარალელურ ხაზად მიემართებოდა, „ერთი მხრივ, ხალხისთვის ძალადობრივად, შეირაღებული პუტჩის გზით თავსმოხვეული რეჟიმი ქმნიდა თავის შავბნელ ისტორიას დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით. ეს იყო არალეგიტიმური ხელისუფლების ფაქტობრივი ისტორია... მეორე მხრივ, **ამ თორმეტი წლის განმავლობაში ამ ფაქტობრივი ხელისუფლების პარალელურად არსებობდა კანონიერი ხელისუფლება და ნახევრად არალეგალურ** პირობებში აწარმოებდა თავის ლეგიტიმურ საქმიანობას. **ეს იყო ნამდვილი სახალხო მოძრაობა**. იქ იქმნებოდა დამოუკიდებლობისა და კანონიერებისათვის მებრძოლი **ქართველი ხალხის რეალური ისტორია**“.

სამწუხაროდ, დღესაც მრავლად არიან ფაქტობრივი ხელისუფლების ანტიხალხური საქმიანობის შელამაზების, ანუ ისტორიის გაყალბების, მოსურნე ძალები; ავტორი მიგვითითებს იმ საშიშროებაზე, რომ შეიძლება მომავალ თაობებს ხელთ შერჩეთ „არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორია“, თუ დროულად არ მივაქციეთ ყურადღება ჩვენი უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ პერიოდს, თუ მასზე პასუხისმგებლობა არ აიღო „ერთი მხრივ, საზოგადოებამ, მეორე მხრივ, სახელმწიფომ და არ დაიწყო ლეგიტიმური ხელისუფლების ეგიდით მიმდინარე ამ ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობის საქმიანობის მომცველი ფაქტების, დოკუმენტური მასალების, სამუზეუმო ექსპონატების, ეთნოგრაფიული თუ ხალხური შემოქმედებითი მასალების მოძიება და მათი სათანადოდ დამუშავება და შენახვა.“

ყოველივე ამაში იგულისხმება ნახევრად ლეგიტიმურ პირობებში გამომავალი დადგენილებებისა და მიმართვების, სხვა დოკუმენტების, ჟურნალ-გაზეთების, სხვა გამოცემების, ვიდეო- და აუდიომასალების, პარტიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯგუფების, „მრგვალი მაგიდის“, დაუმორჩილებლობის კომიტეტის, სახალხო კრებების, მიტინგების მიერ მიღებული დოკუმენტებისა და სხვა მასალების შეგროვება, ურომლისოდაც ახლო წარსულის პირუთვნელი ისტორია ვერ დაიწერება.

აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ ჩვენს მკითხველებს, მთელ საზოგადოებას, დაგვიკავშირდნენ ჩვენი ჟურნალის მითითებულ მისამართზე და წინ დავძრათ საერთო-სახალხო

მოძრაობა ყველა იმ მასალის შესაგროვებლად, რომლებიც ასახავენ ან დაკავშირებული არიან ქართველი ხალხის ბრძოლასთან კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის. ეს არის ყოველი ჩვენგანის ვალი და მოვალეობა, რომლის მოხდით პირნათელნი წარვდგებით მომავლის წინაშე.

ეს არის ფრიად მნიშვნელოვანი, მამულიშვილური საქმე, ჩვენი ღირსების, ჩვენი ერის ღირსებისა და ხვალინდელი დღის ღირსების საქმე და იგი აუცილებლად უნდა აღვასრულოთ, რადგან, როგორც ბ-ნი მურმან ზაქარაია მოგვიწოდებს, **„ჩვენ გადავარჩინეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ახლა კი უნდა გადავარჩინოთ მისი ჭეშმარიტი ისტორია“!**

ველით თქვენს საქმიან გამოხმაურებებს, ძვირფასო მკითხველებო!

<u>რობერტ პეტრიაშვილი</u>

მოღაღადე ჩანაწერები

აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელიდან.

ილია

ვაი მათდა, რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად.

/ესაია 5. 20/

ერთი შეხედვით, ფრიად უცნაური რამ გვჭირს: უმნიშვნელოვანესი და უმძაფრესი მოვლენებით აღსავსე ჩვენი სამშობლოს ბოლო 25-30 წლის წარსულს ეროვნული ცნობიერება სათანადო ყურადღებას არ უთმობს. არადა, ჩემი ღრმა რწმენით, იმ დახლართული ლაბირინთებიდან, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა, თავის დასაღწევად ჩვენი უახლოესი წარსულის ობიექტური შესწავლა და ღრმა ანალიზი სასიცოცხლოდ აუცილებელია.

იმ ადამიანთა დიდი უმრავლესობა, რომელიც ერთიანი ზეაღმტაცი სულისკვეთებით დღედაღამ იღვწოდა და გამარჯვების სასწაული დღეებით თუ ტრაგიკული მარცხებით სავსე რეალურ უახლეს ისტორიას ქმნიდა, საკუთარ თვალებს არ უჯერებს, როცა მის მიერ შექმნილ წარსულზე დაწერილი წიგნების, გადაღებული სატელევიზიო ფილმების თუ ჟურნალისტური ძიებების უმეტეს ნაწილს კითხულობს, უყურებს თუ ისმენს. იმდენად არაადეკვატურად არის წარმოჩენილი ჩვენ თვალწინ, ჩვენივე ძალისხმევით შექმნილი რეალობა, რომ ხალხი მათში საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ვერ ახდენს და ამ პროდუქციის შემოქმედი ისტორიკოსების, რეჟისორების თუ ჟურნალისტების პროფესიონალურ კეთილსინდისიერებაში და, ზოგადად, ისტორიის, როგორც ობიექტური მეცნიერების, შესაძლებლობაში ეჭვი ეპარება.

იმპერიული ძალების მიერ წარმოებულმა (პროვოცირებულმა, დაფინანსებულმა, იარაღითა და ინფორმაციულად მხარდაჭერილმა) ფარულმა ომმა, სახალხო აჯანყებად მონათლულმა სახელმწიფო გადატრიალებამ და კანონიერი ხელისუფლების დამხობით შექმნილმა უკანონობამ სათავე დაუდეს მემატიანეთა და მასმედიის მუშაკთა მიერ სინამდვილის მიკერძოებულად აღწერის, ფაქტების დამახინჯების, მოვლენებისა და ისტორიული პერსონებისათვის არანამდვილი სახელების დარქმევის ტენდენციას, რომელიც ობიექტური ისტორიისაგან არსებითად განსხვავებული, გაყალბებული ისტორიის დამკვიდრებას ცდილობს. მოკლედ, პოლიტიკურად ნებაწართმეულ, ეკონომიკურად გაძარცულ, სოციალურად დაკნინებულ ერს თვალებში ნაცარს

აყრიან და იმ ერთადერთ საყრდენსაც აცლიან, რომელმაც საკუთარი თავის პატივისცემა უნდა შეუნარჩუნოს.

გაყალბებული ისტორია დიდად ვნებს საზოგადოებას, ქვეყანას... არა მარტო იმით, რომ დიდი უსამართლობის მატარებელია და, მოგეხსენებათ, სამართლისა და სიმართლის გარეშე სახელმწიფო ვერ შედგება, არამედ იმითაც, და შეიძლება უფრო მეტად სწორედ იმით, რომ ერთმანეთშია აზელილი ტყუილ-მართალი. ადამიანები კარგავენ ზნეობრივი ორიენტაციის უნარს... ყალიბდება განჯგონებული საზოგადოება – საზოგადოება, რომელსაც შავი თეთრისაგან ვეღარ განურჩევია და სიკეთე და ბოროტება ერთმანეთში აღრევია...

მოგეხსენებათ, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ისტორიას ერის ერთიანობისა და ერთსულოვნების საქმეში, გარკვეულწილად, ენაზე, გვარტომობასა და სარწმუნოებაზე წინაც კი აყენებდა: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“. ილიას სიტყვებში ცხადად ჩანს, რა დიდ, საპასუხისმგებლო მისიას აკისრებს ისტორიკოსს. მან უნდა შექმნას ის საგანძე, რომელიც ერის სულის ღონეა, გულის ყურია და გონების თვალი... „ერი, რომელსაც ახსოვს თავისის ერთიანი სულის წირვა, ეგ თავისის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი, და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, გულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსულს უბედურებას და განსაცდელსა“. ისტორიკოსმა მართლად და სრულად უნდა ასახოს ისტორიული მოვლენები და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ისტორია ქმნის და აყალიბებს როგორც მთელი ერის, ისე ცალკეული პიროვნების სულიერ სამყაროს. იგი არის ეროვნული იდენტიფიკაციის მძლავრი იარაღი. მასზე დიდადაა დამოკიდებული ერთიანი ცნობიერებისა და თვითცნობიერების ჩამოყალიბება, ერის გაერთიანება-გამთლიანება. ისტორია, როგორც ეროვნული მეხსიერება, ერთვება რეალურ ცხოვრებაში, ობიექტური ისტორიის შექმნის პროცესში; წარსული იჭრება აწმყოში და ძალუმად ზემოქმედებს ერის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, შეხედულებების, ღირებულებების, მენტალიტეტის... ფორმირებაზე. განსაზღვრავს ხვალინდელ დღეს, მომავალს. მოკლედ, სუბიექტური ისტორია, როგორც მძლავრი იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური იარაღი, თანამონაწილე ხდება ობიექტური ისტორიის შექმნის პროცესისა. ხვალინდელი საქართველო დიდადაა დამოკიდებული იმაზე, როგორია ჩვენი ისტორია, როგორია ჩვენი ეროვნული მეხსიერება.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქართველოს უახლოეს წარსულზე დაწერილ ისტორიულ ნაშრომებს, მასმედიის ჟურნალისტთა შემოქმედებას, სამწუხაროდ, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერაფერს დიდად სანუგეშოს ვერ აღმოვაჩენთ. ასე დაწერილი ისტორია ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას.

სახელმწიფო გადატრიალებამ სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად ისიც მოგვიტანა, რომ ისეთი ისტორიის დაწერა, რომელშიც „ერის ერთიანი სულის წირვა“ იქნება ასახული და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები ღირსეულად იქნებიან დაფასებულნი თითქმის შეუძლებელი გახდა... ის, რითაც ერმა შეიძლება იამაყოს, რამაც შეიძლება თვითშეფასება აუმაღლოს, ათეული წლებია, ჩვენს მასმედიაში ან სხვათა შორის მოიხსენიება, ან საგინებლად უქცევიათ, ანდა დუმილით უქცევენ გვერდს... წარსულისადმი ამგვარი დამოკიდებულებით, გაყალბებული და გამოშიგნული ისტორიით ვერ შევაჩერებთ „სულითა და ხორცით მოშლისა და წარწყმედის“ პროცესს და მომავალსაც სათუოს გავხდით. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული სული, მისი ცნობიერების აღნაგობა და შინაარსი სამშობლოს ისტორიითაა ნასაზრდოები და ნაშენი.

საზოგადოებაში დიდი ხანია გაჩნდა მოთხოვნილება მიუკერძოებელი, გაუყალბებელი ისტორიისა – ისტორიისა, რომელიც რაც შეიძლება დაუახლოვდება იმ ობიექტურ ისტორიას, რომელსაც ჩვენ, მთელი ერი, ერთად ვქმნიდით. ეს, რა თქმა უნდა, არაა იოლი საქმე. სხვა მრავალ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთან ერთად აუცილებელია უახლოესი წარსულის ამბების უშუალო მონაწილეთა, თვითმხილველთა ობიექტური მოგონებები, ჩანაწერები, აუდიო-ვიდეოკასეტები – ის უტყუარი აუცილებელი მასალა, რომლის დალაგება, შეფასება, ანალიზი დაგვეხმარება მრავალი ისტორიული მოვლენისა და პიროვნების მნიშვნელობისა და როლის დადგენაში.

ჩემი წერილი ეძღვნება ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნების ვანო თვალავაძის წიგნს – „კაცი, რომელსაც სამშობლო ყველაზე მეტად უყვარდა“. თავისი უნიკალურობის, მნიშვნელობის, შესრულების თავისებურების, უტყუარობის გამო წიგნს მოღაღადე ჩანაწერები ვუწოდე. წიგნი სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამო წინასიტყვაობის, კომენტარების, კორექტირების გარეშე გამოქვეყნდა (უახლოეს მომავალში იგეგმება მისი სრულყოფილი გამოცემა). მიუხედავად ამისა, იმ ღირსებებს, რისთვისაც „მოღაღადე“ ჩანაწერები ვუწოდე, დიდად ვერ ვნებს.

წიგნის შესავალ ნაწილში სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ავტორი სვამს კითხვებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არაერთხელ დასმულა: რა იყო და რა არის ის, რაც ასე დაუნდობლად ანგრევდა და ანგრევს ჩვენს საერთო ეროვნულ ცნობიერებას? რატომ ვერ ვახერხებთ სამშობლოს ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენებას? რატომაა, რომ მაღალ სკამზე შემოსკუპებული ქართველი (მცირე გამონაკლისის გარდა) ივიწყებს სახელმწიფოებრივ მოვალეობას და საკუთარს სახელმწიფოებრივზე მაღლა აყენებს? რიტორიკული ხასიათის კითხვები ავტორს აძლევს იმის საშუალებას, რომ სათქმელი კიდევ უფრო გაამძაფროს და განსჯის ასპარეზზე გამოიხმოს ის დიდი მამულიშვილები, რომელთაც იგივე კითხვები უღრღნიდათ გულს. ბ-ნ ვანოს სწორედ ის აფიქრებს, იმით არის შეწუხებული, რომ არც კითხვები შეცვლილა და არც პასუხები. როცა კითხულობ სამშობლოს ბედიღბალზე დაფიქრებული ერისკაცების: ილიას, კონსტანტინე კაპანელის, არჩილ ჯორჯაძის, ივანე გომართელის და სხვების საუკუნის წინათ დაწერილ, სულის შემხუთველ სიტყვებს, ისეთი განცდა გეუფლება თითქოს ჩვენი თანამედროვეები არიან, თითქოს არც არსებულა ათასი ჭირ-ვარამით განვლილი საუკუნე, არაფერი შეცვლილა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში...

შექმნილმა ვითარებამ, როგორც ავტორი წერს, გადაადგმევინა ეს ნაბიჯი – გამოექვეყნებინა თავისი ჩანაწერები; რა თქმა უნდა, შექმნილმა ვითარებამ, მაგრამ ამასთან – სამშობლოს სიყვარულმა, ქართველი კაცის ნდობამ და იმედმა – იმედმა იმისა, რომ მისი ჩანაწერები „ჯადოსნურ“ სარკეში ჩაგვახედებს, დაგვანახვებს ჩვენს ნამდვილ ჰაბიტუსს, ბევრ რამეზე სინანულით დაგვაფიქრებს და შეიძლება რაიმე ისეთიც გაგვაკეთებინოს, ჩვენს საერთო სატკივარს მალამოდ რომ დაედება.

მკითხველში ჩემი წერილის სათაური – „მოღაღადე ჩანაწერები“ ილიას „ქვათა ღაღადის“ ასოციაციას გამოიწვევს და არც შეცდება. ბ-ნი ვანოს ჩანაწერები მართლაც ღაღადებენ და ნათელს ჰფენენ მრავალ ისეთ საკითხს, საზოგადოებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობას რომ იწვევს. ჩანაწერების უნიკალურობას და დიდ მნიშვნელობას მრავალი რამ განაპირობებს, პირველი და უმთავრესი თვითონ ვანო თვალავაძის პიროვნებაა; მისი საყოველთაოდ აღიარებული წესიერება, მისი პრინციპულობა, ღირსეულად გატარებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკმაოდ დიდი მონაკვეთი; იგი ყოველთვის იყო ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების დამცველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების პერიოდშიც, მანამდეც და დღესაც; იგი ყო-

ველთვის მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა და ახლო ან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეროვნული მოძრაობის ლიდერების უმრავლესობასთან... არ ჰქონია გამოკვეთილი პარტიული ინტერესები. შეიძლება ითქვას, მისი „პარტია“ იყო და არის საქართველო; მას აღმოაჩნდა გასაოცარი, მართლაც უნიკალური უნარი, ათეული წლების განმავლობაში ეკეთებინა ჩანაწერები პრინციპით: „ვწერ იმას, რასაც ვხედავ და რასაც ვისმენ“; ჩანაწერების უტყუარობას, მათდამი ნდობას კიდევ უფრო აძლიერებს მათი კონკრეტულობა; ყოველ მათგანზე მითითებულია აღწერილი ამბის ადგილი, დრო, შეკრების მიზანი, დამსწრეთა ვინაობა, ვინ რა თქვა და როგორ თქვა...

ჩანაწერები, როგორც წესი, აფიქსირებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ჟამთა ვითარებას, აცოცხლებს მოვლენებსა და პიროვნებებს, გვაბრუნებს ობიექტურ ისტორიაში, შეულამაზებელ რეალობაში, გვახსენებს იმ საოცარ, განუმეორებელ სულისკვეთებას, რომელიც მაშინ ქვეყანაში სუფევდა. დღევანდელი გადასახედიდან, ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს წარსული, რომელსაც ჩვენ ყველა ერთად ვქმნიდით, ეს მისი პრობლემაა, ის იყო ისეთი, როგორსაც ვანოს ჩანაწერები წარმოაჩენს, ჩვენც ვიყავით ისეთები, იმგვარი იყო ჩვენი განწყობა, აზრები, სიტყვები, პოზიციები, ღირებულებები...

იმის დასანახად და შესაგრძნობად, თუ რა დიდად მნიშვნელოვანია „მოღაღადე ჩანაწერები“ უახლესი ისტორიის დახლართულ ლაბირინთებში გასარკვევად და სიმართლის დასადგენად, გთავაზობთ ეროვნული უმცირესობების თემას...

საკითხში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ადამიანებს ახსოვთ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ეროვნულ ხელისუფლებას ოპოზიცია ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციაში სდებდა ბრალს. ეს ბრალდებები განსაკუთრებით გამძაფრდა და ყოველგვარ ზღვარს გადასცდა 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვის არშემდგარი პუტჩის- (ГКЧП-ს) მარცხის შემდეგ. ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ყველა ხერხს მიმართავდა, ყველაფერს კადრულობდა პრეზიდენტის ავტორიტეტის შელახვისა და ხელისუფლებიდან ჩამოშორებისათვის. იხსენიებდნენ დიქტატორად, ტირანად, ნაციონალისტად... ადარებდნენ ჩაუშესკუსა და ჰიტლერს... რუსეთის საინფორმაციო სამსახურებთან ერთად, უნისონში, მთელ მსოფლიოს აუწყებდნენ, რომ „ფაშისტი გამსახურდია გენოციდს უწყობს ეროვნულ უმცირესობებს და საკუთარი მიწიდან ერეკება“. ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობის კულმინაცია იყო მისი საშინაო პოლიტიკის „პროვინციულ ფაშიზმად“ მონათვლა. ეს იყო ხელისუფლების მოღვაწეობის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ბოროტი, მავნებლური გაყალბება... სულაც არ ანაღვლებდათ, რომ ასეთი ქმედებით საქართველოს, ქართველ ერს, მის ინტერესებს აზიანებდნენ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას აფერხებდნენ...

იმის გასარკვევად, სინამდვილეში რა ხდებოდა, უნდა მივმართოთ ვანო თვალავაძის წიგნის იმ მონაკვეთს, რომელიც XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში მიწათსარგებლობის კანონის დანაშაულებრივ დარღვევებს, მისგან გამომდინარე საზოგადოებრივ განწყობას და ეროვნულ უმცირესობებთან შექმნილ პრობლემებს აფიქსირებს.

მიწა და მისი საკუთრება ყოველთვის, კომუნისტური ხელისუფლების დროსაც კი, იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული თემა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და რაიონების ხელმძღვანელებს, ფულზე დახარბებულ ქართველ პარტიულ და საბჭოთა მოხელეებს მასობრივად შემოჰყავდათ უცხოტომელები სხვა რესპუბლიკებიდან და ფულის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთებს ურიგებდნენ, მაშინ როცა ქართველებს სამოსახლო მიწის გამოყოფაზედაც კი უარს ეუბნებოდნენ...

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული სისხლის ღვრის შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლე-

ბელი მოძრაობის არნახული აღმავლობის პირობებში, ქართველმა ხალხმა ხმა აღიმაღლა და ხელისუფლებისაგან მიწათსარგებლობის საქმეში არსებული განუკითხაობის აღკვეთა მოითხოვა. თბილისში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში ტარდებოდა ხალხმრავალი ყრილობები, რომლებზედაც ერთხმად ადგენდნენ: შეწყდეს უცხოელთა შემოყვანა; გასახლდნენ უკანონოდ ჩამოსახლებულები; ის პირები, რომელთაც წვლილი მიუძღვით საქართველოს მიწების გასხვისებაში, გამოცხადდნენ მოღალატეებად; შემუშავდეს კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოში მიწა გაიცემა მხოლოდ ქართველზე.

დამფრთხალმა ხელისუფლებამ ხალხის დასაშოშმინებლად მიწათსარგებლობის სფეროში არსებული უმძიმესი დარღვევების შესწავლისა და ვითარების გამოსწორებისათვის შექმნა სამთავრობო კომისია საზოგადოებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კომისიაში შევიდნენ: რუსთაველის საზოგადოებიდან – აკაკი ბაქრაძე, ვანო თვალავაძე, გიორგი პაპავა; სახალხო ფრონტიდან – ნოდარ ნათაძე; მწერალთა კავშირიდან – გურამ ფანჯიკიძე, რევაზ მიშველაძე; უნივერსიტეტიდან – ვახტანგ გოგუაძე, ბ. მაჭავარიანი; აგრომრეწვის მიწათსარგებლობის სამსახურის უფროსი – გ. ჩიქვილაძე; აგრომრეწვის ხელმძღვანელი – გურამ მგელაძე. კომისია მუშაობდა მგელაძის კაბინეტში.

ზემოთქმული და კომისიის შემდგომი მუშაობის პროცესი აღწერილი აქვს ვანო თვალავაძეს, როგორც ყოველივე ამის მონაწილეს და ერთ-ერთ ორგანიზატორს.

მიწათსარგებლობაში არსებულ დარღვევებზე რეაგირება და საკანონმდებლო ბაზის შექმნა ელვის სისწრაფით ხდება. ჩვენი თემისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის შემართება და რადიკალურობა, რომელიც კომისიის წევრების სიტყვებსა და გადაწყვეტილებებში გამოსჭვივის... 1989 წლის 18 მაისს, დილის 11 საათზე, გაიმართა საქართველოს პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა საქართველოს მიწების დატაცებისა და უკანონოდ გაცემა-გაყიდვის შესახებ. საკითხი გამოიტანა პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების გამგემ თენგიზ მახარაძემ. დამსწრე საზოგადოების წინაშე (გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვადასხვა პარტიის ლიდერები, სახელმწიფო მოხელეები...) დაიხატა უმძიმესი სურათი... აფხაზეთში, მარტო გაგრის რაიონში ჩამოსახლებულ, ძირითადად, რუსებსა და სომხებზე უკანონოდ გაცემულა 6000 მიწის ნაკვეთი. ამავე პერიოდში ქართველზე არ არის გაცემული არცერთი ნაკვეთი. გაგრაშივე იქნა ჩასახლებული 3000 ოჯახი საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პავლე გილაშვილის რეზოლუციით. აზერბაიჯანიდან ჩამოსახლებულ 1538 ოჯახს უკანონოდ გამოეყო (მიეყიდა) საკარმიდამო ნაკვეთები მარნეულში... მოკლედ, წარმოჩენილ იქნა გრძელი სია, დასახელდა მრავალი რაიონი და თანამდებობის პირი...

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, მგელაძის კაბინეტში შეიკრიბა სამთავრობო კომისია. პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილი შემაშფოთებელი ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ ერთხმად დაადგინა: მიღებულ უნდა იქნეს კანონი, რომელიც დაასრულებს საქართველოში ქართველთა დისკრიმინაციას. კომისიის წევრებმა გამოთქვეს აზრი: გურამ მგელაძე: შევადგინოთ დებულება, რომელსაც წარვუდგენთ მთავრობას და რომელშიც განსაზღვრული იქნება ქართველის უფლება, შეუზღუდავად მიიღოს მიწის ნაკვეთი, ხოლო არაქართველზე მიწის ნაკვეთის გაცემის უფლება შეწყდეს, აიკრძალოს. აკაკი ბაქრაძე: საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღოს კანონი, რომელშიც გარკვევით იქნება ნათქვამი, რომ საქართველოში მიწა, წიაღი და სხვა ეკუთვნის ქართველ ხალხს და მათი სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ ქართველს... გურამ ფანჯიკიძე: ახლავე, რაც შეიძლება მალე უნდა მივიღოთ კანონი მიწის შესახებ...გამომდინარე

ქართველი ერის ინტერესებიდან. ვანო თვალავაძე: ...დაუყოვნებლად დაურიგდეთ მიწის ნაკვეთები ქართველებს... რათა დასასახლებელი მიწა არ დარჩეს... რევაზ მიშველაძე: ყველა აზერბაიჯანელი ლტოლვილი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს აზერბაიჯანში... ვახტანგ გოგუაძე: კატეგორიულად მოვითხოვთ, წარსულის ყველა დარღვევა იქნეს შესწავლილი. თქვენც გადანაშაულებთ (მიმართავს მგელაძეს) და ვერ გამოისყიდით დანაშაულს. აუცილებელია კანონი მიწათსარგებლობის შესახებ. ნოდარ ნათაძე: საჭიროა აზერბაიჯანელების, ზოგადად, არაქართველების (აფხაზების გარდა) ეკონომიკურად შეზღუდვა... უვარგისი კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს ჩვენთვის ვარგისი კანონმდებლობით... ვალერი გაბელიამ, სოფელ წერეთლის მეურნეობის დირექტორმა (კომისიაზე მიწვეულმა) მხარი დაუჭირა ახალი კანონის შექმნას, ისაუბრა მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყოფის ფაქტებზე.

აზრი მიწათსარგებლობის ახალი კანონის მიღების საჭიროების თაობაზე, მიწის ნაკვეთის მიღებისას ქართველთა უპირატეს უფლებაზე, უკანონოდ ჩამოსახლებულთა თავიანთ ღვიძლ სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობაზე მარტო კომისიის წევრებს არ ეკუთვნოდათ, ამ აზრს იზიარებდა ინტელიგენცია, ამ აზრზე იდგნენ პოლიტიკური ორგანიზაციები, მათი ლიდერების უმრავლესობა; უფრო მეტიც, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი მხარს კი არ უჭერდა, მოითხოვდა რადიკალური ნაბიჯების გადადგმას.

ქართველთათვის ისტორიულად დამახასიათებელი, არაერთგზის გამოვლენილი ესოდენ ტოლერანტული ბუნების ასეთი, ერთი შეხედვით, მოულოდნელი აფეთქების, ეგრეთ წოდებული „ეთნიკური ნაციონალიზმის“ საყოველთაო გამოვლენის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმპერიის ანტიეროვნულ პოლიტიკაში. საქართველოში ქართველმა თავი დაუცველად იგრძნო, აშკარად დაინახა, რომ ასე გაგრძელების შემთხვევაში საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად გადაიქცეოდა. ამიტომ ამ მოვლენაში ერის თვითგადარჩენის ინსტინქტის გამოვლენა უნდა დავინახოთ და არა აგრესიული ნაციონალიზმი.

ქვეყნის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ ეროვნული უმცირესობების მიმართ ასეთი დაძაბული ურთიერთობა მიიღო მემკვიდრეობად, აღარაფერს ვამბობ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ უაღრესად რთულ ვითარებაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ძალების მიერ ინტერფრონტის შექმნის განზრახვის ჩაფუშვის შემდეგ, საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციისათვის მთელი ძალისხმევა აფხაზეთსა და ეროვნული უმცირესობებით ჭარბად დასახლებულ რეგიონებზე იქნა გადატანილი. ამის საპასუხოდ ხელისუფლებამ დაიწყო პრობლემების საკანონმდებლო დონეზე მოგვარება და, შეიძლება ითქვას, ვითარება არსებითად დაარეგულირა. ამის ნათელი გამოვლინება იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიზნით ჩატარებული 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა და რომელსაც, არსებითად, ყველა ეროვნულმა უმცირესობამ დაუჭირა მხარი. სამწუხაროდ, მოვლენების ამგვარი განვითარებით, კრემლთან ერთად და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, ეგრეთ წოდებული ოპოზიცია იყო შეშფოთებული და ყველაფერს აკეთებდა ეროვნული უმცირესობების სეპარატისტული ტენდენციების წასაქეზებლად...

იმ პატრიოტული ძალების უმრავლესობამ, რომელნიც 1988-1990 წლებში ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ: არაქართველებზე მიწის გაცემის შეწყვეტას, აკრძალვას; დაკანონებას იმისა, რომ საქართველოში მიწა, წიაღისეული და სხვა ეკუთვნის ქართველ ხალხს და მათი სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ ქართველს; უცხოელების საქართველოში ჩამოსახლების აღკვეთას; არაქართველების (აფხაზების გარდა) ეკონომიკურად შეზღუდვას; ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოკალათებულ იმ პირთა სამშობლოს

მოღალატეებად გამოცხადებას, უმკაცრესად დასჯას, რომელნიც პირადი კეთილდღეობისათვის უცხოელებზე ყიდდნენ მშობლიურ მიწას, – ქამელეონივით ფერი იცვალეს. 1991 წელს მთელ მსოფლიოს არწმუნებდნენ იმაში, რომ საქართველოს პრეზიდენტად ჰყავს „პროვინციელი ფაშისტი“, რომელიც დევნის ეროვნულ უმცირესობებს. სინამდვილეში სწორედ ამ „ფაშისტი“ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მომზადდა კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, რომელიც უზენაეს საბჭოს მეორე მოსმენით ჰქონდა მიღებული. კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ხდებოდა ყველა, ვინც კანონის მიღებისას საქართველოში იყო ჩაწერილი; მომზადდა მიწათსარგებლობის ახალი კანონი, რომელიც მიწის საკუთრებასთან მიმართებაში საქართველოს ყველა მოქალაქეს ათანაბრებდა; აფხაზეთის ხელისუფლებასთან ერთად შემუშავდა და შეთანხმდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კანონი, რომელიც აკმაყოფილებდა აფხაზების მოთხოვნებს და არეგულირებდა ურთიერთობებს. ამ კანონს ჩასაფრებულმა ოპოზიციამ აპართეიდული უწოდა და ლამის ნაცისტად შერაცხულ ზვიადს ახლა უკვე აფხაზეთის ქართველთა დისკრიმინაციაში, მათი სამოქალაქო უფლებების შელახვაში დასდეს ბრალი!!! სულაც არ აფიქრებდათ, რომ ურთიერთგამომრიცხავ ბრალდებებს აყენებდნენ... ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავით გურამიშვილთან ერთად ღმერთს შევღაღადოთ: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“.

ოპოზიციონერთა ფერისცვალების ჩვენ თვალწინ გათამაშებულ სპექტაკლსა და „მოღაღადე ჩანაწერებში“ აღწერილ ფაქტებში თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი, თუ როგორი საოცარი გარდასახვა მოხდა ეროვნული იდეებით აღსავსე „პატრიოტებისა“ ნიჰილისტებად... თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს თემა ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს მოითხოვს...

ბ-ნი ვანო თვალავაძის ნაშრომმა მყარი ხიდი გადო ობიექტური ისტორიისკენ. მისი უნიკალური ჩანაწერები საშუალებას მოგვცემს მრავალი მოვლენა თუ პიროვნების ღვაწლი ჯეროვნად გავიაზროთ და შევაფასოთ.

ჩემი აზრით, ეს მოცულობით პატარა წიგნი დეტონატორის ფუნქციას შეასრულებს. ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენათა მრავალ თვითმხილველსა და მონაწილეს უშუალოდ ნანახის, განცდილისა და მოსმენილის დაწერისა და გამოქვეყნებისაკენ მოუხმობს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა – ჩვენი უახლოესი წარსულის აღსადგენად, ჩვენ მიერ ერთად ნაკეთები დიდი საქმეების უკვდავსაყოფად, ეროვნული თვითშეფასებისა და თვითცნობიერების ამაღლებისათვის.

2017 წლის 23 იანვარი

ლაშა გვასალია

ალილო და ჰოი, ალილო...

იმ წელს ზამთარი ადრე დაიწყო, ნოემბერმა ძირს ჩამოიტანა ცა და ყინვეთი. შემოვიდა თუ არა ქრისტეშობისთვე, გადათეთრდა სამყარო. მარხილი მარხილს მისდევდა, ბოლოთრია – ბოლოთრიას. სოფელი მთვარეთი დიდი და ცივი ზამთრისთვის, სხვა ყველაფერთან ერთად, შეშას იმარაგებდა. გუგუნებდნენ ბუხრები და ღუმელები, კვამლით ცას ერთვოდა ოჯახური ათასრამეები. რას დაუმალავ ბუხარსა და ღუმელს, მით უფრო ზამთარში, როცა ყველა სითბოსაა მიხურხული. სოფლის განაპირას, ფათიას გორაზე, ძველებურ ხის ოდაში ზამთრის გრძელ და უშველებელ ღამეებს საუბარში, ძველი და საინტერესო ამბების მოგონებებში ლევდნენ. ოქროკაცი ბედია ცხოვრობდა ამ სახლში. ბედიას ოქროკაცი სოფელმა დაარქვა უკეთილესი გულისა და საღვთო ადამიანობის გამო. მთვარეთში ყველაზე საჭირო და სასურველი კაცი ბედია გახლდათ – ექიმბაში და ვეტექიმი, დალაქი და დურგალი... ყველაფერი ეხერხებოდა, ყველაფერი ხელეწიფებოდა. ჩია ტანის იყო, მუდამ გამართული და საქმიანი, ხშირი თეთრი თმებით, კეხიანი ცხვირითა და ღიმილიანი სახით. ბაბუას ალი-კვალი გახლდათ მისი შვილიშვილი – ბათია, ისიც მასავით გულკეთილი და გაბადრული, სხვათა დასახმარებლად დაუზარებლად მომართული. ბათიას მშობლები ადრე, პატარაობისას დაეღუპნენ. ავტოკატასტროფაში დაიღუპა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, არქეოლოგები იყვნენ და სვანეთის ექსპედიციიდან მომავალნი, გზაში თანამშრომლებთან ერთად ხევში გადაიჩეხნენ. ხუთივეს სული მიწამდე არ დაჰყოლია. ბედიას და მის მეუღლეს აქათას ბადრის გარდა სხვა შვილი არ ჰყოლიათ. ორი შვილი ჩვილობისას ყვავილმა წაიყვანა დიდ სოფელში. ბადრი, რომ იტყვიან, სულის შებერვით გაზარდეს, შიშითა და ცახცახით, არიქა, არაფერი დაემართოსო. უფრო აქათა შიშობდა, – უბედურება კიდევ არ მოგვივარდესო. სულ ასე დამფრთხალებმა დააკაცეს და გამოზარდეს. მერე ინსტიტუტი, ცოლი, შვილი – პატარა ბათია და ახალგაზრდობის ავმოლოდინმა სიმოხუცეში უწიათ აქათასა და ბედიას. გამწარდნენ, გამოძაძავდნენ, სიხარული და სიყვარული დაუმიწდათ, მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ გაწირა, ოქროს კაკალივით შვილიშვილი დარჩათ საპატრონოდ და მოსავლელად. რომ არა ბათია, საფლავს დააკვდებოდნენ საწყლები, მაგრამ სად ეცალათ სიკვდილისთვის, ბიჭს არავინ ჰყავდა მათ გარდა.

ყველაფერს ასწავლიდა ბედია შვილიშვილს. მოტეხილობის მალამოს დამზადებიდან დაწყებული, უშვილობის წამლით დამთავრებული. საქონლისა და ფრინველის წამლობაც იცოდა ბათიამ. ბებია სულ ქურქულებდა, რას შეიკალი ბაღანა, რა ჯანდაბად უნდა შენი ჩირთიფირთობა, ქვეყანა განათდა და განათლდა, შენ ისევ ბნელი და დაღუპული ნუ გგონიაო. ცოდნა ყოველთვის საჭიროა და გამოსადეგი, რაც იცი, ყველაფერი კარგია და ვინ იცის, სად წაგადგებაო.

ადრიან შემოდგომაზე ხან ჯეგეთას და ურთას, ხანაც ეკის მთაზე ადიოდნენ ზურგჩანთებმოკიდებული ბაბუა და შვილიშვილი. სამკურნალო მცენარეებს ინაგრებდნენ.

– ეს ოშოშიაა, ბაბუ, ეს კიდევ ძირგულა, ნაჭრილობევზეა ორივე მისწრება. ეს პატარა, მოყავისფრო ყვავილი რომ აქვს, ფაფაშიაა, გულისყრას შველის. ბაბუაწვერა და დათვისწვერა ყანყარის ნაყენისთვისაა აუცილებელი.

კორკბილას და ფომფას თაფლში ვურევთ დანაყულ ნიორთან ერთად – გაცივებას შველის.

– ბაბუა, ძაღუიას ცაცუს ნაღვლის ბუშტის წამალი რომ დაუმზადე, ქრისტესსისხლასა და ღორონთიას ძირის გარდა სხვაც გაურიე რამე? – ჰკითხა შვილიშვილმა ბაბუას და მიაპყრო ნუკრივით ფახულა, ფართოდ გახელილი თვალები.

– კარგად დაგიმახსოვრებია, ბაბუ, დაფქული ხმელი ქონდარი და წაბუხის ძირები უნდა კიდევ. ესენი ოთხივე კარგად უნდა შეურიო ერთმანეთში და მაწონში ათქვეფილი აჭამო ავადმყოფს.

მთა-ბარი ჰქონდათ მოვლილი ბაბუასა და შვილიშვილს. ყველგან ცნობდნენ ოქროკაცსა და მის ნაგრამს. თავის ძირზე მოიდგა და მოიშენა ბედიამ შვილიშვილიო. მართლაც ასე იყო. გათვალვის შელოცვაც ასწავლა. შავტარიან დანას, ჯამით წყალს დაიდგამდა ბედია და ჩურჩულებდა:

ანელისა, ბანელისა, შავტარიან დანელისა,

ავი სულის, ავი გულის, ავად მონაკარებისა,

ვინც ჩვენს გათვალულს ავი სულითა და

ავი გულით შეხედა –

იმას დაეცეს სამას სამოცდახუთი

წმინდა გიორგის ლახვარი.

გადააბიჯა ღობეზე – შენი ეშმაკი

მოიშალა ღონეზე (სამჯერ)

ფუი თეშ გაქარი,

ფუი თაშ გაქარი,

ფუი თეშ გაქარი! – ამ უკანასკნელ სიტყვებს განსაკუთრებული სიმკვეთრით წარმოთქვამდა და დანის დახმარებით ჯამიდან წყალს აღმოსავლეთითა და დასავლეთით გადმოღვრიდა.

გველის ნაკბენის შელოცვაც იცოდა და მორიელის ზეთიანი მალამოს დამზადებაც.

ცელის ცანდილად გამოკვერვაც შეაძლებინაშვილიშვილს და ანჯარზე ტარის დაგებაც. კვაღასა და შალაშინს ისე მარჯვედ ხმარობდა პატარა, გამოცდილ დურგალს შეშურდებოდა. ჩოგნის მოკვარკვაზებაშიც დააოსტატა და კალათების წვნაშიც. თხილის მკლავისხელა ჯოხებიდან ულამაზეს ჩიჩილაკებს ააბურბუშელებდა. რა არ იცოდა და რა არ ხელეწიფებოდა ბათიას.

ჩიჩილაკისთვის თხილის ჯოხებს ადრიან შემოდგომით იმარაგებდნენ, ჯარგვალის ჭერზე აწყობდნენ გასაშრობად. საახალწლოდ კი სხვადასხვა ზომის გაფუმფულებულ ჩიჩილაკებს ამზადებდნენ, ბაზრის კაცები, როგორც მათ აქათა უწოდებდა, „ვილისით“ ამოთიხთიხდებოდნენ, ერთიანად წაიღებდნენ, ფულს ბაბუას მისცემდნენ და წათუხთუხდებოდნენ. ბედია და ბათია ახლა სასაჩუქრედ და სათავისოდ დაიწყებდნენ თხილის ბულულების ხანწარუას. ვის არ გაუგზავნიდნენ საჩუქრად – ხვე-ბარაქისა და ბედნიერების სიმბოლოს. ერთ დიდს თავიანთთვის დაიტოვებდნენ, ერთსაც – სამეკუჩხუროდ. ბედობაზე ფეხბედად უნდა სწვეოდნენ გაჭირვებულ და შველასაჭირო მეზობელ-მოკეთეებს. მათი ფეხი, რომ იტყვიან, მინიშნული ჰქონდათ და უთუოდ უნდა სტუმრებოდნენ. იმისთანა პირველი და მეორე ხმა ჰქონდათ, „ალილოს“ რომ დაიწყებდნენ, ღმერთი ბანს აძლევდა და ეჰე, ჰეეე... „ალილოდა, ჰოი ალილო...“ „ალილოზე“ რომ შემოუვლიდნენ სოფელს, იმდენ საჭმელსანოვაგეს მოაგროვებდნენ, ძლივს მოჰქონდა ხურჯინმოკიდებულ ბებერ ქუქურას, ზანტად რომ აბიჯებდა ხრაშუნა თოვლში და ფრუტუნით იფრთხობდა თოშსა და ყინვას. ხურდა ფულსაც კარგა გვარიანად ჩაუჩხრიალებდნენ პატარა მეალილოეს ბამბიანი ქურთუკის ფართო ჯიბეში. ამ საჩუქრებისა და მოსაკითხების უმეტესობას ქვრივ-ობლებსა და უქონლებს უნაწილებდნენ. მთავარი გამნაწილებელი ბებია აქათა იყო. ჩვეული გულუხვობით მოიკითხავდა ყველას.

***

ნამეტანი ადრე დაიწყო ზამთარი, შეშა არ

გვეყოფაო სანახევროდ და... შარშან გახედნილი ჯირღია შეაბა ბედიამ ოთხთვალაში. ქუქურა უკვე ნამეტანი ბებერი იყო და შეეცოდა. ღელის გაღმა ტყეში წავიდა შვილიშვილთან ერთად. ორი ნაჯახი, ერთი დიდი და ერთი პატარა, წალდი და ბირდაბირი ხერხი წაიღო. საგზალიც გაატანა აქათამ, მოშიება იცის ტყემ და გემრიელია ყველაფერიო.

ბედია უკან დაჯდა, ბათია წინ, აღვირი დაიჭირა და შეუძახა ცხენს, – აჩუ, აჩუო...

– რა ეშმაკი შემაჯდა, მომეტანა მაშინ, ვიზარმაცე და ა, ვიმკი ახლა, – თავისთვის, მაგრამ ხმამაღლა ჩაილაპარაკა მოხუცმა.

– არა უშავს, ბაბუ, მოვიტანთ ახლა და...

– კი, მოვიტანთ, შვილო, მარა ამ თოვლსა და ყინვაში ადვილი ხომ არაა, ეშმაკისთვისაა წასართმევი და მოგვეტანა თავის დროზე, აჯობებდა.

ქარს ცივად და გამჭოლად ისევ მოჰქონდა აქათას ქოთქოთი: ბავშვს გაუფრთხილდი, ბედია, ცამეტისაა, ხომ გახსოვს, მძიმე არ ასწიოს, რბილი აქვს ძვალი ჯერ.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბაბუ, – აგრძელებდა ისევ ბედია, – ღმერთმა იმიტომ დაყო წელიწადი ოთხად, რომ ერთ სათვალავსა და საზიდარში ვერ ეტეოდნენ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. ჰოდა, ღმერთი რომ ამას ასე დააკანონებს, შენ ვინ ოხერი ხარ, შენს გემოზე ანაწილებ დროსა და სიტუაციას? ეტყობა, დავბერდი და ამის ბრალია, ბაბუ, თორემ ასეთ დროს შეშაზე წავა კაცი?

ყინავს, ბურბულებს... ხან ერთ გათოშილ ხელს ამოიღლიავებს ბიჭი და ხანაც მეორეს. ბედიას აჯანჯღარებს ოღროჩოღროზე მიმავალი ოთხთვალა. ფრუტუნებს ცხენი. შაშვები გადმოხტებიან ხოლმე გზისპირზე და ყვინთაობენ ბარდებში. ბეღურებიც ჟივილობენ. განსაკუთრებით გულყვითელა ჩიტი არ შორდებათ, ხან წინ გაფრინდება, ხან უკან, ხანაც თავზემოთ იწყებს ტრიალს. ბედიამ აბგა გახსნა, პური მოტეხა, დაანაწევრა, დაფშვნა და უკან, ბორბლებს შუა ამოზნექილ კვალზე დაყარა. თითქოს ვერ ნახაო, თავიდან არც შეიმჩნია, მერე დააფრინდა და კენკვა დაიწყო ჩიტცანცარამ. გზაზე ტურამ გადაირბინა და ბარდებში გაუჩინარდა.

– ტურა, ტურაო, – წამოიყვირა ბათიამ. ისე შესცივნოდა ბედიას, მოტრიალება ვერ შეძლო და ღიმილით უთხრა შვილიშვილს:

– თვალებში ხომ არ ჩაგხედა, წიე?

– რა თვალებში, ბაბუ, გაქუცა და დაიკარგა შიშით.

– არიქა, თვალებში თუ ჩაგხედა, დავიღუპეთ, რა გადაურჩება ბებიაშენის ქურქულს.

– რატომ ვითომ?

– რატომ და უთუოდ გამოჰყვება თვალის შუქს და ჩვენს ქათმებს დედას უტირებს.

– დღე ბათურა არ მოუშვებს, ღამე კარაიაში არიან და...

– აი, ლეღვის ხეზე რომ ყვინთაობენ?

– იმათ რას შესწვდება?

– შეულოცავს და ჩამოაგდებს. იცის უკუღმართი ხერხები ტურამ.

– დავუდარაჯოთ და მოვკლათ ეგ წუპაკი, ან რატომ არ წამოვიღეთ თოფი?

– რად გვინდა თოფი, სად გვცალია მაგისთვის.

ყინვა ისევ ბურბურებს, თავს იკლავს, კანში არ ეტევა ზამთარი.

ნიკაპს ვერ გრძნობს ბათია, ცხვირიდან წვინტლი ჩამოსდის და გათოშილი თითებით მოწმენდა არ შეუძლია. მოხუცს, სისხლი გაეყინაო, ფერი დაჰკარგვია. ღელის ფონი გადალახეს და შემოეგებათ შევერცხლილი ტყე ხმაურითა და ხათქახუთქით.

– ე, ჩვენისთანა ზარმაცები კიდევ ყოფილანო, – ხუმრობა სცადა ბედიამ.

ცხენი თავისით მიიკვლევდა გზას, აღვირს ძლივს იჭერდა ბიჭი, შიგადაშიგ უხმოდ გასძახებდა ხოლმე: აჩუ, ჰო, აჩუ, ჰოვო... გრძნობდა მოხუცი, რა დღეშიც იყო ბიჭი, გულ-მუ-

ცელი ეწვოდა, მაგრამ განძრევის ძალა და უნარი წართმეოდა, პირველად ემართებოდა ასე, თითქოს ამქვეყნისა არც იყო. ღიღინი დაიწყო: „აშო ჩელა, ვიშო ბუსკა“... ამყევიო, სთხოვა შვილიშვილს. ვერ შეძლო ბიჭმა, ხმა წაერთმია სიცივეს.

ტყის შესასვლელთან ორი ორთვალა გამოჩნდა. მეზობლები იცნო ბათიამ, თარაში და მისი ბიჭები. იცოდა, გასაყიდად ამზადებდნენ შეშას თარაშისები. ნამდვილი ტყისკაცები იყვნენ, ოჩოკოჩებს ეძახდა ბებია.

– ბედია პატენი, რამ შეგაწუხათ, მუდამ თადარიგიან კაცს, დავიჯერო, შემოგაკლდათ შეშა?

ჩაიღიმილა ნიშნის მოგებით მოხუცმა და ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა: სიბერე თადარიგიანობის მტერიც ყოფილა, თარაშ ჩემო.

თარაშმა უფროს ვაჟს ბიკიას გახედა და ბრძანების კილოთი უთხრა, – წაჰყევი და დაუტვირთე კაჭკაო.

– არა, რას ამბობო, – იუარა მოხუცმა, მაგრამ ნათქვამი იყო უკვე. თარაშისებს ათ საჟენზე მეტი შეშა დაემზადებინათ და წყებაწყება დაელაგებინათ გზის პირას.

– ამაღამ ყველა სახლში მეწვიეთო. – უარს ვინ ეტყოდა. აქათას თვითვალ ხაჭაპურებსა და ჩაყვითლებულ დედლებს უსხდნენ თარაშისები. ზოგი კაჭიჭს წრუპავდა, ზოგიც მსხლის არაყს იცეცხლებდა და იღუღუნებდა გულ-მუცელს.

***

გათარანებული და სიცხიანი ბედია უღონოდ იწვა ტახტზე, ნივრიანი არყის ნაყენი გადაკრა, მაგრამ აცახცახებდა, ძვლებში სტეხდა. ყველას მკურნალი და მეწამლე-დასტაქარი თავად იყო საპატრონებელი. იწვა და ცახცახებდა. ბათია და აქათა სტუმრებს ჰპატრონობდნენ. თარაში თამადობდა და როხროხებდა.

ორ დღეში ახალი წელი შემოაბიჯებდა ყინვათოშიან მთვარეთში. შობას ძაღუს ბიჭი ბედნიერდებოდა და ქორწილში უნდა მისულიყო აუცილებლად. ძაღუ ბედიას მამის, ბათიას მონათლული იყო. მიხვდება მკითხველი, პატარა ბათიას დიდი ბაბუას პატივსაცემად რომ დაარქვეს სახელი.

***

– აბა, შენ იცი, წელს ვერ გიბადლე, ვერ ამოგიდექი მხარში, მაგრამ მომავალ წელს სად წაგიხვალ? ერთიორად გადაგიხდი პატივსცემას. თანაც „მასპინძელოს“ მომავალ წელს სულ მე დავიძახებ, შენ არ შეგაწუხებ.

– რომ არ წავიდეს, ბედია, ბავშვია და ცოდვაა მარტო, თანაც კუჩხაზე წასვლა ხუმრობა ხომ არაა? – ჩაერია აქათა.

– რას ამბობ, ქალო, ხომ არ გაგიჟდი შენ, – გაფიცხდა მოხუცი, – სიტყვა გვაქვს ნათქვამი, პირობა მიცემული და ხომ არ დავარღვევთ ამ რაღაცა პატარა ავადმყოფობის გამო.

– ნუ გეშინია, ბაბუ, ალილო და კუჩხა კი არა, მთელი ცხოვრება უნდა გასწიო ჭაპანივით, მე და ბებიაშენი რომ არ ვიქნებით. კი ხარ პატარა, მაგრამ აუცილებელი და წესიერი საქმის კეთება დიდსაც ძალუძს და პატარასაც. რაც უფრო ადრე დაიწყებ სიკეთის კეთებას, მით უფრო ადრე გაგინათდება გზასავალი ცხოვრებისა. კაცი სიკეთისა და სიყვარულის მთესველი უნდა იყო, ღვთისკენ უნდა იხედებოდე და გჯეროდეს იმისა, რომ შენი ნაკეთები შვილსა და შვილიშვილს, იმის შვილსა და, საერთოდ, შენი სისხლის დინების შეუჩერებლობას გამოადგება. აიღე, ბაბუ, ჩიჩილაკი, ხურჯინი და წადი, დანარჩენი იცი ყველაფერი. წამლების ფუთაც გაიყოლე, იქნებ სადმე დაგჭირდეს, ავადმყოფს და გაჭირვებულს, რომ შეგხვდეს, უწამლო უნდა. აწი შენ უნდა გააგრძელო ჩემი საქმეები. სიმინდი თუ აჭამე, ბიჭო, ქუქურას, არ შემოგაკვდეს ეგ ჯაგლაგი ამ ყინვაში. ისე, თუ არ ვცდები, ოცდამეხუთეჯერ მიდის კუჩხაზე საწყალი.

ყველაზე კარგი ფეხი მაგას აქვს, მგონია.

თვალცრემლიანი უყურებდა ბათია ავადმყოფ ბაბუას და რაღაც ენით აღუწერელი შიში იპყრობდა.

– წადი ახლა და სახრეც წაიღე, იმ შენი თვალების შუქს გამოყოლილი ტურა არ გადაგეყაროს სადმე! – სცადა ხუმრობა მოხუცმა.

– რა ტურა, კაცო, რასაა რომ ეუბნები ბავშვს? – იკითხა აქათამ.

– არაა ეგ შენი საქმე, ჩვენ ვიცით მაგი, – ჩაუკრა თვალი ბაბუამ შვილიშვილს, – ბაბუ, პირველად სტურუებთან გადადი, ცირა ბატონები სტუმრობს იმათ თინას და აუცილებელია მისვლა.

***

მალევე მობრუნდა ბათია, შეხვდა წკმუტტუნითა და თამაშით ბათურა. – რომ მნახა იმ ავადმყოფმა გოგომ, მორთო კივილი, – ბედია მინდოდა მე, ბედია, თორემ ეს გოყია ვინაარ? რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი მესროლა. ა, ჩაფჩა მომხვდა აქ და შუბლი გამიხეთქაო, – საბრალობელი ხმით შესჩივლა უფროსებს ბათიამ. – აუჰო, – გაგიჟდა და გადაირია ბებია, – ეს როგორ გაუბედეს ჩემს ვარსკვლავივით ბიჭსო, – მოიგლიჯა წინსაფარი და ქურთუკს დაავლო ხელი. – გაჩერდი, ქალო, მანდ, – შეუბღვირა ბედიამ, – რასაა რომ ხტუნაობ? ავადმყოფსა და დავარდნილს გინდა ფეხებით შედგე? – წამოიწია ტახტიდან, მუთაქები თავკიდისკენ გასწია და ახლა შვილიშვილს მიმართა, – არაფერია, შვილო, უარესები ხდება. სრულ ჭკუა-გონებაზე რომ ყოფილიყო, ასე ხომ არ მოგექცეოდა. ავადმყოფი სოფელმა უნდა შეინახოს, სოფელმა უნდა უპატრონოს გაჭირვებულს და უქონელს. მომაწოდე ქურთუკი, ჩექმებიც მომიტანე, – ცოლისკენ იბრუნა პირი ბედიამ.

– კი მარა, სიცხე გაქვს, ოცდაცხრამეტი და ნახევარი, შენი ადგომა გაგონილა? მოკვდე გინდა? – წაიქურქულა ქალმა.

– არაა მაგი შენი საქმე, შენ რაც გითხარი, ის გააკეთე, წავალთ მე და ბიჭი აგერ და მოვბრუნდები მალევე, ეს კი გააგრძელებს შემოვლას.

– რა დროს შემოვლა და „ალილოა“, თუ ღმერთი გწამს, ცუდად ხარ, ნამეტანი ცუდი ამინდიცაა. არ გაცივდეს ბავშვი. რა ჩვენი საჭირო და სადარდებელი გახადე სოფელი და დუნია? – არ ჩერდებოდა აქათა.

– ყველას თავის საკეთებელს დაუწესებს უფალი, ჩვენ ჩვენი უნდა ვქნათ, სხვამ – თავისი, – ამბობდა და თან იცვამდა მოხუცი.

– როდის გითხრა ღმერთმა, ბედობასა და შობას სოფელ-ქვეყანას მიმიხედეო?! – ცხარობდა ქალი, არ უნდოდა ავადმყოფის გაშვება.

– მიმანიშნა, რა გესმის შენ.

– როგორ მიგანიშნა ნეტავი, იქნებ მითხრა და დამამშვიდო.

– ე, ბიჭო, შენმა მზემ, ღმერთი ჩამოვიდოდა ზეციდან, ხელს ჩამომართმევდა, ძმაკაცივით მხარზე მარჯვენას დამკრავდა და მეტყოდა: შენ, ჩემო ბედია, ესა და ეს გევალება და ამის გაკეთება შენთვის მომინდვიაო. ვერა ხარ შენ, ქალო, მგონია, სრულ ჭკუაზე. ყველას უთქმელად და დაუყვედრებლად მიეცემა უნარი და ძალა უფლისგან. ზოგი თამადაა, ზოგი – მარებელი, ზოგი – ფერშალი, ზოგი – მჭედელი, ზოგი – ხურო და ასე ივსება და შენდება სოფელი საჭირო და აუცილებელი ხალხით.

– შენ მაინც არ მოიშლი შენსას, წადი, სადაც გინდა, მაგრამ ეს ბავშვი არ გამიციო, უჟმური არ დამართო ამ ქარსა და ყიამეთში!

– არხეინად იყავი, არაფერი დაემართება.

***

„ოცდახუთსა დეკემბერსა,

ქრისტე იშვა ბეთლემსაო,

„ოჰო, ჰოი, ჰოი ალილოო...“ – ბათიას შეძახილი ცას სწვდებოდა. მოხუცი თავს აძალებდა, ძლივს ამოჰქონდა გულ-გვამიდან ხმა

და მახვეწარივით ცას არ აშორებდა თვალებს, თოვლის ფიფქები მირონივით ეღვრებოდა მზერაში.

გაიხარა ავადმყოფმა, დამშვიდდა, მზე ჩაუდგაო თითქოს, გაებადრა სახე და ბუხართან მდგარ ტახტზე მიწვა. – კვირაზე მეტია თვალები არ მოუხუჭავს და თქვენ იმრავლეთ და აშენდითო, – ლოცავდა დედა მეკუჩხურებს.

ფეხით ვერ წამოვიდა ბედია, დაეხმარა შვილიშვილი და ძლივძლივობით შესვა ცხენზე. შეგიშალე შენც ხელიო, – მიუგო შვილიშვილს, – წამიყვანო უნდა სახლში. მივდივარ, ბაბუ, და არ შეშინდე, ვაჟკაცურად დახვდი გაჭირვებას, კაცი ხარ უკვე და შენს თავზე უნდა გადაიაროს ყველაფერმა. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ბაბუ. დავბერდი აწი, კი მინდოდა ამოგდგომოდი ჯერკიდევ მხარში, მაგრამ განგების ჯერჩინებას ვერ გაექცევა ვერავინ. იქ, – საჩვენებელი თითი ცისკენ ასწია მოხუცმა, – ჩემი ბადრი, მამაშენი მიცდის. სიმართლე გითხრა, მიხარია კიდეც წასვლა. მენატრება ჩემი ვაჟკაცი. იცოდე, ბაბუ, კივილი არ დააწყებინო ბებიაშენს, უთხარი, არ ჩავუშხამოთ ახალი წელი სოფელს-თქო. ჩუმად დამასაფლავეთ. დანარჩენი შენ იცი, ბაბუ. რა გატირებს, შე კაცო, ერთი ასი წლის მერე შენც წამოხვალ ჩვენთან. იქ დაგხვდებით მე და შენი მშობლები. აქაც შენთვის ვშრომობდი და იქაც შენთვის ვიქნები. აბა, შენ იცი, იცხოვრე ისე, რომ საკუთარი თავისა არ შეგრცხვეს.

***

ჩუმი ხმით მოთქვამდა აქათა, სოფელი არ შეუწუხებიათ. ტიროდა ბათია, ღურღულებდა ცხელი ცრემლებით. იწვა მშვიდად ყველაფრით დაღლილი ბედია, ეძინა თითქოს...

თოვდა, სამყაროს ეფინა თეთრი ნათელი...

შორიდან ისმოდა „ალილო“: „ოჰო, ჰოი, ჰოი ალილოოო...“ მღეროდნენ, აბა ხმაკმენდით ხომ არ შეხვდებოდნენ ახალ წელს!

გია ჯიჭონაია

კერიასთან მოსაყოლი რობაიები

* * *

მერწმუნე, მინდა ისევ გული გადაგიშალო,
რომ ეს განწყობა ერთსავ წამში გამოიცვალო,
არასდროს არ თქვა, რომ ვიყავი არაგულწრფელი,
მსურს უნდობლობის თასი თვალწინ რომ დაიცალოს.

* * *

რამდენიც უნდა შენ ეცადო, დრო არ ჩერდება,
და რასაც ადრე ფლობდა, იმას არ დასჯერდება,
საღამოს იტყვი, – ეჰ, რა მალე დაღამებულა,
როდესაც გული უჩვეულოდ აგიძგერდება.

* * *

ჩვენ ერთმანეთის უნდობლობა ძველიდან მოგვდგამს,
ვით მითაჟამის თქმულებების ათასი ბოდვა
და მაინც ისევ არ გასვენებს იმაზე ფიქრი,
ერთიმეორის როდის შევძლებთ ბოლომდე ცოდნას.

* * *

ჭაბუკს უკვირდა უჩვეულო ბედის ხლართები,
მოხუცმა უთხრა, – რაღად გიკვირს შენ ეს ძაფები?
რამდენი ტანჯვა ამ დღეთაგან ჩვენ გვიგემნია,
ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაიწაფები.

* * *

კვლავ გადაიქცა სათამაშოდ მთელი სამყარო
(არავინ ეტყვის აქ ერთმანეთს, ეჰ, რას გავხარო),
ოცდამეერთეც ისევ გახდა მორიგი სცენა,
არც წითლდებიან და ირგებენ ღიმით ახალ როლს.

* * *

თავს იწონებენ აქ, მორიგ მსხვერპლს როცა ელიან,
არც გიკვირს მათი ეშმაკობა, იცი, ძველია,
ამ საქციელზეც გეღიმება, რადგანაც ხედავ,
ისიც ყველაზე „საყვარელი“ რომ ცხოველია.

* * *

მისას ყველაფერს ისევ ძვირად დააფასებენ,
სხვისას იაფად, ძველებურად არად აგდებენ,
ესეც არ გიკვირს, უწესობა მათი წესია,
სიცარიელეს მორიგი დღის ამით ავსებენ.

* * *

შეთანხმებული ღიმილები, ქორწინებები,
და სამარცხვინო შეხვედრის წინ დარიგებები,
კვლავ დუღს ცხოვრება და ერთობა მორიგ ილეთით,
დაზავებებით და სავაჭრო გარიგებებით.

* * *

მან, ერთადერთმა ცხოველებში, იცის, მოკვდება,
ზოგჯერ დაჯდება, ფიქრობს, ვაი, რა ეშველება,
მერე ადგება, სისაძაგლეს მორიგს კვლავ სჩადის,
იცის, რომ მაინც ვერაფერი ვერ ეშველება.

* * *

სონეტს – ევროპულს, აზიურს კი რობაის ვეტრფი,
გზაგასაყარზე მირახრახებს თან ჩემი ეტლი,
ხმა კი მომძახის, – სონეტი სჯობს... არა, რობაი,
ჭირს წაუღიხართ, ვეხუმრები, თქვენ თქვენი მეტრით.

* * *

ოღონდ მის სახელს არ მიადგეს ახლაც ზიანი,
მუდამ სხვის განსჯას კვლავ ესწრაფვის პირდორბლიანი,
საკუთარ თავში ჩახედვა კი არასდროს უნდა,
ეს იმიტომ რომ თავხედია ადამიანი.

* * *

ნუღარ დასცინი ამ ცხოვრების, მე გთხოვ, ნაოჭებს,
ამ საქციელით შენ ვერავის ვერ გააოცებ,
თუ არ მორჩები სისულელეს, მინდა იცოდე,
ისე დაგცინებს ეს ცხოვრება, რომ გაგაოგნებს.

* * *

უსაქმურობამ მაწერინა რობაი ამო,
ზოგჯერაც ვფიქრობ, ვით გავერთო, რომ დავაღამო,
მე ახლა ისე მშველის ლექსის ყველა საზომი,
ვით ბალახს კურნავს ცისა ნამი დილა- საღამოს.

* * *

სუფთა სინდისის კაცი მუდამ სწორად იქცევა,
ქარი სადაც ქრის, გაიძვერაც იქეთ ირწევა,
მართალი კაცი იმედად დგას და არსად მიდის,
გაქნილის გზა კი ეშმაკის გზად გადაიქცევა.

* * *

ბევრს ძველებურად კვლავ იზიდავს და უყვარს ანტი,
ზოგს ვერ გაუგებ საითაა, კვლავ აქვს ეს ნაკლი,
სხვისი აზრებით და ფიქრებით სურს, რომ იცხოვროს,
რადგანაც კაცი ბევრი არის ბუნებით ზანტი.

* * *

კვლავ მიკვირს, ცუდად რად იცნობენ აქ საკუთარ თავს,
რომ სივერაგით აქ არავინ ერთმანეთს არ ჰგავს,
კარგები იყვნენ ბავშვობაში, საღ-სალამათნი,
მერე კი ყველამ საკუთარი სახე დაკარგა.

* * *

ყოველი კარის ბრახუნი რომ გულს გიკანკალებს,
ერთი სული გაქვს, გადაიხდი როდის ამ ვალებს,
მე კი არავის ვალი არ მაქვს, მკიდია ყველა, –
თქვა იქ ჭაბუკმა და ღიმილით გახედა კარებს.

* * *

მჯერა მივახრჩობ საღამოსაც, დღესაც ამჯერად,
ვერ იქონიეს ვეღარც ერთმა ჩემზე გავლენა.
ვიღაცა მოვა და უკბილოდ კვლავ გაიხუმრებს,
იმ კომიკური ეფექტების გამოსავლენად.

ესკიზები ავტოპორტრეტისთვის

I.

ის ღიმილებიც მოვაბრუნე უტყვად წასული,
რაკი დაუყვნენ,დამორჩილდნენ ასევე ურჩ გზებს,
შემომიბრუნდნენ,მომაცქერდნენ ფიქრისგან უძღებს
და მომაყარეს ყვავილებით ის გაზაფხულიც.
ლაღი სამყარო თუ დამხვდება კვლავ გადახნული,
იმედის მზერას მას მივაპყრობ,შორიდან უხვ მზეს,
აღარასოდეს არ მენახოს არავინ მუხლზე,
მაშინ მგონია მის წინ ყველა დაბლა დასული.
თუ მოწყალება ქვეყანაზე ასე განაზდა,
ბევრი უღირსიც, ასე თქვეს, რომ თურმე გაკაცდა.
ვით შეიძლება შეგეშალოს ერთგული სხვაში,
გყოფნიდეთ ძალა, არაკაცნი გარეთ გაყარო,
დაფიქრდე მარტო, სიძლიერე შეიგრძნო წვაში,
დე, უღირსებმა შენ წინაშე ხმლები დაყარონ.

II.

ჩემს მოსაშხამად თვალწინ ცეკვავს ახლაც ავსული,
რომ საბოლოოდ ჯანდაბისკენ ეშმაკს გაუყვეს,
ახლაც ოცნება თუ სულს ღაფავს ღიმილის ხუნდზე,
სწორედ მის გამო შემიწუხდა, ძვირფასო, გული.
ამ ცოდვიანი არსებობით შემოსაზღვრული,
ღელავს ცხოვრება, რახან ცრემლით ისევ დახუნძლეს

(თუმც მიმზიდველი მაინც არის, რაგინდ გახუნდეს)
და არ მაშინებს გაყურსული ის დასასრულიც.
მორიგ შეხვედრის გაოგნება თუკი კვლავ ამცდა
(ალბათ შემდეგი აღტაცებაც სადღაც მინაცრდა),
აღარას ვნანობ, მშვიდად ვჯდები ფიქრების ნავში,
არვის უნახავს, მეოცნებემ თავი დახაროს,
დახუჭულ თვალებს აღტაცების ავახელ ზღვაში,
ახალმა კადრმა ჩემი სული რომ გაახაროს.

III.

წუხელ სიზმარშიც წინ მედექი კვლავ გაბადრული,
ჩემი ტანსარო სიხარულის ეძებდი მიზეზს,
ამ სიმშვიდეში თუ მიღიმის ჩემი პირიმზე,
იმ დროს არც მახსოვს, როდის ვიყავ გულდადაგული.
შეყვარებული აღარა მწამს მე დაჩაგრული,
თუ გულისსწორი შორს არ არის,ტანჯულს სულ უმზერს,
მას ისიც ჰყოფნის, ვით ცის წყარო მორიგ ცხელ გულზე,
და ივლის ასე ახალ ხიბლით, გულში ჩაკრულით.
მაშინაც მისი გაღიმება იმედად მახლდა,
ვინც შემოვიდა უკითხავად, გულში დასახლდა,
უკვდავი სატრფო მიაცილებს მოწყენას ტაშით,
არავინ ეტყვის ახლა იმას, ტანჯვას ჰგავხარო,
ვით მეოცნებე, არასოდეს იმედს არ წაშლის,
ფიქრად დაშთება და მოირგებს ღიმით ახალ როლს.

IV.

ისევ ომში ვარ იარებით წყურვილმოკლული,
ჩვენს ცხოვრებას ხომ ბრძოლის ველი ბოლომდე გასდევს,
ნუთუ ჩვენ მხოლოდ სიბერისას ვხმარობთ ბრძნულ აზრებს,
სანამ დადგება ბუნებრივი ის აღსასრული.
აქ სიცრუეა ყველა მხრიდან თუ მომართული
და შენც თვალთმაქცობ ყოველ მზერის გამოჩენაზე,
არ ვითამაშებ მე ამ თამაშს,გავდგები განზე,
არც ტაშს ვუკრავ მას, ვინც უფროა “თავდადებული.”
და კვლავ სიმართლეს არ ვეშვები,სულ გვერდით მყავდა,
თუ ჩემთან ახლოს მას ვერ ვხედავ,ვიქცევი დარდად
(ალბათ ეს ხალხი ასე იყო ყველა ხანაში),
მძულს ეს თამაში და გულს მირევს მათთვის საამო
ეს ზეიმები იმ გულგრილთა სახეობებში,
ღიმით დავწვავდი ცეცხლში მათ კერპს,მათ სათაყვანოს.

VI.

უპირველესი თუ მეწვია თვით სიყვარული
და დავემონე ტრფობის გვირგვინს, მის სილამაზეს,

რა უნდა მიყოს უამესი, მითხარ, ამაზე,
გულს გიხარებდეს დღე ათასგვრად გადაღარული.
ეს უნაზესი გამოჩენა ნიავქარული
და რაც ყველაზე სათუთია,უტყვი სინაზე,
ახლაც ლირიკულს დილიდანვე ვმზერ პეიზაჟებს
და მავიწყდება, რომ ყურს მიგდებს დღე თვალთმაქცური.
წუხელ მესიზმრა მე ეს სახე,ცრემლები ბანდა
და ცრემლთაფრქვევა მთელი ღამე აღარ დამთავრდა,
რომ გამეღვიძა, ჩავიძირე ფიქრთა გამაში,
სიოს ჩურჩულით უნდა ახლა რაღაც გამანდოს
(სილამაზესაც უდევს წილი კეკლუცობაში),
ცდილობს, ფიქრები ოცნებებად რომ გადაადნოს.

VII.

რახან ოცნებას ძველებურად მიჰყვა წარსული,
ის უმნიშვნელო აღტაცებაც აჩნდება ზურგზე.
გართობის გარდა თუკი დარდიც ღამეებს უძლებს,
მოხერხებულად იქ სიკვდილსაც იმ დროს გარს ვუვლი.
ფიქრებს მოგაპყრობ უაღრესად კეთილი გულით.
ბედის ამინდის ცვლილებას კვლავ მორჩილად ვუმზერ,
თუ არ მოვწონვარ მას რაინდულ იარით შუბლზე,
მისთვის გულს მირევს ყველაფერი წრეგადასული.
ფიქრნი დარბიან და არ მღლიან, ღამე გაანცდა,
ქალს მივუძღვენი ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა,
გულგრილად არ ვარ,უკვე სევდა დამეტყო ხმაში,
თუკი კარგად ვარ, გულს მიხარებს მთელი სამყარო,
სერიოზულად ვიქეცი ამ უცხო თამაშში,
თუმც მღელვარება წამში ძალმიძს, ქარს გავატანო.

უშენოდ

(...გაქცეული სული საუბრობს უპატრონოდ მიტოვებულ სხეულთან)

წყეულიმც იყავ, მზე ნურასდროს გზას გინათებდეს!
სულმა კი მძორში არასოდეს დაისადგუროს,
შენში ვიყავი,გამაწამე, გამანადგურე
და გაგექეცი, გზას დავადექ, როს ინათებდა.
აწ არ ინათებს, არ შევხვდები თუ ათინათებს,
აღარც ვინანებ, თუნდაც ვიყო იქ უსაქმურად,
ვიმაწანწალებ, მივაკითხავ უცნობ სადგურებს,
მე ხომ შენ გამო გამარიდეს აქაც სინათლეს.
ო, მეზიზღები, მოხედვაც კი არ მინდა შენკენ,
დე მარტო ვიყო, აღარავის აღარ ვახსოვდე,
ოღონდ შენ არა! გზას ვაგრძელებ უსინანულოდ,

ცრემლი ღვარად მდის, არვინაა აქ ჩემი შემწე,
ღმერთი არასდროს მოგაკითხავს, აღარასოდეს,
ასე დალპები უღმერთოდ და უსიხარულოდ.

ცხოვრების ეპიტაფია

გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე სიარულია
მუდამ ღელვაში მოქცეული ჩვენი ცხოვრება,
უდაბნო სულში კაქტუსს მუდამ ემახსოვრება,
რაიც ამ ქვეყნის ოაზისში სიზმრად უვლია.
თუ სიხარული ყველა მხრიდან დახანჯლულია,
ჩუმი ენები მიუშვიათ ვერაგ მსტოვრებად
ან ამ სიკვდილსაც ასე რაღა ემათხოვრება,
ყველა ღიმილი როცა მისგან დაღარულია.
გარს ირევიან შურიანი ნაძირალები,
კვლავ კინკლაობა მათთან,ყველას ვერ უმკლავდები.
რაკი ცხოვრება ნაკვერჩხლებზე ეტრფის კაფიას,
გავარვარებით ამოგიწვავს თუ ფეხისგულებს,
შენ მორიგ დღეს კი ტკბილ მეგობრად მაინც იგულებ,
რახან ესაა ამ ცხოვრების ეპიტაფია.

სცენები ტრფობის ხელოვნებიდან

I. შორს ნუ წახვალთ!
გთხოვთ, ღამით ბევრ ცრემლს ნუ დაღვრით, გრძნობათა სტიქიონი,სიყვა-
რული მარტო ცრემლის ღვრით არ გამოიხატება,თან ნუ გავიწყდებათ,რომ
განთიადს მშვიდი სახით უნდა წარუდგეთ,რათა მთელი გულით შეიგრძნოთ
მტრედისფერი გარიჟრაჟის სილამაზე, მწამს, ეს საუკეთესო სურათი იქნება
თქვენი სასიყვარულო ალბომიდან.

გადას ლექციიდან.

ცეცხლი ავარდა, გადავიდა გულიდან გულში,
ცრემლი დანამავს მათ მზესავით კაშკაშა თვალებს,
ფიქრებს მიუგდებს ღამესავით უძინარ მთვარეს
და სიყვარულიც შეაბიჯებს მარადიულში.
რომ ყოფილიყვნენ ამ მიწაზე, აქ ვინღა უშლით,
ვით დაგუბული წყალი ეტრფის გაჩენილ ბზარებს,
ნელა ზეცისკენ ცხელ ცრემლებად ის მიწანწკარებს,
თან შვებასა გრძნობს ეს ახალი ტრფობის ნიმუში.
ჰე, ნატვრისთვალო, გაფიცებ იმ ყოვლისმძლეობას,
ხედავ, ერთმანეთს რომ კოცნიან პირზე სამარის?
რაღად გაცინებს დადაგულის ეს გამძლეობა?
უერთმანეთოდ წვას და დაგვას რაც შეეხება,
სატრფო რომ მიდის, ეს ისეთი ამბავი არის,

როცა მზე ქრება და ქვეყანა ბნელში ეხვევა.

II.

სად არის? სად არის? – გაოგნებული ბერტი (ალბერტი) აქეთ-იქეთ დარბის. ვინ? ვინ? – ეკითხებიან მეგობრები – ჩემი ბრწყინვალება, ჩემი ტანსარო... ვაჟი მისტირის ლამაზმანს, რომელმაც ახლა მის წინ ჩაიარა და რომელიც თურმე მას ერთი ნახვით უკურნებლად შეუყვარდა.

გადას ლექცია

აქ არის სადღაც ქალი ტანჯვა, ქალი ტანსარო,
ციდან მოვიდა გაოგნება და ჩაიარა,
ლერწამი, გიჟი, საოცრების ტვირთზე ტაძარი,
დატოვა ფიქრი, გულზე დამრჩა გრძელი იარა.
ქალი ტანსარო, სიყვარულის გრძელი კუპლეტი,
მსწრაფლ გაავდრება, გონის წასვლა და ჩამუხლება,
ქალი ტანსარო ოპიუმის დარი ტაბლეტი,
ძველ ლამაზმანებს გაღიმება აღარ უხდებათ.
გრძელი ზამთარის მიტოვება და მზის ამოსვლა,
უხალისობის უპატრონოდ იქვე მიგდება,
კედლიდან ძველი ქალის სახის ჩქარი ჩამოხსნა,
ახლის მიხატვა, ახლის შექმნა, ახლის მიგნება.
რა დამავიწყებს ფეხებს შხვართებს და ფეხებს მარდებს,
ქალო ტანსარო არ წახვიდე, აქ იბინადრე.

III. გადა თაგუნას

სიყვარულს რასაც ეძახიან, ყველაფერს უძლებს,
ეზიარები როცა მაღალს ყვავილთა დასით,
სატრფოს წაკითხვა რასაც ჰქვია სიღრმემდე ნაზის,
დაეწაფები როცა ბაგის ვარდისფერ ფურცლებს.
თვალთა თეთრონში მიირწევა ნავი და მუზებს
მიაქანავებს შენი ეშხი მორიგი დარდით,
ახალი სხივით მომწვარ შენს კანს სურნელი ასდის
მზისა და ვარდის, ამ ჟრუანტელს, თქვი, რა გაუძლებს.
შენთან ვბინადრობ, შენით ვსუნთქავ ნაზი სურნელით,
გიშრის თვალების სიყვარულმა მე უნდა მომკლას,
როცა ღიმილით გამოჩნდება თვალწინ უთქმელი
ნიავის სუნთქვით დარწეული შროშანის როკვა,
იქ მოციმციმე ვარსკვლავებთან მგონიხარ ცაში,
თვალს აღარ ვახელ,მანანავებს ოცნების ზღვაში.

IV. ედგარი ზამთრის დედოფალს

ჩემო ლამაზო, თურმე დიდი იწყება ჟამი,
ოცნების ბაღში შემოსული ფიქრი მაცდუნებს,

სევდა უაბჯროდ, აიწყვიტა ქარმა და უცებ
მოიგდეს თეთრმა აჩრდილებმა წამოსასხამი.
შენ ცისკარი ხარ, ალიონი, ღიმილის ნამი,
მე ის კისკასი, რომ იცოდე, როგორ მაბრუებს,
მყის სევდის ზღვაში გასულ გემებს უკან ვაბრუნებ,
როცა მოისმის შენი მხრიდან იმედის ჩქამი.
კვლავ შენთან ვზივარ, მოციმციმევ,კრძალვით გიცქერი
და მსურს აქ ვიყო მოუშლელი ოცნების სვეტი,
როცა თვალებში იბატონებს შენი პორტრეტი,
იქ ხელოვნება უძლურია ნაზი სონეტით,
სასიყვარულო დაიფრქვევა მუსიკა ნელი
და სილამაზე კვლავ გამთიშავს, უხსოვრად ძველი.

V. გაგა მაბრუებელ შავტუხას
მასაც ერთი ვარდი შეუყვარდა, უმშვენიერესი ველური ვარდი და მასზე ფიქრს დიდხანს ანდომებდა.

ღაბას მემუარებიდან.

როგორ მიყვარხარ და არ ვიცი, მიყვარხარ რატომ,
ალბათ უმწეოდ დამიგულე მისთვის ჭაბუკი,
გულისკარს მინგრევს და მიმონებს ცივი ქარბუქი,
თან უფერული ეს დღეები უანდამატო.
ტრფობის ქარცეცხლში დარჩენასთან არყოფნამ დათმო,
შენ გეძიებდი, ვიცი, ღიმილს სხვას რომ არ ჩუქნი,
შენი ლამპარი თუ მინათებს, ვენდო რად წუხილს,
სხვაგან რა მინდა, შენი სახე როდესაც მათბობს.
მინდა გადმოვრგა ჩემს ბაღნარში ობოლი ვარდი,
რომ ალიონზე კვლავ გაბრწყინდე ბულბულის ქნარით
და გამიღიმო,გამიქრება უეცრად დარდი,
როს გაბრწყინებულ ბილიკებზე ღიმილებს ვრგავდით,
კოცნების ტბაში უბერავდა ოცნების ქარი
და თურმე მაშინ ცითმოფენილ ალიონს ვგავდით.

VI. სიკვდილი სამოთხეში
ესეც უხეში ამ ცხოვრების თუ მუშტებია,
არ შეგეშინდეს, როცა თემა ყველას აღელვებს,
თუ დატანჯული მთელი გულით იქ აამღერეს,
მაშ, ეგ სიკვდილიც დიდებული სიუჟეტია.
ამქვეყნიური ჯოჯოხეთით მას აღშფოთებულს
იმქვეყნიურის აღარაფრის უკვე არ სწამდა,
ის გაზაფხული ჭვრეტდა მხარეს გადაშფოთებულს,
გესმის? – მახინჯი მზეთუნახავზე დაქორწინდა,
მზეთუნახავი მისი ნებით იქ მახინჯს გაჰყვა.

ეს ჯოჯოხეთში არის თურმე ამბავი წმინდა.
თქვა,არ მეგონა სილამაზე თურმე წყევლაა,
სადღაც კუთხეში ცხელ ცრემლებად ისევ გაწვიმდა,
მშვენიერების მონა როცა ირგვლივ ყველაა.
ამაზე ფიქრში მწამს, სიმართლეც რომ გაისარჯოს,
გთხოვ, სილამაზე არ დაჩაგროთ, არ დაისაჯოს.

VII. როცა ცხოვრება წამიერად გაიშხუილებს ცის ჰორიზონტზე,იქ წამის მეათედებს ფიზიკური სილამაზის წლები შეიცავს.წესიერად ვერც კი ასწრებ მის დემონსტრირებას,რომ უკვე შენს ლამაზ სახეს ნაოჭები ფარავს.

გადას წერილებიდან შეყვარებულისადმი.

ჩემო ლამაზო, სილამაზეს ჭამს შავი მიწა
და ამიტომაც მუდამ შიშით უნდა იწვოდე,
ძლიერ მიყვარხარ, მინდა ახლა ისიც იცოდე,
ტურფა ღიმილებს და სიხარულს რახან შეიცავ.
ოხ, რა კარგია, რომ იცოდე, როცა მოკვდები,
დატოვებ ფიქრებს, ტალახიდან უცებ ამოხვალ,
ამ ცოდვით სავსე ქვეყანაზე დარდით არ დახვალ,
ღია ცაში ხარ დიდ კიბეზე სულ სხვა ნოტების...
შეცდომებია ეს ცხოვრება, შენ ის მითხარი,
მიტომ გიყვარდეს მუდამ შენი კუბოს ფიცარი,
როცა არ იცი, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტება,
შენ ღმერთს მადლობა უნდა უთხრა ყოველთვის, ნიცა,
მან, დალოცვილმა, სილამაზე შენი ინება,
თუმცა გახსოვდეს, სილამაზეს ჭამს შავი მიწა.

VIII.

ვაჟი შეჩერდა,ღაპაღუპით ცრემლი სდიოდა,
ვინაც ვერცერთი ოცნებანი ვერ აისრულა,
ლამაზი სატრფოც თურმე სადღაც შორს აღესრულა
და არ იცოდა, თვითონ ახლა სად მიდიოდა.
რად სანატრელი ის სიკვდილიც არ მოდიოდა,
„ავმა ცხოვრებამ ასე ძლიერ რად შემიძულა?“
– ფიქრობდა ვაჟი,ან ეს ბედი რამ აიძულა,
მოეკლა იგი, ვიზედაც მზე ამომდიოდა.
ის, ვინც ზოგ-ზოგის ყველა სურვილს აკმაყოფილებს,
კეთილდღეობის დიდ მწვერვალთან მყის შეაერთებს,
ზოგს ძირს დაუშვებს და დააგდებს უფსკრულის ფსკერზე,
...შენ სად მიდიხარ უბედურო, ან რა გატირებს?
– ის საუბრობდა მარტოდმარტო, თქვა, ღვთის ნებაა,
შემდეგ დუმილი, რაც საუბრის გაგრძელებაა.

მიმოზა შონია

ეს ენგურს გაღმა დაწერილი ლექსებია. მათი ავტორი გალის რაიონის სოფელ საბერიოს პირველ საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას და ისტორიას ასწავლიდა, მაგრამ აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ თავისი საყვარელი საქმიანობა აუკრძალეს და ყველა ჩვენგანის საერთო ტკივილს ესეც ზედ დაერთო. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, მისი ფაქიზი სული, მუდამ კეთილად მფეთქავი გული მომავალს მაინც რწმენითა და იმედით შეჰყურებს და სჯერა, რომ ოკუპანტები საბედიანო-აფხაზეთში, რა თქმა უნდა, სამაჩაბლოშიც, დიდხანს ვერ იბოგინებენ. მისი შემართება ისეთივე ახალგაზრდულია, როგორიც თვითონ ჩანს ამ დიდი ხნის წინათ გადაღებულ ფოტოსურათზე; დიახ, გული არ ბერდება და ჩვენაც დიდი ხნის სიცოცხლე, ჭირში გაძლება და მამულის გაბრწყინებით მოგვრილი სიხარული ვუსურვოთ ჩვენს დიდებულ ქალბატონს – მიმოზა შონიას.

გვჯერა, აფხაზეთში კვლავაც ლაღად აყვავდებიან და გაიხარებენ ომით დარბეული მიმოზები!...

ჩემი საქართველოს იქით...

ლურჯი მთების ცქერით ვტკბები
და ერისწყლის ჩქამით;
ჩემი მიწის სითბო მიყვარს,
ქროლა ნიავქარის.

თვალს ვაყოლებ ლამაზ სერებს,
გული ხარობს ამით,
ტურფა საქართველოს იქით
ვერ ვიცხოვრებ წამით...

ქართველ ქალს

შენს თვალებში კიაფობს
საქართველოს ცის ფერი,
შენს თვალებში ციმციმებს
საქართველოს მზის ფერი...

სისპეტაკეც ქალური
მაგ თვალებში ჩამდგარა,
საქართველოს ნამდვილი
ასული ხარ რადგანაც.

გვიშველე რამე, დავით!..

აღმაშენებელი ზეცით გადმოდგა,
დაჰყურებს თავის მამულს...
„ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“ –
ჩაჰბარებია წარსულს.

ჭმუნვით გასცქერის იმერს და ამერს,
ბრაზით ევსება გული,
„ვერ გაუფრთხილდნენ ღვთისგან
ბოძებულს“...
შფოთავს მედგარი სული...

ხალხი მათხოვრობს, მდიდრებიან
ვაი-ქართველნი
და თავს ირთობენ ერთურთთან დავით...
მათი შემყურე ქართველი გიხმობს:
გვიშველე რამე, დავით!

კოლხი მედეა

საავდრო ღრუბელს მიერეკება
ქარი ზეცაში,
ხმა მხიარული აღარ ისმის
ირგვლივ ბავშვისაც,
ტირილია და გოდებაა კოლხთა მიწაზე,
დამკარგავია ქვეყნის შნოსი და სილაღისა.

გარინდებულა მშვენიერი მედეას ბაღი,
ყვაველებს ფერი დაჰკარგვიათ, მზეა ჩასული;
აღარ ირხევა არც ფოთოლი, აღარც ბალახი,
რომ არ მიმოდის უტურფესი კოლხი ასული.

ვეღარ უშველეს ამის მერე ელინთ ღმერთებმა
და შვების ნაცვლად ერგო მხოლოდ
გესლი ღალატის,
გულს სატანჯველი ცეცხლის ალად
შემოენთება,
ბედნიერების ჩაირაზა გზები მარადის.

ამოკვნესება მისი დღესაც
გვესმის, გვიწვავს გულს:
ნუღარ დაეძებთ უცხოეთში
ლხენას, სიხარულს...

ჩემი ქუჩა

სოფლის შარას გავივლიდი ყოველ დილით,
სკოლისაკენ მიმიწევდა ლხენით გული,
სიყვარულით გავყურებდი ეზო-სახლებს,
მეზობელთა ხმა მესმოდა მხიარული.

თვალს მტაცებდა ყვავილების ნაზი რხევა,
ყურს მიტკბობდა ხის ფოთლების შარიშური
და სახლების გაღებული ფანჯრებიდან
მოისმოდა პატარების ჟრიამული.

რა ამაყად მივდიოდი ჩემს ქუჩაზე –
სიყვარულით, სიხარულით სავსე გულით!
მეზობლებო, ისევ მსურდა თქვენი ნახვა...
ახლა იმ ძველ მოგონებებს გულში ვუვლით,

რადგან ომის მოგვივლინეს მღვრიე ტალღა,
წაილეკა აქ ცხოვრების დიდი სიტკბო,
გაჩანაგდა სოფელი და ჩემი ქუჩა,
ჩემი განძი, ჩემი ლალი, ამეთვისტო...

ფერფლად იქცა ჩემი ქუჩის სახლი, კარი,
აღარ გინდა, მიმოავლო ირგვლივ თვალი
და კეთილი მეზობლების სახის ნაცვლად
თვალს გვიბრმავებს ავტომატის
ცეცხლის რკალი...

ისევ მოვა მშვიდობა და ტკბილი ჟამი,
ჩემი ქუჩაც კვლავ გახდება მხიარული,
თავს მოიყრის მთელი ჩვენი მეზობლობა,
გააცოცხლებს სოფელს ბავშვთა ჟრიამული.

გაიღვიძე!

თანამედროვე
ვაი-ქართველებს

როცა დიდგორს ვერ აფასებ,
ვერ აფასებ როცა წარსულს, –
მაშინ ერიც ვეღარ ერობს,
ემგვანება ფსკერზე დასულს.

როცა წარსულს ვერ აფასებ,
აწმყოც ვეღარ შეგიცვნია,
ჯიბის გასქელების მეტი
სხვა რამე არ შეგიძლია.

დაგიკარგავს სიამაყე,
ვეღარ დაემსგავსე მამებს,
თავდადებით რომ იცავდნენ
საქართველოს იმერ-ამერს.

გაიღვიძე! ბრალად გადევს
გაჩუქება მიწა-წყალის.
ნუთუ შენში ნატამალიც
აღარ დარჩა მამა-პაპის?!

სიბერე

ძვალში მტეხს უკვე ძალიან,
დამიავადდა ყოველი,
თურმე რა ძნელი ყოფილა
მიმქრალი წუთისოფელი.

მაგრამ ნუგეშად ის მრჩება, –
ცხოვრება კარგად გავიგე
და ათი მცნება მეკვლედ და
სახელმძღვანელოდ დავიდე.

ნუღარ ვინანებთ სიკვდილსა,
სული ხომ გაცისკროვნდება,
თუ ერთხელ დაბადებული
მხოლოდღა ერთხელ მოკვდება.

წუთისოფელი

ქორწილია ჩვენებური, ხვავიანი,
მაყრიონის წინ დგას წყვილი მშვენიერი,
განუყრელი სახელები წყვილდებიან,
მათს სახეზე ღიმილია ბედნიერი.

ვარსკვლავებად ინთებიან ოჯახები
და წყვილებად სიყვარულით ერთდებიან,
განუყრელი სახელების მარათონით
თაობები ჩნდებიან და ბერდებიან.

ლხინიც ჰქონდათ, გასაჭირი და წამებაც,
მაგრამ სითბომ განსაცდელებს სულ გაუძლო,
გადის დრო და განუყრელი სახელები
აწ თავს გრძნობენ უსუსურად და შეუძლოდ.

სასაფლაო... იდუმალი, დარდიანი
წარწერები... წარწერები... წარწერები...
დაწყვილებულ საფლავთ ქვებზე იკითხება
სამუდამოდ განუყრელი სახელები...

შემოქმედი ძმები

ვეზდენ და რევაზ ოკუჯავები აფხაზეთში და მთელ საქართველოში ცნობილი ოჯახის წარმომადგენლები არიან. პირველ რიგში მათ, როგორც მთელმა ოჯახმა, ქართული ხალხური სიმღერის ნიჭითა და ოსტატობით გაითქვეს სახელი, ჩვენ კი ამჟამად ძმებს წარმოგიდგენთ, როგორც პოეტური მადლითაც დაჯილდოებულ ადამიანებს.

ქვემოთ გთავაზობთ ძმების შემოქმედების ნიმუშებს მათი ახალი წიგნებიდან. ვეზდენ ოკუჯავას ახალი კრებულის „ნათელი ხილვები“ რედაქტორია ტიტე მოსია, რევაზ ოკუჯავას წიგნის „დილის მადლი“ რედაქტორია ჯემალ შონია.

ლექსებთან ერთად აქვე ვბეჭდავთ წინასიტყვაობებს ამ წიგნებისა, რათა ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა უკეთესად გაიცნონ შემოქმედი ძმები.

ვეზდენ ოკუჯავა



დაიბადა სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში. 1973 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ქართული ხალხური სიმღერის აღორძინებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის არჩეულ იქნა ფაზისის აკადემიის საპატიო წევრად,

1973 წელს დაინიშნა აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის მთავარ დირექტორად და სამხატრო ხელმძღვანელად. იმავდროულად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას სოხუმის სამუსიკო სასწავლებელში. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას, ქუთაისის ლადო მესხიშვილის და თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში მუსიკალურ ხელმძღვანელად.

1975-87 წლებში ხელმძღვანელობდა ქ. გალის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს.

1977 წელს ქ.სოხუმში ჩამოაყალიბა აფხაზეთის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. 1998 წელს საფრანგეთში და შვეიცარიაში ორთვიანი წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობისთვის საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით ანსამბლს მიენიჭა ორი დიდი პრიზი.

ვეზდენ ოკუჯავა გამორჩეული დირიჟორია. მას შეუძლია იყოს შუამავალი ზეციურ შემოქმედსა და მაყურებელს შორის, გახადოს ის სცენაზე წარმოდგენილი შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე და მიანიჭოს ბედნიერი, განუმეორებელი წუთები, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

აფხაზეთში ოკუჯავების საოჯახო ანსამბლი წარმოადგენდა კულტურულ-შემოქმედებით ცენტრს. სერაპიონ ოკუჯავა და მისი ხუთი ვაჟიშვილი მაღალმხატვრულ დონეზე ასრულებდა როგორც აფხაზურ, ისე საქათველოს ყველა კუთხის სიმღერას.

ოკუჯავების საოჯახო ანსამბლი ხშირად მართავდა სიმღერის საღამოებს, რომლებსაც სტუმრობდნენ მაღალი რანგის სტუმრები: ევგენი ევტუშენკო, ილია რეზნიკი, ამერიკელი რეჟისორი ბობი არსენლუ, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსულ კახიძე, გივი ორჯონიკიძე, იოსებ კეჭაყმაძე, ვახტანგ ფალიაშვილი და მრავალი სხვა.

ვეზდენ ოკუჯავამ სხვადასხვა დროს ქართული სიმღერის მადლი წარუდგინა მსოფლიოს 21 ქვეყანას. ბოლო დროს მის მუსიკალურ შემოქმედებით სივრცეს ახალი სუნთქვა შეემატა.

მხედველობაშია პირველი წარმატებული ნაბიჯები პოეზიის მიმართულებით,

„მე სიმღერით ზეცას ვატკბობ, საგალობლის ვიცი ენა. მაგრამ ლექსმა სულ სხვაგვარი მომივლინა აღმაფრენა“.

იქვე ვკითხულობთ: „მარადისობის მეკვლე ვარ, მე ვარ გალობა ვაზის, მზის სავანიდან მოვდივარ, მხრებზე სიცოცხლე მაზის“.

მისი ლექსები გასხივოსნებულია აფხაზეთში დაბრუნების დაუოკებელი სურვილით:

„ცადასული ოცნება ღრუბლებს აქცევს აფრებად, დაბრუნების სურვილი სიზმარშიაც არ ქრება“.

ისევ და ისევ აფხაზეთი: „ჩემი დედათბილისი მივლის და მეფერება, მაგრამ უაფხაზეთოდ მაინც არ მემღერება“.

პარიზისეული ხიბლით, მონმარტრის საოცარი ფერებითა და შოპენის ჯადოსნური ბგერებით გატა-

ცებულ ხელოვანს მაინც სოხუმისკენ გაურბის გონება, რამეთუ უფრო ძლიერია „ოდაბადეს“ მონატრება და სიყვარული.

„მე მინახავს, მონმარტრზე ტილო რომ იწერება, სულ სხვა არის სოხუმის სითბო და მოფერება“.

ვეზდენ ოკუჯავას ლექსები ისევე ჰარმონიული, მღერადი და ტკბილხმოვანია, როგორც ქართული სიმღერა და საგალობელი.

ზურაბ გოგოხია,

ხელოვნებათმცოდნე

თეთრი არგო

არ თავდება საშინელი სიზმარი,
მზე რატომღაც ამოსვლას არ აპირებს,
თითქოს უჭირს გაუსწოროს თვალები
წუთისოფლის უიმედო ნაპირებს.
ჰოუ ნანა, ჰოუ ნანა
კვნესის თეთრი არგო,
მეშინია, აფხაზეთო,
შენ რომ დამეკარგო.
მეშინია, რომ ჩამიქრონ
შენი მზე და მთვარე
და უფსკრულმა გაიტაცოს
სანატრელი მხარე.
ისევ ბორგავს თეთრი გემი,
ტირის თეთრი აფრა,
ჩვენი ტკბილი ოცნებები
სიზმარივით გაქრა,
მაგრამ ღმერთი მოწყალეა,
დაგვიდგება დარი,
მშობლიური ნაპირისკენ
გაგვაქროლებს ქარი
და სიცოცხლის სადიდებლად
აჟღერდება ქნარი,
აფხაზეთში დაბრუნების
დიდი საწინდარი.
კვლავ ვეწვევი ოდაბადეს
ნისლებსა და წვიმებს,
ო, ნანატრი ცელქი სიო
როგორ გამიღიმებს.
ლურჯი დილა ამზევდება,
კვირტებს გაშლის ვაზი,
ია ისევ აყვავდება,
სათნო და ლამაზი.
მაფშალია ამღერდება,
დიდა ვოი ნანა,
კვლავ დაარწევს კოლხურ აკვანს
ტკბილი იავნანა.

* * *

ერთი დღით მაინც მანახა
ჩემი ქვეყანა მთლიანი,
გალაღებული ხალხი და
ცხოვრება ხალისიანი;

სიკეთის წვიმას აფრქვევდეს
ცა მოწმენდილი, მზიანი,
ყვაოდეს ვაზი ნოესი,
უხვი და ბარაქიანი.

დღე უმეცართა კვდებოდეს,
ჩაგრულს ჰყვარობდეს სვიანი
და არ ხარობდეს ამქვეყნად
ბოროტი ადამიანი.

ხელოვნება ქართული

ნათელი მოსავს მწვერვალებს,
ლამაზი დილა თენდება,
ჩვენი ჯიში და ჯილაგი
არასდროს გადაშენდება.

ზეცაში ზეობს „ჩაკრულო“,
ნიჭი ქართველი კაცისა,
სიმბოლო ერთიანობის,
ჰიმნი მიწისა და ცისა.

ქართული როკვა ძლიერი,
სიბრძნე, ნაწრთობი ჟამისა,
წრე – უკვდავება ციერი,
ფერხული ამირანისა.

ვიდრე მზე გვათბობს ქართველებს,
გვაქვს ხელოვნება ქართული,
ვერ მოგვერევა სატანა,
ვიქნებით წელგამართული.

აღსასრული

ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს,
კაცი კი კაცის მტერია,
არავინ იცის ამქვეყნად,
ვის როდის რა უმღერია.

ჭეშმარიტების ძებნაში
პილატეს გზა აერია.
ყველაზე დიდი სიმართლე
საფლავის ქვაზე წერია.

ბოლო არავისია

ეს ოცნება ვისია?
– ჩვენისთანებისია.
ეს სოფელი ვისია?
ვინც იცხოვრა მისია.
ეს ქვეყანა ვისია?
ვინც გაყიდა, მისია.
ეს მსოფლიო ვისია?
ვინც იყიდა, მისია.
ეს მყიდველი ვისია?
ვისია და სხვისია.
საბოლოოდ ვისია?
იცის მხოლოდ სიკვდილმა,
– ბოლო არავისია.

ბეთჰოვენი და გალაკტიონი

ქარგრიგალების შეწყდა თარეში,
დაისის პირას თვლემს არემარე,
იდუმალ ფერთა ჟღერს საიდუმლო,
მთვარის სონატა,
    მთაწმინდის მთვარე.
კრძალვით შევეხე ციურ კლავიშებს,
ნაზად შეირხა „ავე მარია“,
გზა დამილოცე, წმინდა დედაო,
ოცნებით შენკენ მიმიხარია.
მთაწმინდის ცაზე ოქროს ნისლებად
მიმოიფანტა სონეტა მთვარის,
ნიჭი ღვთიური, მარადიული,
გალაკტიონი ნეტავ სად არის?
ბეთჰოვენი და გალაკტიონი
უკვდავებაში ერთად არიან,
ჩუმად ღიღინებს მთაწმინდის მთვარე:
ავე მარია...
    ავე მარია...

ლილეო და ჩაკრულო

გაუძელი გრიგალებს,
მუხავ ფესვებმაგარო,
კვლავ გამართე სიცოცხლე,
სულო ნაავადარო.

ამაღლებას ელოდე,
ერო გულისხმიერო,
ნუ დაკარგავ სიმხნევეს,
მუხავ ტოტებძლიერო.

გაუძელი წამებას,
გულო, ჯვარზე გაკრულო,
მალე აგუგუნდება
„ლილეო“ და „ჩაკრულო“.

დაუსაბამო

გიყვარდეს მთელი სამყარო, –
უფლის წინაშე ვალია,
სული მიფრინავს ზეცაში,
ხორცი კი წარმავალია.

დასაბამიდან მოვდივართ
და შეუმჩნევლად ვიცვლებით,
ჩვენ აღარ ვკვდებით, არამედ
დროებით გარდავიცვლებით.

ილევა დასალიერი,
ამქვეყნიერი საღამო,
იწყება იმქვეყნიერი
სიცოცხლე დაუსაბამო...

რევაზ ოკუჯავა



ეს პატარა წიგნი რევაზ ოკუჯავას ლექსების მესამე კრებულია. მკითხველს კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება, რომ ეზიაროს პოეტის ნატიფ, დახვეწილ სტრიქონებში დავანებულ სინათლესა და სითბოს, ავტორს ჩვეული მოკრძალებით, მშვიდად და უხმაუროდ შევყავართ მშვენიერ სამყაროში, რომლის ყოველი ფერი, ყოველი ორნამენტი პოეტური ესთეტიკის ნიმუშს წარმოადგენს.

„ეს არ არის დიდი წიგნი, სულ პატარა დღიურია, ყველაფერი მიყვარს იგი, რაც წმინდა და ციურია“, – ასე გვაცნობს რევაზ ოკუჯავა თავის პოეტურ მეს და ჩვენც ვრწმუნდებით, რომ მისი ყოველი ლექსი, ძარღვის ყოველი პოეტური ათრთოლება უფალთან და ყოველივე ამაღლებულთან არის დაკავშირებული, სადაც ყალბ გრძნობებსა და მიწიერ ბიწიერებას ადგილი არა აქვს.

ჩვენ ზემოთ სინათლე და სითბო ვახსენეთ. ამ ფიზიკურ სიდიდეებს რევაზ ოკუჯავას პოეზიაში სულიერი განზომილებები გააჩნია და ჩვენც მათს უსაზღვრო სივრცეებში უნდა ვიმოგზაუროთ.

რევაზ ოკუჯავა აფხაზეთიდან დევნილია, იგი სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში დაიბადა და აღიზარდა, იქვე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, სანამ მტერი თავის ვერაგულ ზრახვას განახორციელებდა. ოკუჯავეების ოჯახი ხალხური სიმღერისა და პოეზიის, ზოგადად, ხელოვნების მადლით იყო ცხებული და ჩვენი თვითმყოფადი კულტურა მსოფლიოს უამრავ ქვეყანასაც გააცნო. რა თქმა უნდა, რევაზიც ამ მადლითაა დაჯილდოებული, მისი სულიერება ამგვარი გარემოთი და აღზრდით არის ჩამოქნილი, რაც მის ლექსებს განსაკუთრებულ სინატიფეს ანიჭებს. ოკუჯავების ოჯახს ბევრი სახელგანთქმული მოღვაწე სწვევია სტუმრად, ეს სახლი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი დახვეწილი სალონური საღამოებითა და გულუხვი ქართული სტუმართმოყვარეობით.

აღსანიშნავია, რომ ოკუჯავების კერიის სიახლოვეს საგულისხმო არქეოლოგიური ძეგლი იყო – ჩვენი უძველესი წინაპრების ნამოსახლარი გამოქვაბული, რომლის არტეფაქტები მეცნიერთა ყურადღების საგანს ყოველთვის წარმოადგენდა. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ეს ნამოსახლარი იმისთვის გავიხსენეთ, რომ რევაზ ოკუჯავას პოეზია, მთელი მისი პიროვნება ჩვენი შორეული ტრადიციებითაა ნასაზრდოები, რაც მთავარია, პოეტის ყოველი ფიქრი გაჯერებულია ადამიანების, სიცოცხლის სიყვარულით, სიკეთითა და სიწრფელით. ამიტომაც ჰგავს ერთმანეთს მისი ლექსიცა და მისი პიროვნებაც: ლექსიც კამკამაა და მისი ავტორის სულიც და ჩვენ უფლება არა გვაქვს, მისი სიმართლისა არ გვჯეროდეს.

წიგნის ლაიტმოტივად შეიძლება მივიჩნიოთ რევაზ ოკუჯავას ლექსი: „მამულო, აგეფარები, აგაცდენ მტრისა მახვილსა, მერე მექნება უფლისგან ნება სამოთხის ნახვისა“. დევნილი პოეტი იბრძოდა და დღესაც იბრძვის თავისი სამშობლოს უკეთესი აწმყოსა და მომავლისთვის, ცხოვრობს ქვეყნის სატკივრით და ამ ტკივილთა მოშუშება მიაჩნია ცხოვრებისეულ მიზნად, იმისათვის კი, რომ უკეთესი ქვეყანა გვქონდეს, ჩვენც, ადამიანებიც, უკეთესნი უნდა ვიყოთ, სწორედ ამიტომ ჩაგვახედებს მისი ლექსები გულში და შიგ თუ რამ ხინჯი გვაქვს, ხელახლა აღმოგვაჩენინებს.

ერთი სიტყვით, პოეტი ადამიანსა და ადამიანურობაზე, სიკეთესა და სიყვარულზე გვესაუბრება და დარწმუნებული ვარ, მისი ლექსად გადმოცემული ფიქრისა და განცდის გაზიარება ნებისმიერი მკითხველისთვის სასიამოვნო და სასარგებლო იქნება.

ჯემალ შონია

სული შემოქმედი

ერთი შეხედვით სამყაროს სულაც
აღარ ემჩნევა ჩრდილების კვალი,
როგორც ძვირფასი მეგობრის სურათს,
ვეღარ მოვწყვიტე ბუნებას თვალი.

ახმიანდება ბულბულის ყელი
და სალამურად გარდაქმნის ლერწამს,
მთლად მონუსხული ჯადოქრის ხელი
ჯერ ჩვენთვის უცნობ სახეებს ძერწავს.

ნელა შეიყვანს სიცოცხლეს ეშხში
და თვალწინ სულ სხვა სამყაროს გაშლის,
ფრთხილად აიღებს საჭრეთელს ხელში
და უკვდავებას ჩააქსოვს ქვაში...

ერთი შეხედვით სამყაროს სულაც
აღარ ემჩნევა ჩრდილების კვალი,
როგორც ძვირფასი მეგობრის სურათს,
ვეღარ მოვწყვიტე სამყაროს თვალი.

სამოთხის გაოცება

როცა იხილა საქართველოს
   მიწა-წყალის ფარჩა,
თვითონ სამოთხეც მოიხიბლა
   და სახტად დარჩა!..

***

საქართველოვ, შენი მიწა
ვის და ვის არ უთელია,
წლები შენი არსებობის
კაცისაგან უთვლელია.

ჩვენი ჯიში და ჯილაგი
ღვთის წყალობით იმფერია,
რომ ვერც ერთმა იმპერიამ
ვეღარ მოსპო იბერია!..

რა დრო გასულა

ო, ღმერთო ჩემო, ამ ჯახირში
   რა დრო გასულა,
გუშინდელ დღესაც ვიხსენებთ
   უკვე წარსულად,
ცოტანი დარჩნენ დღეს სიმართლით
   მომყოლნი ამბის
და ამიტომაც ახლა სიმწრის
   ცრემლები დამდის.
რა ვქნა, თავისი სავალი აქვს
   ყველა არსებას
და ველოდები უფსკრულების
   მეწყრით ავსებას!..
ვეღარ ვიშუშებ ნამეხარი
   მუხების ტკივილს!..

მამულო

წინსვლის იმედი ჩემთან ერთად
   ღამეებს ათევს,
არ მინდა შენს ცას გაეკაროს
   ბურუსის ფთილა,
ზარებს ყოველთვის თავის დროზე
   შემოკრავს მნათე,
ჩემო მამულო, დაგილოცავ
   სხივმრავალ დილას!..

სამკურნალო ლექსები

ვერ გამიმკრთალებს უხეში ძალა,
უფალო, შენკენ მიმართულ მზერას,
გარემოებამ კი გამამწარა,
მაინც მძიმეა ტკიველზე წერა.

სულ მინდა მოყვრის იმედად ვენთო,
მსურს გავცე, თუკი რამ მაბადია,
მე ხომ შენში ვარ ყოველთვის, ღმერთო,
და დამკვიდრება შენში მწადია.

არ ვათქმევინებ სამდურავს ბაგეს,
ვივლი მაქებრად ცისა და მიწის,
მე ვიცი, ტანჯვაც სიხარულს ბადებს,
ანათებ მაშინ, როდესაც იწვი.

რწმენამ იმდენი ძალ-ღონე მომცა
და თან უფალიც მინათებს მზერას,
ვუძღვნი სიცოცხლეს მამულზე ლოცვას
და სამკურნალო ლექსების წერას.

სიყვარული უასაკო ყოფილა..

ჩემო მზერავ, კვლავ მშვენებით გართულო,
ჩემი ბედი, ვატყობ, არ დამხობილა,
სიყვარული გულში ისევ ფათურობს,
სიყვარული უასაკო ყოფილა.

ღვინოს ისევ ვეწაფები დალოცვილს,
დღესაც მიყვარს ფიალა და ჭინჭილა,
სულ ახლახანს გავხდი უკვე სამოცის,
მაგრამ თვალი მაინც შენკენ მიჭირავს!..

შენი თვალი უძირო

დილას, ცისკრით შენაფერს,
ვატყობ, – შენმიერია,
შენ გადარებ ყველაფერს,
რაც კი მშვენიერია.

სულში ლამპრად ანთია
გრძნობა შენთან ნამყოფი,
რადგან ჰგავხარ განთიადს,
ჯერ არასდროს არყოფილს.

შენი თვალი უძირო,
ჯადოსავით მნუსხავს
და მატულბს უძილო
ღამეების ნუსხა.

ჩემი ბედის ბორბალი
შენში დაეხეტება
და არ იცი, რომ ბრალი
ჩემს ტანჯვაში გედება..

დათაფლული ენები
ხოტბას ბევრჯერ გეტყვიან,
უფალს კალთა მშვენების
შენზე დაუბერტყია!

დილის მადლი

მზეს ნათელი მოჰყოლია
და სიბნელე დამდნარა,
სულდგმულისთვის ასე კარგი
დრო ჯერ აღარ დამდგარა.

ყველაფერი იმდაგვარი
სილამაზით დამოსა,
რომ ღრუბელი ცის ტატნობზე
ვეღარ ბედავს გამოსვლას.

აბა, კარგად დააკვირდი,
ხეც თუ აღარ შეირხეს,
მომაკვდავიც თვალს გაახელს
და ჭრილობებს შეიხვევს.

სხივები რომ მოადგება
ამ მთებსა და ხეივნებს,
ღმერთო, მჯერა, რომ წარღვნასაც
უკან დაახევინებს.

ჩემს ქვეყანას ღირსებოდეს
ყველა ღამის გათევა,
ჩვენს ტკბილ მამულს შეძლებოდეს
ამ ყველაფრის დატევა!..

წინ გზა გიდევს

ძმას მურმან ოკუჯავას

შენ წახვედი და მოგვაკლდა
ჩვენც სიცოცხლის ხალისი,
მაგრამ რადგან ცოცხლები ვართ,
მაინც ვზრუნავთ ხვალისთვის.

შენ წახვედი, წინ გზა გიდევს
სამოთხისკენ მავალი,
შენ არასდროს დაგივიწყებს
შენი შთამომავალი.

ჩესლავ მილოში,
ნობელის პრემიის ლაურეატი
(პოლონეთი)
თარგმნა **თორნიკე ქავშგაიამ**

მატერიალიზმი

რა თქმა უნდა, მატერიალიზმი.
იმ პირობით, რომ ის იქნება ზომიერად
დიალექტიკური.
ე.ი. თუ შეძლებს ჟონგლირებას გულით და
გონებით,
სულით და სხეულით, სიცოცხლით და
სიკვდილით.
რომ ბოლო დროის შეკითხვებს არ გაექცევა
და ღვთისმოსავთა, არაღვთისმოსავთა
მნიშვნელოვანი მოსაზრებების
თანასწორუფლებიანობას
საყოველთაოდ აღიარებენ.

* * *

დაუოკებელი სტიქია,
რაც უნდა იყოს, აღარაა ისეთი,
როგორც წეროს გაფრენა, ვეფხვის სიარული,
წყალქვეშ აცეკვებული კაშალოტი.
მე სიზმრად ვნახე მინისა და ლითონის
ქალაქები,
მოუსვენარი გონების ქსოვილები.
სფეროების მუსიკა, სკრიპკის და ფლეიტის
მუსიკა.
ის, რაც დაბადებიდან და სიკვდილამდე
გრძელდება.
მატერიის თვალუსინათლო კვეთების ზემოთ,
სხეულაღტყინებულ გველთევზას ზემოთ,
პირანიები და ზვიგენები პირს აღებენ,
რომ შესანსლონ ნაჭირვები.
ტაძარი სავსეა კერპებით, ქაჯებით,
მრავალგვარი სახელებით და უშველებელი
კუდებით.

ანა კამენსკაიას „ჩანაწერთა წიგნაკზე“ მინაწერი

ვკითხულობდი და ვხვდებოდი, რამდენად
ვყოფილვარ მე ღატაკი, ის კი მდიდარი,
თავისი სიყვარულით და თანადგომით,
ვედრებით, ტირილით და ზმანებით.
მან არც ისე ნებივრად იცხოვრა სამაგიეროდ,
საკუთარ თავთან,
ახლობლებთან, ყველა ცოცხალთან და
წასულებთან ჰქონდა თანხმობა
და ეს მან ბოლომდე უღალატოდ შემოინახა.
სიხარულს სძენდა ყვავილები და ბალახები,
ფიჭვები, კარტოფილიანი მინდვრები,
ყმაწვილქალობიდან ნაჩვევი მიწის სურნელი.
ვერ გახდა დიდი პოეტი და არის ამაში
სამართლიანობა,
რადგან ძალიან მტკივნეული საქმეა, კარგი
ადამიანისათვის ხელოვნება.

ვირთაგვას მჟლეტი

სამშობლოს წინაშე ვალდებულება დაივიწყო,
არაფერი სახეირო არ არის ამაში.
საგანგებოდ, მლიქვნელები და
მაღალანაზღაურებადი ჯალათები,
არა მარტო დაუსჯელები არიან,
არამედ, თავიანთ ვილებში ფეხმორთხმულები,
ისტორიული განჩინების მოშველიებით
წერილებს წერენ.

მოულოდნელად, მდაბიო ხალხით
დასახლებული
რომელიღაცა პატარა ქვეყანაც გამოვლინდა,
რომელიც არის იმპერიული
მართვის პროვინციად ვარგისი მხოლოდ.

ალბათ ჟან-ჟაკ რუსო თავისი დარიგებით
იყო შეუმცდარი: „მაშინ განთავისუფლდეს
მონა,
როცა განათლდება და იქნება ცოდნით
სრულყოფილი“.

სანამ საკვების მაძებარი ლეკვების ჯგუფი,
არ შებრუნებულან უკან, მანამდე აჟღერებული
ფლეიტით მოდის
ვირთაგვას მჟლეტი და რომელი ქვეყანა
მოესურვება,
იქით პირს უყოფს მათ.

ვირთაგვას მჟლეტის ფლეიტამ ჯადოსნური
მუსიკა დაუკრა

და „ჩვენი მცირე სტაბილიზაცია“
გახანგრძლივდა
დაპირებებით – გლობალური კინო, სანეტარო
საღამოები,
ტელევიზორთან მორთმეული კუდი.

სავარაუდოდ, ერთი ან ორი თაობა, როცა
გარდავა,
ყმაწვილკაცები,
მამათაგან უცნობი სინდისის გრძნობამდე
მივლენ.

და თავიანთი ამბოხის მსგავსი რაც არის,
იმის ძებნა-გარჩევას დაიწყებენ
დიდი ხნის დავიწყებულ ანტიიმპერიალისტურ
ძვრებში.

მიძღვნა

შენ, რომელიც მე ვერ შევძელი გადამერჩინე,
დამიგდე ყური.
გაითავისე ჩემი ალალ-მართალი საუბარი,
რადგან
არ ძალმიძს მე სხვანაირად.
ღმერთია მოწმე, მე შენ მაგიურად ვერ
შეგესიტყვები.
მე შენ უჩუმრად გესაუბრები, როგორც ვაშლი
ან როგორც ხე.

რაც ჩემთვის გახდა საძულველი, ის შენთვის
გამოდგა სასიკვდილო.
შენ ერთმანეთისგან ვერ განასხვავე: ძველი
ეპოქის დაისი
და ახალი გარიჟრაჟი,
დაფარული ღვარძლი და თრთოლა ლირიული,
დაბრმავებული ძალმოსილება და ფორმა
სრულყოფილი.

პოლონეთის მომცრო წყლები ზეგნებზე
მდინარებენ და
თეთრ ბურუსებში იძირება უშველებელი ხიდი.
ნაცრისფერდება დანგრეული ქალაქი.
სანამ მე შენთან ვლაპარაკობ,
თოლიების ამოკვნესით შენს საფლავს ქარმა
დაუბერა.

რა არის პოეზია, რომელმაც ვერ იხსნა
ვერც ხალხი, ვერც ინდივიდი?
ბედდანავსულ ქალწულებისგან ნასალბუნები,
ჩინოვნიკური სიცრუის ნელხმიანობა
და ლოთების სიმღერა არემარეს განეფინა,
რომლებსაც მალე დაეხშოთ ყელი.

მე პოეზიაში ისე ამოვყავი თავი, როგორც
დამთხვეულმა,
მე მისი გამომსყიდველი მნიშვნელობა გავიგე
გვიან.
მერე მე ამან, მხოლოდ ამან გადამარჩინა.

საფლავის ქვაზე ფეტვსა და ყაყაჩოს აყრიან
კრძალვით –
მკვდრები, სახეშებრუნებული ფრთოსნები
გამოკვებონ.
ო, ნამეგობრალო ჩემო, რომ არ მოგვინახულო
შენ იმ ქვეყნიდან,
მე შენ აქ გიტოვებ ჩემს წიგნს სამახსოვროდ.

გენეალოგია

იან ლებეშტეინს

უდავოდ, ჩვენ ერთმანეთთან გვაქვს ბევრი
საერთო,
ჩვენ, რომლებიც ვიზრდებოდით ბაროკოს
ქალაქებში.
ჩვენ, მოუსვენრებს, არ გვიკითხავს, ქვეყნის
რომელმა მეფემ
აღაშენა ეს კათოლიკური ტაძარი,

ვის ეკუთვნოდა ეს დიდებული სასახლე, ან
ვინ იყვნენ
არქიტექტორები და მოქანდაკეები.

როდის, საიდან მოვიდნენ, როგორ გახდნენ
საყოველთაოდ ცნობილები.
ჩვენ თაღედის ქვეშ, თერძების კარწინ,
ფეხბურთს ვთამაშობდით,
ჩვენ ჩავირბინეთ ერკერები და მარმარილოს
კიბეები.
მოგვიანებით, ჩვენთვის საჩოგბურთო პარკების
სკამები,
გამოდგა უფრო სასიამოვნო,
ვიდრე ჩვენ თავზე თაბაშირის ანგელოზთა
გულუხვობა.
მაგრამ ჩვენში დარჩა, რაღაც იკლიკანტური
სურვილები,
ცეცხლის მსგავსი, მაღალი წინაღობის
სპირალები,

დიაცთა ბრწყინვალე, სანდომიანი
მორთვა-მოკაზმვანი,
რომ მოცახცახე ჩონჩხებს მეტი ნიშანდობით
ეკაშკაშათ.

არამიწიერი

ოთხმოცი წლის უილიამ ბლეიკმა,
სიკვდილის წინ,
ტრიუმფალური ჰიმნები იმღერა.
ვინაიდან მან იცოდა, რომ გაღმა გასვლა
თვალებით
ჯერ არ უნახავ,
ქვეყანაში გამგზავრება თუ იყო მხოლოდ.
სადაც მისი მკვიდრნი, სულიერ, უმატერიო
სხეულებს იღებენ, როგორც მკვდრეთით
აღმდგარი
და მოციქულებთან გამოცხადებული
იესო ქრისტე,
როცა თომამ თითებით მოუსინჯა მას
ჭრილობები.
ქვეყნიერება – მარადიულად მოთევზავე
ინტელექტუალი –
განსახლების აზროვნულ მცნებებზეა
მიდევნებული.
პოეტი უილიამ ბლეიკი ალბათ შემდგომშიც
პოეტის, წინასწარმეტყველის, გრავიორის
საქმეებით იქნება დაკავებული.
მეც სურვილი მაქვს, იმ სოფლად მიწაზე
დაწყებული
საქმეებით გავემგზავრო.
ე.ი. იქაც უნდა მწყუროდეს დაუშრეტელად,
ვიყო თვითწყურვილი
და აღარასოდეს ვიქნე ლაბორატორიული
სინათლის მოციმციმე ქსოვილთა ხელშეხებით
უჭირველი.

ყოველდღიური ამაოება სააშკარაოდ გამოვა
დიდი ხნის დავიწყებულ ქალაქების იასპიდან,
წარმოუდგენელი ცივილიზაციების სამკუთხა
ნიღბებიდან,
გამალების სინქრონულობიდან და
ათასწლეულებიდან –
ზენიტზე ასულ ცხელი მზის ქვეშ, ბაღში,
რომლის რიტმი ისეთია, როგორც ოდესღაც
ჩემს სისხლში
გამავალი ტყვია.

ბუნებას

სანამ შენი ასავალ-დასავალი არ გავიგე,
მე შენ მიყვარდი, ბუნებავ.
ჩემი ბალღური გული მოწყენამ იპყრო
და მზეს გადაეფარა სუდარა.
მე დავივიწყე ჰერბარიუმი, ატლასები,
ილუზიის სუვენირები.
იმჟამად ჩემი ფილოსოფოსი გახლდათ
შოპენჰაუერი, –
მწირი. ჩაშტერებული ერთდღიან მდინარეში,
რომლის ქროლანი დაუფიქრებლად იბადებიან
და ქრებიან.
ერთადერთმა ადამიანმა შეიგრძნო და
გაითვითცნობიერა
სჯულის შემსმენელ-არშემსმენელი გრანიტი.
შენ ადამიანის გონი წინაღობად გექცა,
ბუნებავ.
მე ამაზე მთელი ჩემი ცხოვრება ვბრძნობდი.
მაშ, ვის შეუძლია, ანთროპოცენტრისტულ
რელიგიის ქვეყნებში,
დანაშაულად ჩამითვალოს ანთროპოცენტრიზმი
ანდა თუნდაც არაანთროპოცენტრიზმი?
უილიამ ბლეიკი მართალი იყო, როცა
ერთმანეთს შეაკავშირა
ადამიანური და ღვთაებრივი.
და კატებზე, ხეებზე, თანავარსკვლავედთა
პლეადაზე
თქვენი აღვლენილი ლოცვა-ვედრებანი
სრულიად უნაყოფობენ.

თანხლება

მე ნევიაჟას გაყოლებით, ბაღში, ჯერ კიდევ
როდის დავრბოდი, ფეხშიშველი.
იქ რაღაც ისეთი სუფევდა, რომლის რაობა
მე ვერავინ მითხრა.
სუყველგან, ცაცხვების ჯირკვთა შორის,
განათებულ ველობებში,
ბაღის სიახლოვის ბილიკზე
იყო ვიღაცის თანდასწრება, თუმცა კაცმა
არ იცის, ვისი.
ის ბალახების სურნელით, მოლაღურების
ფლეიტით,
მერცხლების სტვენით ჩემკენ მოიქცა.
მან ჰაერი გააფართოვა, მან ხელი მომხვია
და გულში ჩამიხუტა.

იმხანად ჩემთვის რომ გაემხილათ ღმერთების
სახელები,
მე უკეთესად შევძლებდი, მათი გვაროვნულობა
შემეცნო.
მაგრამ მე, კათოლიკურ სამყაროში გაზრდილი,
ძალიან მალე
ეშმაკებისგან და წმინდა დიდებულთაგან
ვიქენი გარემოცული.
სიმართლე რომ ითქვას, ორივე მათგანის,
ეშმაკების და ღმერთების,
თანხლება მე თავიდან შევიგრძენი,
როგორც ერთიანი შინაგანის უზარმაზარი
და შეუცნობელი არსგაფრენა.

დეპრესიულ ხანაში

მე, საკუთარ დეპრესიაში ჩაკარგულს,
სასოწარკვეთის სამყარო გამეხსნა,
ის მზიდან ლეგა ღრუბელივით იყო
მოჩრდილული.
და მე ჩამესმა: „სწორედაც ესაა შენთვის
განკუთვნილი,
შენ ამაზე მეტის არა ხარ ღირსი“.
მაშინ მე დავიძახე:
„ნათვლმოსილო მეუფეო, განმამტკიცე მე!
მომნიჭებელო წყალობისაო, განმაძლიერე მე!
ამონ, ზევს, იეჰოვა, წამიყვანე შენს ქოროში!
მე ვერ შევძლებ შენ გარეშე ვისუნთქო,
მანათობელო სიმართლისაო!
მე შენ გარეშე არ ძალმიძს ფრენა,
მზეო კეთილშთაგონებისაო!“
მე იმხანად ვირწმუნე, რომ
ჭეშმარიტ-შეურეველ სამყაროში შევდიოდი.
და მჭვუნვარებდი ადამიანებზე, რადგან ისინი
თავს ინუგეშებდნენ
დიდი ხნის წინათ შეთხზულ ზღაპრების
წიგნებიდან.

საღვთისმეტყველო ტრაქტატი

(ნაწყვეტი)

მე ჭეშმარიტებას ვერ დაუფლებული,
მე მისი დაუფლების არა მაქვს სურვილი.
მე, შეჩენილს ერესის ზღვართან, მომიწევს
ხეტიალი,
რომ სარწმუნოებრივ სიმშვიდეს გავეცალო,
როგორც გულუბრყვილო თვითკმაყოფილებას.
საეკლესიო მსახურებაზე შეყვარებული, ჩემი
ღვთისმოსავი პოლონელი ძმები
ღვთისმეტყველების მიმართ იყვნენ ფრიად
გულცივები.
მგონი მე ერთ დროს ტყის მონასტერში
ვცხოვრობდი განდეგილად
და, სარკმლიდან ადიდებული მდინარის
შემყურე,
ვწერდი ჩემს ტრაქტატს ცხვრის გარსაცმიან
მდაბიო ხალხის მიუწვდომელ ლათინურ ენაზე.
მოღრეცილღობეებიანი დაბა-დასახლება რა
კომიკურია მაინც,
სადაც ქუჩის შუაგულ ადგილას, მტვერში,
იქექებიან ქათმები,
სადაც ბოდლერის ესთეტიკას განიკითხავენ.
მე, საშველისთვის დედა ღვთისმშობლისკენ
თვალმიპყრობილს,
საკურთხეველზე ამაღლებული მისი
ღვთაებრივი იერი მეჩვენა მიმქრალებული.

სიმღერა სამყაროს აღსასრულზე

აღსასრულის დღეს
დედოფლის ყვავილს თავს დასტრიალებს
დედა ფუტკარი.
მეთევზემ ზედმიწევნით შეაკეთა გარღვეული
ბადე.
ზღვის დელფინები მხიარულად დანავარდობენ,
და ბეღურები ღობეებზე ჩამომსხდარან,
და მზეზე გველის კანი თაფლივით ბზინავს.

აღსასრულის დღეს
ველების გავლით სადღაც ეშურებიან
დედაკაცები.
გაზონის განაპირას იძინებს მთვრალი.
ჩვენ გარეთ გვიხმობს მემწვანილე
და კუნძულისკენ მიქანაობს ყვითელი აფრა.
ჩვენთვის სკრიპკის ზეავარდნილმა ხმამ
ვარსკვლავიანი ღამეების კარები განახვნა.

მათ, რომლებიც ჭექა-ქუხილს მოელოდნენ,
იმედები გაუცრუვდათ
მათ, რომლებსაც ზენიშნისა და
არქანგელოზური ბუკის
ჰქონდათ მოლოდინი,
არ სჯერათ, რომ ყველაფერი უკვე დაიწყო.
სანამ მზე და მთოვარე ჰკიდია ცაზე,
სანამ ყვითელ მუზარადს მასპინძლობს ვარდი
და სანამ ვარდისფერი ბავშვები იბადებიან –
ასეთი აღსასრულის არავის სჯერა.

მხოლოდ ჭაღარათმიანი მოხუცი, რომელიც
შეიძლება იყოს
წინასწარმეტყველი,
მაგრამ არ არის წინასწარმეტყველი –
არ ფიცულობს
და არ განიკითხავს.
ის, პომიდორაკიდებული, ბუტბუტებს.
სამყაროს სხვა აღსასრული არ იქნება,
არ იქნება სამყაროს სხვა აღსასრული.

Sanctificetur*

შენი სახლის გარეშე ბაგემოუბარს, შეიძლება
ეწოდოს ადამიანი?
შენი სახელი, როგორც ჰაერის პირველი
ყლუპი,
როგორც თოთო ბავშვის პირველი კივილი.
წარმოვთქვამ შენს სახელს და შენ რომ
მიუსაფარი ხარ, ვიცი,
რადგან სოფლის ძლევამოსილმა თავადმა
იპყრო მთელი ცისქვეშეთი.
შენ გარდაუვალ ხელმწიფებას გადაეცი ყოველი
ქმნილი,
შენ დაიტოვე მხოლოდ ჩვენი კაცობრივი გული.
კეთილმსახურისგან წმინდაო, შენ ხარ
კურთხეული,
შენს წმინდა სახელს აკურთხებს შენი
სიმართლისთვის მოწყურებული.
ვისაც სტკივა და ვინც არის გულცივი,
მას ნათელსა ჰფენს მაღლიდან
შენი სახელი, უფალო.

* Sanctнfнcetur (ლათ.) – წმინდა იყოს. ფრაგმენტი საუფლო ლოცვიდან: Sanctнfнcetur nomen Tvvm („წმინდა იყოს სახელი შენი!“)

როგორ შეგეძლო შენ ეს

მე არ მესმის, როგორ შეგეძლო შეგექმნა შენ
კაცობრივი გულისთვის უცხო და ულმობელი
ეს სამყარო, სადაც მონსტრები ერთიანდებიან
და სიკვდილი – მუნჯი სულთამხუთავი –
სდარაჯობს დროს.

მე ვერ დავიჯერე, ეს ყოფილიყო შენი
ნდომობა.
ალბათ ეს იყო წინაკოსმიური კატასტროფა
და ძლევამოსილი ინერცია, რაც გამოდგა
შენს დასტურზე უპირატესი.

მაწანწალა მონა, რომელმაც შენ გიწოდა მამა,
კანონ-სამართალთა, მიწიერ ურჩხულთა წინაშე
უსუსური,
შერცხვენილი და სასოწარკვეთილი,
დაე, იქნეს შენდამი აღვლენილ ლოცვებში
ჩემი განმამტკიცებელი.

გამოხსნილი

პატივმოყვარობისგან და სოფლის სიამისგან
თავდახსნილი,
ბედიანობისგან და ჭმუნვისგან თავდახსნილი,
ცხოვრებისგან და სიკერპისგან თავდახსნილი –
არის გამოხსნილი.

გვიანდელი სიბერე

დასრულდა გვიანდელი გამოღვიძება,
მრავლისმეტყველ მათრახთან ერთად,
რომელიც არის გზის მანიშნებელი და
წარმმართველი.

სისულელე დარჩა სისულელედ.
საღვთო ტექსტების ჟამიც მოედინა.
ნეტავი რომელიმე წმინდანზე ვიყოთ
ხელჩაჭიდებული,
მაგალითად, ნეტარი კუნიგუნდა რომაა, მასზე,
თან სხივად ჩამოვეკიდოთ უფსკრულის ზემოთ,
ის ხომ წმ. ფრანცისკის ძონძებზეა
ჩაბღაუჭებული.
ჩვენ ასე და ამგვარად შეკრული
ყვავილწნულებით გავფრინდებით.

სიკეთის გამარჯვება

გალში, საქართველოს ქუჩის ბოლოში, საიდანაც ქალაქი და ზღვისპირა დაბლობის ხედი იშლება, მშვიდობიანობის დროს ძალიან ხშირად ვსტუმრობდი მერი და მურმან გაგოშიძეების ოჯახს, ფაქტობრივად, ეს იყო ჩემი მეორე სახლი, სულიერი თავშესაფარი. ამის მიზეზი სულაც არ გახლდათ ქალბატონი მერის გამზრდელისა და ჩემი წინაპრების ნათესაობა, მით უმეტეს, რომ გაგოშიძეების მეზობლად ჩემი უფრო ახლო ნათესავებიც ცხოვრობდნენ. არა, მთავარი ანდამატი, მიზიდულობის ძალა იმ განუმეორებელ შინაგან სამყაროში ვლინდებოდა, რომელიც მათი თბილი სახლის ჭერქვეშ იყო დასადგურებული.

მერისა და მურმანის გულითად სტუმართმოყვარეობას განუყრელად ამშვენებდა პოეზიის, მუსიკის, მხატვრობის სიყვარული. ჩვენს პატარა, მაგრამ საკმაოდ წიგნიერ ქალაქში იშვიათი იყო გაგოშიძეებისთანა ოჯახი, სადაც ამგვარი სალონები იმართებოდა. აქ თავს იყრიდნენ არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოყვარულები, არამედ პროფესიონალ შემოქმედებსაც, თუკი ერთხელ მაინც იყვნენ აქაურ მადლს ნაზიარებნი, მუდამ ამ სახლისკენ მოუწევდათ გული.

ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად, არის კიდევ ერთი რამ, რაც მერის, მურმანს და მათს შვილებს განსაკუთრებით ახასიათებთ – ქრისტიანული მორალი, მაღალი ზნეობა, სიმართლისადმი ერთგულება, რომელთა გარეშეც არაფერსაც არ ნიშნავს ლექსიც და სიმღერაც და სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკიც ფუჭი სიტყვებია მხოლოდ. ეს თვისებები სახარებისეული ლამპარივით დღემდე მიუძღვით წინ მერისა და მურმანს, ასე დაზარდეს მათ შვილებიც: მანანა, მანონი,ბადრი, მაია, ასე დააყენეს გზაზე შვილიშვილები...

ყოველივე ზემოთქმული დარჩეს შესავლად თუ წინასიტყვაობად ამ ოჯახთან დაკავშირებული ერთი საგულისხმო მოვლენისა, რომელზეც ქვემოთ მინდა მოგიყვეთ და რომლის შესახებაც ჩემამდე გამოაქვეყნეს საკმაოდ ცნობილმა ადამიანებმა, რადგანაც ეს ამბავი მართლაც უებრო მაგალითია ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა, ქართველი ადამიანის, ქართული ფენომენის ღვთით მომადლებული ბუნებისა, აღმოაჩინოს საკუთარ თავში მიწიერ გაწამაწიაში ხშირად მტვერწაყრილი სულიერების ნათელი და იგი სხვებსაც უწილადოს.

მოგეხსენებათ, რა საშინელებები დატრიალდა ჩვენს სამშობლოში იმ სისხლიანი პუტჩის შემდეგ, როდესაც ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება იქნა დამხობილი. ყველაზე დიდი ტრაგედია იყო შეიარაღებული დაპირისპირება ქართველთა შორის, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა, ერთმანეთთან გადაკიდება, რბევა და აწიოკება, ქვეყნად ზეობდა უსამართლობა, კაენის ცოდვა, იუდას გამყიდველობა; მტერი ხარობდა, თუ რა დაუნდობლად უსწორდებოდა ქართველი ქართველს, დედას თვალწინ შვილს უკლავდა, მთელ სოფლებს ცეცხლს უკიდებდა, აუპატიურებდა, ძარცვავდა, კლავდა...

ასეთ ვითარებაში მერი და მურმან გაგოშიძეები უყოყმანოდ დადგნენ სამართლიანობისა და კანონიერების მხარეზე, მათ აშფოთებდათ ქვეყნის მომავალი, რა თქმა უნდა, ქართველთა მომავალიც აფხაზეთის მიწაზე, სადაც უკვე გაჩაღებული იყო ყოვლად უგუნური ომი....

ომი იყო აფხაზეთშიც, სამეგრელოშიც, ომს კი თავისი სახე აქვს, თავისი კანონები, რომლებიც არ ემორჩილება ადამიანურ სურვილებს, მიზნებს და ამ სურვილთა საწინააღმდეგოდაც მოახვედრებს კაცს ბარიკადის რომელიმე მხარეზე.

სწორედ ასეთმა ვითარებამ შემოიყვანა გაგოშიძეების ოჯახში ბატონი დავით სალარიძე მეორე გენერალთან, ზიბერტ ხაზალიასთან ერთად, როგორც ტყვედქმნილები.

მათი იქ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში გაგოშიძეების სახლში ერთხელაც არ შევსულვარ, ჭიშკართან კი დღეში მრავალჯერ გავივლიდი ხოლმე და ოჯახის წევრებსაც ნებისმიერ დროს ვხვდებოდი, ბევრჯერ მინახავს ტყვედქმნილები სახლის ეზოში, მაგრამ მე, კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, თავს უფლება არ მივეცი, მენახა ისინი ასეთ დათრგუნულ მდგომარეობაში. სამაგიეროდ, წინასწარვე ვიცოდი, რომ ამ სახლში მათ აუცილებლად არ მოაკლდებოდათ შემწყნარებლობა, ნუგეში და

თანადგომა, ანუ სწორედ ისეთი დამოკიდებულება ოჯახში შემოსული ადამიანის, თანაც სხვა ბანაკის წარმომადგენლის მიმართ, როგორიც აღწერილი აქვს დიდ მგოსანს თავის „სტუმარ-მასპინძელში“; ამიტომაც ადარებენ მერი და მურმან გაგოშიძეებს ვაჟას გმირებს – აღაზასა და ჯოყოლას.

განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა მასპინძლებსა და დავით სალარიძეს შორის. როგორც ჩანს, ცნობილი მსახიობის ვახტანგ სალარიძის ვაჟმა გაგოშიძეებთანაც იგრძნო მაღალი სულიერების ჩვეული ატმოსფერო, ქართული კულტურისადმი ტრფიალი. ასე იცნო გულმა გული, ასე გამოინახა საერთო ენა – ენა სიყვარულისა და თანადგომისა, ნუგეშისა და თანალმობისა, მტრობით დაქცეულის უფრო მკვიდრად აშენებისა.

საბედნიეროდ, გალელი ჯოყოლასა და აღაზას სტუმრებს ზვიადაურის ხვედრი არ რგებიათ, ხოლო ჩვენმა ცვალებადმა წუთისოფელმა, კონკრეტულად, აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნამ ძირეულად შეცვალა ჩვენი სტუმარ-მასპინძლების როლი და მდგომარეობა.

ამჯერად ჯერი ბატონ დათო სალარიძეზე მიდგა.

მშობლიურ კერას მოწყვეტილი გაგოშიძეები უსახლკაროდ და უმწეოდ დარჩნენ. როგორც ყველა დევნილი, ისინიც თავშესაფრის ძიებაში იყვნენ და უიმედოდ შეჰყურებდნენ ხვალინდელ დღეს. სწორედ ამ დროს მოევლინათ მათ გაჭირვების ტალ-კვესად დათო სალარიძე, რომელმაც თვითონ მოძებნა ისინი და გამოსტაცა შიმშილსა და სიცივეს, უბინაობასა და უიმედობას. დათომ მერისა და მურმანის ოჯახს თავისი სამსართულიანი სახლი დაუთმო სოფელ ნორიოში, ფინანსურადაც ხელი გაუმართა, დაეხმარა შვილებს სამუშაოს შოვნაში; დათოს მეშვეობით შეძლეს მათ, რომ ჩვენი ტრადიციისამებრ მიეგოთ პატივი ნორიოში გარდაცვლილი მერის გამზრდელისათვის – ქალბატონი ცურუ ჩაკაბერიასათვის.

მერი და მურმან გაგოშიძეებს ბატონი დავითი თავიანთი ოჯახის განუყრელ წევრად მიაჩნიათ და ასე აფასებენ მათ მიმართ გამოჩენილ ზრუნვასა და ამაგს. ყოველივე ამას ქალბატონი მერი ასეთი სიტყვებით გამოხატავს: „ჩემო უსაყვარლესო ადამიანო, ბატონო დავით, გაივლის დრო და ჟამი, მე არ ვიქნები, თქვენ კი წაიკითხავთ ჩემს წერილს და სხვა ჩანაწერებს, ნაცოდვილარ ლექსებს, თუნდაც შენი დიდბუნებოვნებისა და ზრდილობის გამო, იქნებ ცრემლებიც კი მოგგვაროს ზოგიერთმა მათგანმა, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელობაა ჩვენ შორის შუამავალი, დიდი და დიადი სიყვარული, სიყვარული, რომელსაც, როგორც უკვე მრავალჯერ ვთქვით, მთების დაძვრაც კი შეუძლია. რა ბედნიერი ვარ, როცა ვიცი დანამდვილებით, რომ ჩემს საფიცარ შვილებსა და შვილიშვილებში დილისა და საღამოს ლოცვებში შენს ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნაზეც ვევედრები უფალს. მადლობა ამ სიკეთის მონიჭებისთვის“.

დავით სალარიძისა და გაგოშიძეების ამგვარი ურთიერთობის შესახებ, მჯერა, მომავალშიც ბევრს იტყვიან და დაწერენ, რადგანაც ეს ურთიერთობა ჩვენი ცხოვრებისთვის, ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი მრავალი ფაქტორის გამოძახილია, როგორც დადებითის, ასევე უარყოფითისა, პირველ რიგში აღსანიშნავი ის არის, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კვლავაც მძლავრობს სიძულვილის ენა, ერთმანეთის დამამცირებელი ანგარიშსწორება, ოპონენტის მიმართ დაუნდობლობა.

როდესაც ქართველი ქართველს გვერდით დაუდგება, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს გაიზიარებს, საკუთარ პატივმოყვარეობას უკან დააყენებს და მოყვასის დაფასებასა და პატივისცემას შეძლებს, მაშინ ჩვენი მომრევი ვერავინ ვერ იქნება და ახალი დიდგორის გადახდასაც შევძლებთ.

იმ ახალ დიდგორამდე თმენის, ერთობის, სიყვარულის გზა გვაქვს გასავლელი; ეს გზა თითოეული ჩვენგანის მიერ გაკვალული ბილიკებისაგან უნდა შედგებოდეს. აი, ასეთ ბილიკს მიჰკვალავს ბატონი დავით სალარიძისა და გაგოშიძეების ურთიერთობა. მათი თანადგომა და მეგობრობა კირია, კირწყალია, დუღაბია, რომელიც ჩვენი სულიერების გაბზარულ კედელს ხელახლა კრავს და ამაგრებს. საბედნიეროდ, კიდევ ბევრნი არიან მათი მსგავსები და ყველა მათგანი იმ გზით მიუძღვება დღევანდელ თუ მომავალ თაობებს, რომელიც აუცილებლად ტაძრამდე მიგვიყვანს.

ჯემალ შონია

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აიწყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა **„უნივერსალში“**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა!

ამბროსი ხელაია

9 772449 237002